

ՀՅՈՒՅՆ


1982 1

(94)

652 /
1982/2



ՕՐԻՆԱԿՈՒՅԹ
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ



କୃତ୍ତବ୍ୟାଳ

ଲିପତିରାତ୍ମକଶ୍ରୀ-ମେଦିନିଶ୍ରୀ ଏବଂ
କ୍ଷମିତ୍ତବାଦିକ-କମଳିତିକଶ୍ରୀ
ଶ୍ରୀରାଧା

ସାହଚରତବୈଲାଙ୍ଘ୍ୟ ମହିରାଣତା କବିଜୀବିନ୍ୟୁ
ଏ ଆମାରୁ ବାଦ୍ୟମୁଖିଲୀଗଠିବି
ମନ୍ଦିରାଳୟ

୩୧ ମେ ୧୯୮୦ ଶୁଭିତ୍ତି 24-୧

୧

୧୯୮୨

୦୧୯୮୧୦୦
ମାଝରକ୍ଷାଲୀ

ଏ ମିଥ୍ୟରିଦିଗ୍ରିର ଶର୍ଵା ପ୍ରତିକିର୍ଣ୍ଣ, ଏକାରା,
ଏ ମିଥ୍ୟରିଦିଗ୍ରିର, ମ୍ରଦଗାରିକିର ଶ୍ରୀରିତ...
ମାତ୍ରାକର୍ମ—ହୀରିନ ମାତ୍ରାକର୍ମିର ଉଦ୍‌ଦେଶ୍ୟରା
ଅଭିନିଷ୍ଠାକର୍ମିରାତିଥି ଏ ଦାଶକଲ୍ପିତିତ.



ଶୁଭିତ୍ତି

କବିତାର ଶୁରୁନାଟ୍ଟି-ମେଦିନିଶ୍ରୀ ପାତ୍ରମାତ୍ରାମାତ୍ରା

ნოარქი დაბაჭლილია

ჯემალ ეათამაძე	3 ძმობის სიმღერა (ლექსი)
რევაზ გარიბე	5 ახალგაზრდობა – იმედი ხვალის
ზურაბ ვირცესლაიშვილი	8 ლექსები
ვახტანგ ახვლელიანი	10 ლექსები
გალიტ თევზაძე	11 ლექსები
ამირან უარვავიძე	14 მოთხრობები ლესია უკრაინკაზე
ბორის ერთოველი	24 ლექსები
ალექსალენე სამსონია	27 შალვა, ჩემო სიხარული (მოთხრობა)
ნიკოლოზ აღამია	47 ლექსები
ნესტორ გალაზონია	48 მოგონებათა წიგნიდან
	52 რუსული ჩუქურთმა (ლექსები. თარგმნა შოთა ზოიძემ)
ვასილ უვამიძე	55 სიხვი მომიტითხე, სიხვი! (მოთხრობა. თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ).
დავით ცაცხალაძე	62 საქართველო გეორგიევსკის ტრაქტატის ვპოქაში
იმრი სცხალშლიძე	68 ძალისხმევა ამირსპასალარისა
აზიზ ახვლელიანი	75 რწმენის კადვლი
აბია ართილავავა	80 „ესთეტიკური ეტიუდები“
იასონ ვარცხაძე	84 ისინი მოსკოვს იცავდნენ
რევაზ გორგაძე	86 აძაგდარი
საიმე ევლია	90 საახალწლო სალადობო ბათუმელ მწერლებს
	94 გასულ ორ თვეში

გარეკანის 1-ლ გვერდზე – ხიხანის ციხე. ავთადვილ ლომაძის ნახატი.

გარეკანის მე-2 გვერდზე – „ბათუმელი მენავთობებები“. მხატვარი ზურაბ ხაბაძე.

გარეკანის მე-3 გვერდზე – „ახალგაზრდობა“. მხატვარი აცატოლი ტრი-ვიმოვი.

ტექნიკური ხელმძღვანელი შუშანა დარჩია.

17183

ძმობის სიმღერა

ზღვა სასწაული,
ზღვა სიხარული
ახალ-ახალი მზის და დიდების,
მოდის ლამაზი დღესასწაული
სიყვარულის და არდაბინდების!

ქუჩებს ამშვენებს ცისკრის ფერები,
მიწას — ვარდები,
ლურჯი იანი.
მამულო, თუ არ მოგეფერები,
რად მინდა გული ორბისფრთიანი?!

მიაპობ ტალღებს, ურიგალი გარწევს
და შენ არ იცი, რა არის დაღლა,
შენი ბრძოლებით და შრომით ნაწერს
მე ისტორიას კვითხულობ ახლა.

შენ არ გეცალა, წლები გეძახდა,
შრომის, შეტევის მქუხარე წლები...
ბევრჯერ აყვავდი ლამაზ ვენახად,
გვირგვინად გაღგა სპეცია მთები.

ანთებულ მკერდში ცხვდებოდა ტყვია,
ესროდნენ დროშას —
იმედს და რწმენას...
დალატი ჩვენი არ ჰეგიტყვია,
ჩვენგან არ გახსოვს, მამულო, წყენა.

ლენინის ფიციო შემართულ ლაშქარს
მოპქონდა დიღა მაისის ფერით.
ზღვის ტალღას ჰგავდა გმირების ვაშა
და გამარჯვებას — სომოდრა შენი.

ქ. შასული სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკური

და თუ შევკარით მუშტი კაშივით,
თუ არ დავხარეთ თავი ქარებთან,
ეს იმიტომ, რომ ძმათა კავშირი
გზას გვინათებდა შინ და გარეთა.

და თუ ავლაგმეთ მტერი ურიცხვი,
რომ ჩვენი მზე და რწმენა გვქონდა,
ეს იმიტომ, რომ ძმა ძმის გულისთვის
ერთად იბრძოდა, ერთად შრომობდა!

სისხლი ვაწვიმეთ უამინდობას,
არ გვეშინოდა თოშის და წვიმის...
და ვუმღეროდით ძმობას, მშვიდობას —
ერთი ჩონგურის თხუთმეტი სიმით!

ასე გავავლეთ ყამირზე ხნული,
ავაწალყოტეთ ხრიოკი მიწა.
ეს ჩვენი ფიცი,
ეს ჩვენი გული
ძმობის ჰიმნად და ძახილად იქცა!

შუქად დავწურეთ ანგარის ტალღა
და შევუცვალეთ ენგურს სავალი,
ძმობის სიკეთით მივიწევთ მაღლა,
რა დიდებული ჩანს მომავალი!

ზღვა სასწაული,
ზღვა სიხარული,
მზისკენ ნახტომი ძალას გვიმატებს,
ძმობის ლამაზი დღესასწაული, —
ჩვენი პლანეტის დიდი სინათლე!





ახალგაზრდობა

საქართველო
განვითარება

იმაღი ჩვალის

რევაზ გერიძე,

საქართველოს ალპებ აჭარის საოლქო
კოშიტეტის პირველი მდივანი.

კომპავშირის სახელოვანი ისტორიის მეშვიდე ათწლეულის დამდევს ამხანაგმა ლეონიდ ილაის ძე ბრექევმა პარტიის XXVI ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან ახალგაზრდობა ლეისინურ კავშირს ამოცანად დაუსახა „...ხელი შეუწყოს პოლიტიკურად აქტიურ, საქმის მცოდნე, შრომისმოყვარულ და მუშაობით გატაცებულ ადამიანთა თაობის ფორმირებას, რომლებიც მუდამ მზად არიან დაიცვან თავიანთი სამშობლო“.

გვეამაყება, რომ აჭარის კომპავშირულ ორგანიზაციას თავისი საპატიო წვლილი შეაქვს ამ მითითებათა პრაქტიკულად განხორციელების საქმეში.

კომპავშირის დღვეუნდელი თაობა კულტურის, განათლებისა და პროფესიული ცოლის ამაღლებისაკენ სწრაფვით გამოიიჩევა. დღეს ავტონომიური რესპუბლიკის კომპავშირულთა ორ მესამედს აქვს უმაღლესი, დაუმთავრებელი უმაღლესი ან საშუალო განათლება.

აჭარის კომპავშირული ორგანიზაცია თავის რიგებში აერთიანებს 695 პირველადს და 1345 პირველადის უფლების მქონე კომპავშირულ ორგანიზაციას, 1030 კომპავშირულ ჯგუფს. მის რიგებში ათასამდე სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, აჭარის უმაღლესი საბჭოებისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა.

ახალგაზრდობის აქტივობა მეფიოდ გამოვლინდა სკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების შესახვედრად მზადების პერიოდში, როცა ნათლად გამოიკვეთა ქალიშვილებისა და ჭაბუკების აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, საზოგადოებრივი მოვალეობისაღმი შეგნებული დამოკიდებულება.

დღეს ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია 33 ათასზე მეტი ახალგაზრდა. ათობით ათასი ქალიშვილი და ჭაბუკი ჩამდებულია მოძრაობაში „თითოეული კომპავშირული, ქალიშვილი და ჭაბუკი XI ხუთწლედის წინა ხაზზე! თითოეულისაგან — შესაძლებლობის მაქსიმუმი!“ სოფლად მომუშავე ახალგაზრდებს შორის კომუნისტური შრომის დაკვრელია 5 ათასი ქალიშვილი და ჭაბუკი, 210-ზე მეტი კომპავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივი. ეს უთუოდ დაიდი ძალაა, რომელიც პარტიის მიერ დასახული სასურსათო პროგრამის აქტიურად განხორციელებასაკენ არის მიმართული.

ბოლო ორი წლის მანძილზე საგრძნობლად გაიზარდა ახალგაზრდობის წვლილი პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლაში. ახლა კომპავშირებულთა უშუალო მონაწილეობით ავტონომიური რესპუბლიკა 120 დასახლების სახელმწიფო



ფო ხარისხისნიან პროდუქციას უშვებს, 650 ახალგაზრდა მუშაობს ჩილაჭი და მღით, ხოლო 560 პროდუქციას აძარებს კომკავშირული გარანტით. უსრულეული

ხუთწლედის ვახტებზე ბევრმა ახალგაზრდა გვარდიელმა ისახელა თავის მუშაობის მზევინარ ანანიძემ, ფატი დუმბაძემ, ცარა თებიძემ, სულიკო კონცელიძემ, მანანა მელაძემ, ეთერ მამულაძემ, ბეჟან ხვედელიძემ და მრავალმა სხვამ.

არაერთი პატრიოტული თაოსნობით გამოვიდნენ ჩვენი ახალგაზრდები შრომის ნაყოფიერების ამაღლების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, ტექნიკური პროგრესის, შრომისა და მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენების, პროფესიული ოსტატობის სრულყოფას საკითხებზე. ბოლო ორი წლის მანძილზე გაიზარდა ავტონომიური რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის როლი და ავტორიტეტი. ახლა პარტიის წევრობის კანდიდატებად მიღებულთა 80 პროცენტი კომკავშირულია.

მომუშავე ახალგაზრდების ხვედრითი წილი 1979 წლის 54 პროცენტიდან თითქმის 62 პროცენტამდე ამაღლდა, დასაქმებულ კომკავშირულთა შორის 79 პროცენტი მუშები და კოლეგურნები არიან. ეს ციფრები იმაზე მეტყველებენ, რომ საანგარიშო პერიოდში შესამჩნევად გაუმჯობესდა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდა. წინა წლანზე იქნა წამოწეული ცნობილი ლოზუნგი — „გისწავლოთ კომუნიზმი“.

კომკავშირული ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწევიან ახალი საბჭოური ტრადიციების დასახურგავად, რითაც ხელს უწყობეს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკეთებით ახალგაზრდობის აღზრდას, მათში მეცნიერობის გრძნობის განმტკიცებას, სამეცნეო და სოციალურ-ეკლტურული ამიცანების გადაწყვეტაში ახალგაზრდობის აქტიურ მონაწილეობას, დადებით ზემოქმედებას ახდენს ახალგაზრდობის სულიერ ფორმირებაზე, უნერგავენ პატრიოტიზმის, ერის კულტურისა და ისტორიისადმი, მისი საუკეთესო შვილებისადმი პატივისცემის გრძნობას. სწორედ ასეთი სულისკეთებით აღნიშნა აჭარის ახალგაზრდობამ საქართველოს კომკავშირის ერთ-ერთი დამაარსებლის ბორის ძნელადის დაბადების 80 წლისთვის იუბილე.

თაობათა ურთიერთობაში არის განმსაზღვრელი და დამაკავშირებელი ძალა — იდეებისა და შეხედულებების მტკაცე ერთიანობა. როცა 80-იანი წლების სიმაღლიდან ვაფასებთ ჩვენს მიერ განვლილ გზას, კვლავ და კვლავ თანამედროვეობისადმი მოწოდებელ ცოცხალ ღოზუნებდ გაისმის ბორის ძნელადის სიტყვები: „ჩვენ, ამხანაგებო, გვაქვს ჩვენითის უძვირფასეს ერთი საქმე — ახალი ცხოვრების შენებლობა, თავისუფლების და თავისუფალი შრომის ცხოვრებისა, თვით ჩვენში არის მომავლი შესაძლებლობა, ჩვენშია ჩვენი მონაპოვრების ძლიერების საწინაღო და ჩვენ მონაწილეობა უნდა მივიღოთ ამ საქმეში“. ახალი ცხოვრების მშენებლობაში მიღწეული წარმატებები კი აჭარაში მცხოვრები მტკაცე მეცნიერობით შეკრული 80-ზე მეტი ერისა და ეროვნების წარმომადგენლების თავდადებული შრომის შედეგია. ჩვენს ღოზუნებზე წარწერილია ინტერნაციონალიზმი, ჩვენს გულში მმური სოლიდარობა, რაც მტკაცე მოკავშირეა კომუნიზმისათვის, ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლაში.

ბოლო ორი წლის მანძილზე განვლილი გზა ეს არის ახალგაზრდა მეცნიერ და შემოქმედებით ინტელიგენციასთან, მოსწავლებთან და სტუდენტებთან, ახალგაზრდა მეომრებთან და სპორტსმენებთან ავტონომიური რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის გამოცდილების გაგრძელება და განვითარება.

მომავლი თაობის კომუნისტური აღზრდის არსენალში უნარიანად ვეფენებთ შემოქმედებითი ახალგაზრდობის შესაძლებლობებს. ქალიშვილებისა და ჭაბუკა

აუდიტორიის წინაშე ხშირად გამოდიან ახალგაზრდა პოეტები, მწერლები, მსახიობები, მუსიკოსები - შემსრულებლები. ასეთმა ურთიერთობამ ირმჩრივ დადგებდა შემოქმედი მოგვცა. ახალგაზრდა შემოქმედი გაეცნენ კიბაკშირული კოლექტივების. ხუთწლდების მოწინავეთა შრომით საქმიანობას, რაც საფუძველი გახდა თურქული კოლექტივების დური და შინაარსით მდიდარი, იდეურად გამართული, მხატვრული თვალსაზრისით საინტერესო ნაწარმოებთა შექმნისა. თუ არა ცხოვრების ღრმა ცოდნა, ახალგაზრდები პრობლემებით დაინტერესება, არ შეიძნებოდა დავით თელირაძის, ზურაბ ფირცხალაშვილის, ამირან ხაბაძისა და სხვათა საინტერესო ლექსთ კრებულები.

ცხოვრებისა და ლიტერატურის წინაშე დასახული იდეოლოგიური, აღმზრდელობითი ამოცანების გადაჭრა შესაძლებელი გახდა მხოლოდ ერთობლივი მუშაობით. ამ თვალსაზრისით ჩვენთან საინტერესო პრაქტიკა დამკვიდრდა. შემოქმედებით ორგანიზაციებთან და სამინისტროებთან ერთად ვაწყობთ შემოქმედებითი ახალგაზრდობის კონკურენტებს. ამ მხრივ შეიძლება აღვნიშნოთ კომკავშირის აჭარის საოლქო ორგანიზაციის ახლანდელი XXVIII კონფერენციის მხადებასთან დაკავშირებით აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შემოქმედებით ორგანიზაციებთან ერთად ჩატარებული კონკურსი. ამ კონკურსზე წარმიღების ნაწარმოებებში ნათლად და მკაფიოდ აისახა თანამედროვე სოფლის ახალგაზრდობის გმბრული შრომითი საქმიანობა.

ამასთან ერთად ისიც უნდა ითქვას, რომ შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობაში გარკვეული ნაკლიც გვაქვს. მის დასაძლებად ვადალია უკარი ახლო კონტაქტები დაგმყაროთ ახალგაზრდებთან, ჩავწერეთ შემოქმედის სულიერ სამყაროს, და მაინც ეს საკითხის ერთი მხარე, მთავარი ის გახდავთ, როგორ გაიაზრებს ახალგაზრდა შემოქმედი მწერლის, ხელოვანის დიდ პასუხისმგებლობას ხალხის, ქვეყნის, დროისა და ბოლოს, საკუთარი თავის, მომადლებული ნიჭის წინაშე.

ცნობილი ფაქტია ისიც, რომ ბათუმში მომუშავე ახალგაზრდა მხატვრები ნაკლებად არიან ჩაბმული საზოგადოებრივ საქმიანობაში. ეს მაშინ, როცა ჩვენს ქალაქს აშკარად აკლია საჭრეთოლისა და უუნჯის ოხტატთა ხელი. ეს გარემოება კი იმითაც არის გამოწვეული, რომ მათ არა აქვთ სახელოსნოები. აჭარის მწერალთა და მხატვართა კავშირებთან მშიდრო ურთიერთობით კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უკელავერი უნდა გააქოთო შემოქმედებითი ახალგაზრდობის ნიჭისა და უნარის სრულყოფილად გამოვლინებისათვის.

უნდა ითქვას, რომ კვლავ მოუგვარებელია დისკოკლუბების საკითხი, ფაქტიურად ქალაქს არა აქვს ახალგაზრდა შემოქმედთა კლუბი, სადაც შეიძლება შეკირიბონ ახალგაზრდები, ახალგაზრდა შემოქმედთა საოლქო ცენტრის მუშაობა კი უკლებოდ წარმოუდგენელია.

შემოქმედებითი ახალგაზრდობის III საოლქო შეკრებაზე, რომელიც შარშან დეკემბერში ჩატარდა, ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ ლიტერატურული პროცესის აღმასკვლა დამოკიდებულია სწორი კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებაზე, ამ მიმართებთ კი ჩვენში არც თუ ისე სახარბიჟლო მდგომარეობა.

შემოქმედებითი ახალგაზრდობის ამოცანებზე და პრობლემებზე ხაუბარი კომკავშირის აჭარის საოლქო ორგანიზაციის XXVIII კონფერენციაზე გამქნება.

დამკავიდრებული ტრადიციისამებრ, ყოველი მნიშვნელოვანი მოვლენის წინ, როცა თვალს ვავლებთ განვლილ გზას, ჩვენა მუშაობის დადგებით მომენტებთან ერთად ვაანალიზებთ სუსტ მხარეებსაც. გადასაჭრელი პრობლემები კი ჩვენი მუშაობის ეველა უბანზეა. კომკავშირული ორგანიზაციები ჯერ კიდევ სუსტად მუშაობებს შინაგან საქმეთა ორგანოების არასრულწლოვანთა ინსპექციებთან ერთად, რის

ვამოც ჩიგ რაითნებში არ შეიმჩნევა არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის გარეშების ტენდენცია.

პელავ საღდეების პრობლემად რჩება სპორტული ბაზების უკმარისობის უზრუნველყოფა ვარებელია ახალგაზრდობის თავისუფალი დროის ორგანიზაცია. აუცილებელია უფრო ეფექტურად გამოვიყენოთ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, ფიზკულტურისა და სპორტის ფართო შესაძლებლობანი.

კოველი მოვლენის კეთილსინდისიერი აღნიშვნის საუკეთესო საშუალება ნაკლოვანებებთან ბრძოლაა — გვახსწავლის პარტია. სწორედ ამ განწყობილებით ხვდება აჭარის ახალგაზრდობა კომკავშირის საოლქო ორგანიზაციის XXXVIII კონფერენციას.

ახალგაზრდული ხელი

ზურაბ ფირცხალაიშვილი



ახლა სოფელი იდუმალი ხმებით შეძახის...
დედა ბოსტანში ფუსფუსებს და
ტკბილად ღიღინებს
ჩემს ბავშვობაში გაგონილი
სიმღერის მოტივს;
მამას კი ჩემი ლამაზი და
ფართქალა ბიჭი
ხელში იმგვარი უნაზესი
კდემით უჭირავს,
როგორც ბერიგაცს, სახეგეთილს,
აყვავებული აღუბლის ტოტი...

მონატონება

მარტოკა ვრჩები,
სხვები მიდიან,
მარტოკა ვრჩები და მიხარია,
ჩემს ქახში ახლა ზღვა სიმშვიდეა,
გარეთ ქარია...

მარტოკა ვრჩები, ძველ ალბომს ვეძებ,
გიხსენებ შენ და ვიგსები სევდით...
გკითხულობ შენზე დაწერილ ლექსებს.
ვთბები...



ვიღაცა მღერის
(ღამის მგზავრია):
„ლამაზო ქალო, რად მიმატოვე!“
გარეთ ქარია,
გარეთ ქარია,
გარეთ ღამეა და სიმარტოვე!..

• •

ხატუნას

სულში ღამე ჩამესახლა...
წუთისოფლის გზებზე მიღის დღენი.
შემოდგომის მეშინია ახლა,
განძარცვული მიცერიან ხენი,
თითქოს ყურში მიერიალებს კვნესით
მათი ცისკენ აღვლენილი ლოცვა...
ჩემი დაიც შემოდგომის ხეა
შენ წუგეშად ამოსული
ცრემლშეუმშრალ ბორცვთან...
შემოდგომის მეშინია ახლა,
განძარცვული მიცერიან ხენი...
ჩემი დაიც შემოდგომის ხეა —
განძარცვული სიყვარულით შენით.

შემოდგომა

ნისლს — ღამის პერანგს
მთის ხევისპირს გადიხდის მშვიდად,
შორს განთიადი იღანდება —
თეთრი ფრთა მტრედის
და სადღაც შეხსნილ
ხორბლისფერი გულისპირიდან

სოფელს ვწებიან დიაცივით
 აუდის მკერდი...
 რაღაც პირველქმნილ პანგზე უსტვენს
 სოფლელი ბიჭი,
 ნიავი ხეებს ოქროს კულულს
 უვარცხნის ანცად...
 ისე ირთვება ცის თავანი,
 მზე ისე იწვის,
 თითქოსდა სადმე აპირებდეს
 სოფელი წასვლას...



ვახტანგ ახვლელიანი



ზურაბ ხაბაძეს

მე შემოვდივარ
 და რაღაც ხდება...
 თითქოს სამყაროს
 ეცვლება ფერი,
 უკან რაც იყო,
 მკრთალდება,
 ქრება,
 და რაც წინ არის,
 ტირის თუ
 მღერის...
 ზეგარდმო ძალთა
 შენი სამყარო
 არ იცნობს ზღვარს და
 არ იცნობს ნაპირს.
 იქნებ ქალია,
 შენ რომ გლომპარობს,
 იქნებ — გენები
 შორეულ პაპის?
 შარიშურობენ
 ფერთა გამები,
 სადღაც, ბინდუნდში,
 მქრქალდება მერი...

და საუკუნის
 დიდი წამები
 გუგუნებენ და
 უმზერენ მერმისს...
 მოხრილი ზურგი...
 გვერდული მზერა...
 გრძნეული ფუნჯი
 ტილოზე შფოთავს..
 რაღაც სხვა არის
 ფერიც და ბგერაც,
 რაღაც სხვა არის
 შექსპირიც,
 შოთაც.
 მე შემოვდივარ
 და რაღაც ხდება...
 გრძნობათა ბლონდი
 ნისლდება თვალწინ —
 მამულზე ფიქრი,
 მამულის ნება
 გათოვს და გაწვიმს,
 გათოვს და
 გაწვიმს!..

მიფრინავენ, მიფრინავენ ულმობლად წლები,
 კვლავ თავს ვიყრით ახლა უკვე ჭაღარა ძმები.
 გვახსენდება ბავშვობა და ვაწვალებთ ღილებს...
 და ვუჩივით გულდაწყვეტით დროსა და შვილებს.
 ვკამათობთ და ვლაზღანდარობთ, რა დაღევს სათქმელს,
 ძველებურად ვეღარცერთი ვერ ვიტანთ სასმელს.
 ხან განვიცდით დინამოელთ იშვიათ ნულებს,
 ვწარ-ვზეიმობთ მოპოვებულ ადგილს და ქულებს.
 მერე ათას რაღაცაზე ვჭმუნავთ და ვდაობთ
 და ვიმრავლებთ შეუმჩნევლად ნაოჭზე ნაოჭს.
 უფრო ხშირად გვტკივა წელი, ვუჩივით გულებს,
 ახლო-ახლო ვუწოჩდებით გაშანთულ ღუმელს.
 ჩვენ დედის, ჩვენი მამის რა დაღევს ნატვრას,
 მაგრამ... სულ-სულ იშვიათად ვნახულობთ საფლავს...
 კიდევ ერთი დღეც რომ გადის და მარტო ვრჩები,
 ვვედრი გამჩენს:
 — ღმერთო, დიდხანს მიცოცხლე ძმები!

გადრი თევზაპვ

ვაი, მე და თქვენ, ლექსებო ჩემო,
 ამ ჩემი ციდან
 თოვლის ფიფქებად თუ არ დაცვივდით
 დედამიწაზე.
 თეთრი ალერსით თუ ვერ დაფარეთ
 ყველა ქუჩა და მინდორი ყველა,
 ფრთიან გუნდებად თუ არ შეგპრათ
 შეგვარებულის თბილმა ხელებმა,
 გულმა გულისკენ თუ არ გაგტყორცნათ,
 ვაი, მე და თქვენ, ლექსებო ჩემო!
 ვაი, მე და თქვენ!

ამ ჩემი ციდან
 ზღველა წეიმებად თუ არ მოხვედით
 დედამიწაზე
 დაგროვილ ცოდვათ წასალეპავად
 და თუ კაცთაგან
 მკერდი არავინ არ გადიღედა,
 ვაი, მე და თქვენ, ლექსებო ჩემო!
 ვაი, მე და თქვენ!
 ამ ჩემი ციდან
 სეტყვის მარცვლებად თუ არ იქუხეთ დედამიწაზე
 ჩემი კუთხიდან მტერთა ჩვენთა გადასარეპად.
 და თუ არავინ არ შესძახა „ჰე მაგათაო!“
 და დერბენტი და დარიალი თუ ვერ შეჰქარით.
 ვაი, მე და თქვენ, ლექსებო ჩემო!
 ვაი მე და თქვენ!
 ამ ჩემი ციდან
 შუალამისას
 მზის ნააერწკლებად თუ არ გაჩნდით
 დედამიწაზე
 და თუ ვერავის ვერ ჩასძახეთ
 „განიხვენ თვალნი“.
 ვაი, მე და თქვენ...
 ვაი მე და თქვენ!...



დასრულდა უკვე...
 შენი ვალია
 ბედნიერება ატარო მხრებით,
 პარადოქსია: ბედნიერების მსუბუქი ფრთები.
 იგი მძიმეა,
 თუმც მშიერია და მწყურვალია.
 და რომ არავინ არ იქილიკოს
 ისე ეჩვენე უჩინ-მაჩინებს,
 რომ მათ იფიქრონ:
 ბედნიერება კი არ გამძიმებს,
 ყველაზე მაღლა მიგაფრენს თითქოს.


თუ მარტო შთენილს შეგძრავს ოცნება;
არ განიტვირთო მხრები,
ბედნიერებას მართლა აქვს ფრთები, —
როცა გშორდება.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღირაგური

აჰა, ეს მზერაც მბზინავი ღულის,
ეს გასატანი ბოლო 'ღელოა...
„არ ამაცდინოთ, უხსოვარი ჟამით მოსული
ჩემს უკან მთელი საქართველოა“!
„არ ამაცდინოთ, არ დაჰყარგოთ სული ქენჯნილი,
მე თვით გელოდით... გასატანი ბოლო ღელოა...
ასგზის სხვათაგან, დღეს ჩემს მიერ გადარჩენილი
ჩემს უკან მთელი საქართველოა“.



პოლონეზი ლეის უკაინქაზე



ა ა ბ ლ ი

ლარისას უჭირდა ქუთაისთან განშორება, ის შეეჩვია ამ ლამაზ ქალაქსა და მის ხალხს. უჭირდა იმიტომაც, რომ სწორედ აქ შექმნა თავისი შესანიშნავი „ტყის სიძლერა“, აქვე შეიძინა ძვირფასი მეგობრები. და აი, ისევ გამგზავრება...

სუვლიანად წერდა დედას: „...ისევ ხონში („საქართველოს ათენში“) უნდა გადავბროვეთ... არ ვიცი, წავიდე თუ არა...“.

მაგრამ გამგზავრება მაინც მოუწია.

„...აი, უკვე ხონში ვართ... ირგვლივ ბაღ-ბოსტნები და მწვანეში ჩაფლული უზარმაზარი ეზოებია, სახლები აქაურებს ცოტა მემჩანური აქვთ, მაგრამ კავკასიური სტილის – დიდაივნიანი, მომწონს ხონა“.

სექტემბერი კვიტკოვბის ოჯახს შესანიშნავი ამინდებით შეხვდა. მწვანეში ჩაფლული ქალაქის პავა სალბუნივით მოუწია ლარისას ჯამბრთელობას, სულის შენეობა შემატა და მანაც დიდი გატაცებით დაიწყო მუშაობა დრამატულ პოემაზე „კექილი მარტიანი“.

ფარცხალაძეების ერთხართულიანი სახლი, სადაც ლარისა მეუღლესთან ერთად დაბინავდა, ხონის პირობაზე საკმაოდ დიდი და ლამაზი იყო. კიბის ექვს საფეხურს აიკლიდით თუ არა, ქართული ორნამენტებით მოხარატებულ ფართო აივანზე აღმოჩნდებოდით. სახლის ექვსი ოთახიდან ლარისას მხოლოდ ერთი ეკავა, ოთახის ფანჯრები ეზოში გადიოდა, რომლის შუაგულში ასწლოვანი კაქლისა და შების ხეები იდგა. სწორედ იმ მუხის ქვეშ, ძველებური ქართული სუფრის ირგვლივ, იკრიბებოდა ფარცხალაძეების ოჯახი ზაფხულობით.

ხეხილითა და ვენახით გარშემორტყმული სახლი, რომელიც ფარცხალაძეების ეზოს ეკვროდა, აბაკელიებს ეკუთვნიდა. მეზობლებს ერთმანეთში ნათესაობა არ ჰქონდათ, მაგრამ მათი სიყვარული და ურთიერთპატივისცემა ყველასათვის სამაგალითო იყო, ლარისა და მისი მეუღლე ხონში ჩასელისთანავე არათუ მარტო მასპინძლების, არამედ მთელი სამეზობლოს ყურადღებისა და მზრუნველობის ცენტრში აღმოჩნდნენ.

როცა ლარისა მღეროდა ან ლექსებს კითხულობდა, მისი ფანჯრების ქვეშ ნა-
ვეგების მთელი რაზმი ვროვდებოდა და გაცხარებული ტაშისცემით ამხნევებდა
სტუმარს, მათ შორის განსაკუთრებით შეიდი წლის თამრიკო — აბაკელი მარტინის უძა-
ლიშვილი გამოირჩეოდა. მან პირველი ნახისთანავე შეიყვარა ლარისა დეიდა.
თამრიკომ შეამნია, რომ ლარისას ევავილებია და ვენახის მორწევა უყვარდა და
დილაუსტენია ხვდებოდა მას წყლიანი ღოქით ხელში. მალე ლარისას ფანჯრებთან
თამრიკოსა და მისი პატარა მეგობრების ხელით დარგული ევავილები გაიფურ-
ჩქნა. მა ადგილს ბავშვებმა ლარისა დეიდას ბაღი შეარქებს. თამრიკოს უთხრეს,
რამდენიმე თვისა და კიდევ რამდენივე დღის შემდეგ შვიდი წლისა გახდებინ. ასე
რომ, სახუქრებსაც მთიღებდა. „მე კი ეველა იმ სახუქარს ლარისა დეიდას მივარ-
იმევო“, ფიქრობდა გოგონა. თანაც მანამდე თიხისაგან ირემს გამოძერწავს და
იშახაც მან ახუქებს. განა ლარისა დეიდას არ მოუწონა ამას წინათ გამოძერწილი
ფიგურები. განსაკუთრებით ირემს დაადგა თვალი. ახლა უფრო უკეთესს, გაცი-
ლებით ეკეთესს გამოძერწავს.

ხოსა და მისი შემოგარენი უხსოვარი დროიდან იყო განთქმული განსაკუთრე-
ბული თიხით, რომელსაც საპნის მაგივრად ხმარობდნენ. თმისათვის უებარი წაძა-
ლიარი, იტკოლნენ აქაურები.

თიხის იშვიათმა პლასტიკურობამ მეთუნების განვითარებას შეუწყო ხელი,
ხონერი ღოქი, ქოთანი და ჯამი იშვიათი სიმტკიცითა და სილამაზით გამოირჩე-
ოდა.

თამრიკოს ნიჭი ეველაზე უწინ მია გიორგიმ შენიშნა, ქუთაისიდან ჩამოვი-
დოდა თუ არა, პირველად მის პატარა „სახულოსნოს“ მიაღებოდა და დიდხანს
ათვალიერებდა ფრინველებისა და მხეცების ნაძერზ ფიგურებს. მია გიორგიმ იხიც
უთხრა, როცა გაიზრდება, ღიღი მხატვარი იქნებოთ... ქუთაისიდან ხმირად უგზავ-
ნიდა სახატავ ფანჯრებს, საღამავებს და ქაღალდებს.

— როცა გავიზრდები, უეჭველად ლარისა დეიდას დაეხატავ, — ოცნებობდა
თამრიკო, — დავხატავ მის ლამაზ, ცისფერ თვალებს. მერე იჯდა და ფიქრობდა,
სიმღერასავით მომღინარე ხმა, ლარისა დეიდას სმა როგორდა დაეხატო.

ბეჭრს ეწვადა, მაგრამ კრაიტოთ შეძლო, თუნდაც მიემსგავსებინა ლარისას
ხახისათვის თავისი ნაძერწი.

და აი, ერთხელ, როცა თამრიკო თავის ეზოში გარინდული იჯდა, ფარცხა-
ლაძებას სახლის ფანჯრებიდან ლარისა დეიდას წკრიალა სმა შემოესმა. მეზო-
ბეღი სახლებიდან საღანი გამოეფინა, გამვლელები ღობებს მიუახლოვდნენ და ევე-
ლანი ხელგანაბეჭდი უსმენდნენ უცხო სიმღერას. ენა არ ესმოდათ, ვერ ხელგო-
დნენ ხამლების შინაარსს, მაგრამ ღებებს უზადო რიტმითა და კეთილხმოვნებით
მოხიბლებული ადგილიდან არ იძროდნენ. რაღაც არაჩვეულებრივად წმინდა და
შვენიერი შედიოდა მათ სულში და რა იცოდნენ, რომ აქ, ხომი, საქართველოს
ცის ქვეშ, ქმნიდა უკრაინელი პოეტი ლეხია უკრაინკა თავის დრამატულ პოემას
„ვექილი მარტიანი“.

ხამღერა დამთვრდა და ხალხმა ხელ-ხელა დაშლა დაიწყო. ლარისა ტახტზე
წამოწვა, თვალები დახუჭა და ფიქრებით შორეულ, საოცნებო სამყაროში გადავი-
და. თვალწინ დაუდგა საყვარელი კიევი და მშობლიური სანახები... ხელა ადგა,
ფანჯრასათან მივიდა, უძირო ზეცას გახედა და სიმღერა წამოიწყო.

ქუჩაში განტიკუნტად შენჩენილი გამვლელები გაირინდნენ, თამრიკო, სიხა-
რულისაგან გაბრწყინებული თვალებით აქეთ-იქით დარბოდა და აღტაცებული
იმანოდა:

— კეთილი, როგორ მდევრის, ეს ლარისა დეიდაა, ჩემი ლარისა დეიდა.
ხალხი ღიმილით უქნევდა თავს გოგონას.



* * *

ამომავალი მზის პირველი სხივები ის-ის იყო ლარისას ოთახს მოეფინა, რომ
ფანჯარაში თვით ლარისა გამოჩნდა. თავი ასწია, მზებ ახედა და თვალები მოშუ-
ჭა. ასე იდგა ერთ ხანს, გარინდებული.

თამრიკოს დედა ძროხას წველიდა. ბავშვი ნაღვლიანად უცქეროდა ვერაონა,
რომელიც ძალზე ნელა ივხებოდა. მერე ამოიხსრა. დედამ მოხედა, ხელიდან ჭოთა-
ნი გამოართვა და რძე დაუხსხა. თამრიკო სირბილით გაიქცა მეზობელი ვერახაკენ
და რამდენიმე წუთში ლარისა დეიდას ფანჯარასთან გაჩნდა. იქევ ჯორკო შენიშნა,
ჭოთანი მიწაზე დადგა, ჯორკო ფანჯარასთან მიიტანა და ზედ აცოცდა, მერე
ჭოთანი აიღო და რაფაზე შემოდგა.

უცებ ნაცნობი ხმა გაიგონა: — ეს შენა ხარ, თამრიკო?

ფანჯარასთან ლარისა დეიდა იდგა და იღიმებოდა. თამრიკომ თავი ნაღვსა და
დაიმორცხვა, ისე, თითქოს რაღაც ცედი ჩაედინოს.

— ეს რა არის, რძე? — იკითხა ლარისამ.

— დიან, ახალმოწველილია... — თავაუღებლად ჩაიღუდლუდა თამრიკომ.
ლარისას თვალებზე ცრემლები მოადგა, ხმა უთხოოდა, მიხვდა, რაც ჩაეფიქრები-
სა ბავშვს, მაგრამ კელში მობჯენილი ნერწყვი გადაყდაპა და მაინც ჰქითხა.

— რად გაისარჯე, ჩემთვის ხომ მოაქვთ რძე?

— კი, მაგრამ, ეს ახალმოწველილია, გარდა ამისა, ჰო, ჰო, გარდა ამისა,
თქვენთან რძე ყოველდღე არ მოაქვთ... — ისევ თავხალუნული ლაპარაკობდა. მერე,
თითქოს რაღაც გადაწყვიტაო, თავი სწრაფად ასწია, ლარისას თვალებში შეხვდა
და უთხრა, — მოაქვთ, მაგრამ ყოველდღე არა... თქვენ კი რძე ყოველდღე უნდა
ხვათ, დასხ, ყოველდღე!

— თამრიკო, ძალზე გთხოვ, ეს რძე ხალში წაიღო—ლარისამ სტუკის დამთა-
ვრება ვერ მოასწრო, რომ თამრიკომ ჯერ გაბრაზებით შეავლო თვალი მას, მერე
შეურაცხოფილი, ჯორკოდან ჩამოხტა და ტირილით გაიქცა სახლისაკენ.

* * *

— რა მოგივიდა... ქოთანი გატეხე გზაში? — შეეკითხა გაოცებული დადა,
მაგრამ თამრიკომ პახუხის ხაცლად უფრო უმატა ტირილს, ორთავე ხელით გა-
გულისხმით იწმენდდა ცრემლებს.

— გეფოფა ამდენა ტირილი, ლარისა დეიდა დაგინახავს და იტვის, ეს რა
გაუგრინარი, მტირალა გოგო ყოფილაო. აბა, ახლავე მოიწმინდე ცრემლები და
რძე დალიე! — გაბრაზებით უთხრა დედამ და რძიანი ჭიქა დაუდგა.

— არ დავლევ, არ დავლევ, ლარისა დეიდამ უარი თქვა ჩენი ძროხის რძეზე,
შეც ადარ დავლევ.

ამ დროს კარებში ლარისა გამოჩნდა, ხელში ქოთანი ეჭირა. თამრიკოს დადა
სტუმარს თბილად მიეხალმა, ლოფაზე აკოცა და გამოწვდება ქოთანი ჩამორიცვა.
ბავშვი გაფაციცებით უცქეროდა ქოთანს და როცა დარწმუნდა, რომ შიგ არაფური
იყო, სიხარულისაგან თვალები გაუბრწყინდა და გაიღიმა.

ლარისამ შენიშნა თამრიკოს წინ მდგარი რძიანი ჭიქა და ჰკითხა:

- რატომ არა სეამ რძეს, თამრიკო, რა, უგემურია?
- თქვენ რატომ არ მიირთვით ჩენი ბრონის რძე? — უბახუსა თამრიკუს დამდაშავე და გამომცდელად მიაცერდა დარისას.
- როგორ არა, მე უკვე დავღივ, რა გემრიელი რძეა, დიდი მაღლობა, ჩემთ თამრიკო!

ბავშვები უმაღლ გამოცალა ჭიქა და სიხარულით შესძახა: — ო, რა გემრიელი რძეა, რა გემრიელი, მე აწი ყოველდღე დავლევ დარისა დეიდახთან ერთად ჩენი გიშერას რძეს. — მერე სწრაფად მობრუნდა და ლარისას პკითხა: — ასე არ არის, ლარისა დეიდა?

— პო, ჩემი ძვირფასო, თქვენს გიშერას ყველაზე გემრიელი რძე აქვს, ხვალიდან რამაცემ ერთად დავღიოთ ხოლმე.

* * *

პელო ბებიამ ბალახებისაგან შინაური წამლების დამზადება იცოდა. ბევრი ავადიკოვი მოურჩენია მის წამალს. და აი, ერთხელ, როცა იგი თავისი ახლო ხათებავების — ამაკელიების ოჯახში მივიდა, პატარა თამრიკომ უკამაყოფილოდ უთხრა:

— მე რომ თქვენსავით ბალახებისაგან წამლების მომზადება შემეძლოს, პირველ რიგში ლარისა დეიდას განკურნავდი.

პელო ბებიამ თავაუ ხელი გადაუსვა გოგონას, და წენარად უთხრა:

— განა მეც არ მინდა ეს?... აი, ჩამოვა ქუთაისიდან აღვ, მაშინვე საირმეს ტყეში გავვრავნი ჯაღლისნერი ბალახის, ორფოთოლას, მოსატანად. მერე კი შენი ლარისა დეიდახათვის იხეთ წამალს გავაკეთებ, რომ უკამელად მოუწდება, უაშველად.

— ორფოთოლა!... მე ვაცი ეს ნალახი, რომ დიდი ფოთოლი აქვს, იქნებ ჩენს გზოშიც ვაბოროთ.

— არა, ჩემი ძვირფასო, ის ბალახი მარტო ტყეში ხარობს, ისიც საირმის ტყეში, იქ, სადაც აღამიანი ცხოვრობს, ორფოთოლა არ წარობს.

თამრიკო ჩამოექნდა და პელო ბებიას მიაცეკერდა.

— როდისხდა ჩამოვა ის აღვ ბიძია? ახეთი ვინაა, მის გარდა რომ ქვეყნად არავის შეუძლია ორფოთოლას პოვნა?

— როგორ, შენ არ გახსეოვ აღვ ბიძია? ის ხომ პირველი მომდერალია ხორში, ჩენი მეზობელის, აღვეხს ფარცხალაძის ბიჭი. აზლა ქუთახში სწავლობს, გმჩა-ზიაში, და მაღვ არღადევებზე ჩამოვა. ერთ კვირაში თუთხმეტი წლისა შეხერულება. ასე, რომ, თუ კარგ ნიშნებს ჩამოიტანს, მაშამისი დღეობას გადაუხდის.

— პო, პო, გამახსენდა, პელო ბებია, გამახსენდა. როცა აღვ ძია ქუთაისიდან ჩამოდის ხოლმე, დაგვაეჭებს ბავშვებს და დიღიდას საღამომდე ჩენთან ერთად მდერის. როგორ გაეხარღება მისი ნახვა ლარისა დეიდას, მასაც ხომ გაგიფებით უვარს ხიმდერა. — მაგრამ, თამრიკო უცეც მოიღუმა და უკამაყოფილოდ უთხრა პელო ბებიას, — მაგრამ ბიძია აღვეხ ჩამოსვლამდე დიდი დროა, ლარისა დეიდას კი სასწრაფოდ სჭირდება წამალი. ამდენი დოდინი განა შეიძლება, მე თვითონ წავალ მევობრებთან ერთად საირმეს ტყეში, ვიპოვით იმ ორფოთოლას და...

— არა, ძვირფასო, — თავი გააქნია პელო ბებიამ. — შენ ხომ იცი, რომ საირმეს ტყე აქვდან შორსაა, ცოტა მოითმისე და უკამაყოფილოდ უთხრა.

ქ. ჟაფარ შას. საკ. საკ.

სიხელმწიფო რესპუბლიკი.

გიგანტობრივია 17



სარიცხული
შემოტკიცება

სადილობის შემდეგ თამრიკო ეზოში გამოვიდა, საქანელაში ჩაჯდა და მაღალ ხის ღეროს დაუწყო წიწენა. ნელა ქანაობდა და თან ფიქრობდა. „აღვ უკვე დიდია... ერთ კვირაში მეც დაბალების დღე მაქვს, შვიდი წლისა გაფხდები და...“ თამრიკომ თითოებზე თვლა დაიწყო და როცა დარწმუნდა, აღვ ორჯერ უფრონი ცო მასწევ, ეწეოდა.

— რაც არის, არის, — წამოიძახა ბოლოს, ვიყო შვიდი წლით უმცროსი, მაინც წავალ იმ საირმეს ტყეში და იმ ბალასს ვაძოვო. პელო ბებიამ კი თქვა, შორს არისო, მაგრამ თუ აღვს შეუძლია წასვლა, მე და ჩემი შეგობრები ვერ შევაღწევთ? უნდა მივაღწიოთ, ლარისა დეიდა ძალზე ავადაა. იქნებ დაგუცადოთ აღეს? მაგრამ არა, ამდენი ლოდინი აღარ შეიძლება.

თამრიკო წამოხტა საქანელადან, მეზობლების ბავშვები მოძებნა და კველანი ერთად საირმეს ტყისაკენ გაემართნენ.

* * *

სულ უფრო და უფრო ბევრდებოდა. ზეცა შავდებოდა და თითქოს უფრო პატარა ხდებოდა. მთებში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა, ავისმომასწავებული სიჩუმე, ვარსკვლავები არ ჩანდნენ. თანდათან ღრუბლები ძირს დაუშვნენ, ისე და-დაბლდნენ, შესინებულ ბავშვებს ცახცახი დააწყებინა. მერე კველაფერი ამორიაკდა და წვიმა დაიწყო. შორს, სიბეჭდეში მთათა სილუეტები გაკრთა და კლვამ ზეცა გავვთა, საშინელი ქუხილის ხმა გაისმა. ისე გრგვინავდა, პატარებს ზღაპრებში განაცონი დევების ხარხარი ეგონათ.

თამრიკომ მეგობრებს გადასხედა. იდგნენ უმწეონი და შეშინებულები, ერთმანეთს მიკვროდნენ და კანკალებდნენ. უცრიად სწორედ მათ გვერდით იცლვა, ცეცხლოვანი ისარი მიწას დაცა და ისეთი გამადწრუუბელი ჭახანი გაისმა, ბავშვებში იფიქრებს, ქვევანა გადაიღიაკდა და უფსერულისაკენ მივექანებითო. მიწაზე დაგარდნენ და ტირილი დაიწყებ.

ქუხილი ახლა მთის გადაღმიან ისმოდა, მაგრამ კლვის შუქი ისეთი შევერთი და თვალისმოგრელი იყო, დღესავით ანათებდა იქაურობას. თამრიკომ თვალი ვა-ახილა და ხის ძირში ორფოთოლა შენიშნა, თანაც ერთი კი არა, ბევრი, მოვლი ხის ძირი ორფოთოლებით იყო მოფენილი. ეღვა გაქრა და ბავშვმა სიბეჭდეში ხელების ცეცებით ორფოთოლების თხრა დაიწყო. კა არ კრულა, ფეხებიახად გლევდა მიწიდან. მერე მერიფასი საუჯრე მკერდზე მიიკრა, თითქოს ემინოდა, არავინ წაშართვასო.

ისევ კოკისპირულად გაწვიმდა, ბავშვები დიდი ხის ქვეშ შეუვერდნენ, მაგრამ ასეთ თავსნებაში მაინც რა უშველიდათ, გალუმშეულებმა არ იცოდნენ, რა ექნათ.

თანდათან წვიმიმ იკლო, ეღვის მათრასები მთების გადაღმა ჩაიკარგა და ქუხილის ექც თან გაიყოლია. ისევ გამეფდა სამარისებური სიჩუმე, მოვარე ამოვადა, გაანათა იქაურობა, ბავშვებს შიშა გადაავიწყდათ და ისევ ბალახის მეტან შეუღგნენ. მოვარის მკრთალი სინათლე ხის ძირებში ერ აღწევდა და მათაც უჭირდათ ერთი ბალახის მეორისაგან გარჩევა.

ბოლოს ერთმა ბავშვმა წამოიძახა:

— სულ ტყეშილად ვებებზე აქ, ხომ სედავთ, არაფერი არ არის, ორფოთოლა ტყის სილრმეში, უფრო შორს უნდა ვებიოთ.

— არსადაც არ წავალ, — ტირილნარევი ხმით თქვა პატარა ზურაბმა, ეჭვე
ლაშვა, ღვდაჩემი მექებს ალათ, სახლში უნდა დავბრუნდე. ცირკელი
— მე კი ჟევე ვიპოვვე, — ამაფად დაიძახა თამრიკომ, ნელა გაშალმაც უსწერეს
ლის თითები და უველამ დაინახა ორფოთოლას ფოთლები.

— ვაშა! — ტყეს ბავშვების ყიფინამ გადაუარა.

პართალია, გალუმბვლები კი იყვნენ, მაგრამ ორფოთოლა ხომ იპოვებს! სიძ-
ლერით დაადგნენ სოფლისაკენ მიძავალ ბილიკს, თავი ამაფად აეწიათ და ბერიე-
რები მიაბიჯებდნენ. თამრიკო მათ შორის უველაზე ბერიერი იყო, გულზე ორფო-
თოლები მიეკრა და გაბრწყინებული თვალებით უცქერდა მეგობრებს.

* * *

თამრიკო მთელი დამე სიცხიანი ბორგავდა, მხოლოდ გათენებისას ჩაეძინა
დაწყოლ-დაქნებულს.

ლარისას ძალზე გაუკვირდა, რომ დილით თამრიკომ ჩვეულებისამებრ რძიანი
ქოთნით არ მიაკითხა. გელმა ცუდი უგრძნო, ეზოში გავიდა და ბავშვების მთელი
ბუნები შენიშნა, რაღაცაზე გაცხარებით კამათობდნენ. ლარისა შენიშნეს თუ არა,
ეშმაკურად გაიღიმეს და გარს შემოუწვივნენ. წუხანდელ ამბებს ტყუილად არ ჩაე-
გლო. გამუდმებით აცხიკებდნენ და ახველებდნენ. კველა ერთად ალაპარაკდა, ლა-
რისა მოლოს, როგორც იქნა, გაიგო მათი ტყეში გაპარვისა და თამრიკოს ავად-
მყოფობის ამბავი და ამავლიერის სახლისაკენ გაეშურა. პელო ბებია მიესიყვარუ-
ლა სტუმარს, შემფოთება შეატყო სახეზე, დააშვიდა:

— კველაფერი რიგზეა, თამრიკო უკვე კარგადა, სიცხემ დაუწია, ჩემი წამ-
ლებით მოვარჩინე. კარგად რომ გამოიძინებდეს, აღარაფერი უჭირს.

ლარისა თამრიკოს თახაში შევიდა, კველანი ჩუმი ნაბიჯებით მიყვნენ უკნ. გოგონას ტბილად ემინა და თანაბრად სუნთქვავდა... შოულოლნელად ალაპარაკდა, ეტკამოდა სიზმარში იყო: „ლარისა ღეიდა... ორფოთოლა, ორფოთოლა...“ ლა-
რისა მდელვარებისაგან ტუჩები უცახცახებდა, უნდოდა დაწრილიყო და გულში ჩაეკრა თავისი პატარა მეცობარი. სწორედ ამ დროს თამრიკომ თვალები გაახილა, ისევ დასუჭა და ისევ რომ გაახილა, ლარისა დეიდა დაინახა, გახარებულმა გო-
გონამ ლოგინიდან ჩამოიჩია და შეხძია:

— ლარისა დეიდა! — თამრიკომ ბალიში გამოსწია, პატარა ბოხჩა გამოიღო, განსხნა და ლარისას მიაწოდა. მერე პელო ბებიას ხელი მოკიდა, წამოლგა და სხა-
ბასხუპით დაიწევ:

— აწი ლარისა დეიდას არაფერი უჭირს, მაღვ მორჩება და მუდამ, მუდამ
ჯანმრთელი იქნება. ასე არ არის, პელო ბებია?

— პო, შვილო, — მიუვო პელო ბებიამ და ლარისას გადახედა, რომელიც ცდი-
ლობდა რაღაც ეთქვა, მაგრამ მდელვარებისაგან თავს კედარ იმორჩილებდა, წამ-
წამებადან რო მოციმიც კურცხალი ჩამოუგორდა.

მოყენი ღამე ლარისა „ტყის სიძღვნიზე“ მუშაობდა და სულ თამრიკოზე ფიქ-
რობდა. ხედავდა, როგორ ემებდა ტყეში, თავსხმა წვიმაში პატარა გოგონა ორფო-
თოლას.

პოვმის აღილი, სადაც მრისხანე ტყისკაცი საბრალო მავკას უღრანში შეი-
ტყვებს, გადაძეოთ.

* * *

თამრიკომ გაიგო, რომ ლარისა ქუთაისიდან სურამში გადაევვანათ. მისი საყ-

ვარელი დეიდა ძალზე ცუდად იყო. ერთხელ უფროსების ლაპარაკს მოკრდა ჟარი, ლარისა დიდხას ვეღარ იცოცხლებსთ. ბაქში ტიროლა და გამუდმებით ჩატვალა, სანაც ძირფასი ლარისა დეიდას სახეს ძერწავდა.

ბაქშის მხატვრული ქმნილებები თითქმის სრულებით არ ჰკავთ შათო ცაჭ- ვარელი იდამიანის ნამდვილ სახეს, მაგრამ მან იცოდა, სწამდა, რომ უაშევლად გახდებოდა მხატვარი. აი, მაშინ კი, მაშინ გამოძერწავს თამრიკო ლარისა დეიდას სახეს ისეთი ოსტატობით, ისეთი სიყვარულით, რომ ყველანი გაოცდებიან.

* * *

ფართო, ქართულ აივაზზე, ღრმა სავარძელში, ქალი იჯდა, შორს, სურამის ციხის ნაცრუვები წარსულის მიქრალი მოგონებებივით მიცურავდა ღრუბლებში. უფრო შორს, პორიზონტს მიღმა, თერთი მწვერვალი მოჩანდა, რიმისფერი ნისლის პატარა ფთილა მანდილივით მოწვეოდა თავზე, მთებზე შეფენილ ბალაზებში ფა- ვილები ჰდვის ტალღებივით ირწეოდა.

ლარისას თვალები მიეღულა და ავალდეოფობისაგან გათანგული, ფიქრებით აქედან შორს გადასულიყო.

— ოქროსფერი წტეპები, უძირო ზეცა, დნეპრი, დიღებული დნეპრი...

— უკრაინა... — წარმოთქვა მან ჩერნულით, ჩემო მშობლიურო უკრაინავ, ხუთე ველარასოდეს გინილავ კვლავ? ხუთე აღარ მელირსება სამშობლო ზეცას ხავა, დაქსიზმრა, თითქოს ქართველებმა ჩემი ნეშტი თავისთ უგველეს შიწას მიაბარეს. ძალზე მიეკარს ეს ზღაპრული ქავანა, მაგრამ მინდა ჩემმა ტაჯულმა სამშობლომ ჩამიკრას გულში... ჩემი მეგობრებო, მე გხედავთ თქვენ, რად მიცე- რით ასე, ხუთე არ გჯრათ ჩემი გულწრფელობა!?

მიეკარს თქვენი ქვეყანა, ის ჩემი მეორე სამშობლო. ვიცი, ახლა რომ აქ იყოთ, მეტყოდით: „ძირფასთ ლარისა, ვეჯრა, რომ შენს, კეთილ გულში ჩვენც ვიძოვეთ ბინა, მაგრამ ახლა ტყეუილად მიეძალე მრუმე ფიქრებს, განდევნე ისხინი... გადაიმე ლესია! ხედავ, რა ლამაზი, რა დიღებული დღეა“. პო, ძირფასებო, შშვე- ხიდი დღეა, მაგრამ თქვენ ვერ ხვდებით, ალბათ, რომ ზაფხულის ეს დღე ჩემი შეშოღომის დღეა. მე უკვე დიდი ხანა ბავშვი აღარა ვარ და კარგად ვხედავ როგორ შემოაძრცვა ულძიბელმა ქარისა ცოლლები ჩემი სიცოცხლის ხეს, ეს შენ მას ვეღარ გაათბოსს, ვეღარც გაანათებს ვერასოდეს. სიკვდილი უახლოვდება, ის მას ვეღარ გაათბოსს, ვეღარც გაანათებს ვერასოდეს. სიკვდილი უახლოვდება, ის მას ვეგვი ახლოსაა, აგვე, ჩემს სახორციალოა, თავისეკუნ მიხმობს. წარი... დამტოვე უკვე ახლოსაა, აგვე, ჩემს სახორციალოა, თავისეკუნ მიხმობს. წარი... დამტოვე სიკვდილო, მე არ დაგნებდები... ასე უბრალოდ არ მოგიხრი ქედს. შენ შეიძლება სიცოცხლე წამართვა, მაგრამ ამ მიწაზე მე დაგრჩები მაინც!“

ლარისა სიტყვებს ჩუმად, ძლიგს გასაკონად ლაპარაკობდა, მაკრამ ამ სიტყ- ვებს ქარიშხლის ძალა ჯქონდათ, — ქარიშხალი ჩომ სიჩუმეში იბადება. შეს ენვე- ნებოდა, რომ სიტყვებს ჩხამალდა, კვირილით წარმოთქვამდა, სინამდვილეში ხულ უფრო ხელა და ხელა იმმოდა ჩერნული.

— მოვა ქარიშხალი და წალეპავს ყველა უწმინდურებას, მიწაზე სიძართლის ზეიმი იქნება. თავისუფლებისა და ბედნიერების მზე ჩემს საყვარელ უკრაინაშიც ამოვა! — ლარისამ უხიცოცხლო თვალები გაახილა და განაგრძო; — არ დაგნებდე- ბი, არა! — მუშტის მოქნევა მოინდომა, თითქოს ვიღაცას ებრძისო, მაგრამ ვერ შეძლო. მერე გაღიმებას შეეცადა, მაგრამ თავი უღონოდ გადაუვარდა, სიცოცხლეში უკანასენელდა გაიბრძოლა.

— ღიმილით ვტოვებ სიცოცხლეს, რათა სამუდამოდ დავრჩე ცოცხალთა შო- რის. სიკვდილო, არ დაგნებდები... არ დაგნებდები, არა!

თვალები ჩაუქრა, კონება დაენისლა, ხელები მოწყვეტილი გით ჩამოუკარის...
განდაცვალა ლარისა პეტრეს ასული კოსაჩი, დედაშიწაზე კი დაიწყო ლე-
ნია უძრაინკას მარადიული სიცოცხლე.

სამოუკარის...
სამოუკარის...
სიცოცხლე

* * *

1952 წლის აგვისტოში საქართველო ლესია უკრაინკას ხსოვნის დღეს აღნი-
შნავდა.

3 აგვისტოს სურამში, ზინდისის მთაზე, უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი,
ადგილობრივ მცხოვრებთა და დამსხვენებელთა გარდა ბორჯომის, ორჯონიშვილის,
ხაშურის რაიონებიდანც ამოვიდნენ. აქვე ივნინ მოსკოვიდან, კიევიდან, ლენინ-
გრადიდან, ბაქოდან, ერევნიდან და რა თქმა უნდა, თბილისიდან ჩამოსული სტუ-
მრები.

თეთრი ნაჭრით დაფარული ქანდაკების ირგვლივ ზღვა ზალხი შეკრებილიყო.
შოუმიქნებად მოელოდნენ ძეგლის გახსნას. ბოლოს ლენტი გადაჭრეს და ქაში
ხაგვეთ ლესიას სახე გამოჩნდა. გაერთიანებული გუნდი ქართველი ქალი კომპო-
ზიტორის სიმღერას ახრულებდა, ეს იყო სიმღერა ლესია უკრაინკაზე.

შეეღას დურადღება ლაბაზი სახის შეახნის ქალმა მიიპყრო. ხელში წითელი
ვარდების გვირგვინი ეჭირა. ქალი მიუხსლოვდა ქანდაკებას, გვირგვინი დადო,
გაიმართა, და კვარცხლბეჭებს მოწიფებით გამბორა.

შერე დაიხრეა თავისივე ქმნილების წინაშე და ლესიასადმი უდიდესი პატი-
ვისცემის ნიშნად თავი დახარა.

გვირგვინს ასეთი წარწერა ამკობდა: „ჩემს საყვარელ, დაუვიწყარ ლარისა
დეიდას, უკედავ ლესია უკრაინკას მისი თამრიერსაგან“.

ეს იყო საქართველოს დამსახურებული მხატვარი, ლესიას პატარა სონელი
მეურბარი, ამ ქანდაკების ავტორი თამარ აბაკელია.

სწორედ ამ დროს გაიხმა შესანიშნავი ქართველი პოეტის ლექსი:

ცოცხალს გეძებდით, ცოცხალი გნახეთ, —

თითქოს ცხოვრება ისევ სიმჯაო!

კუნთებშეკრული ვგ შენი სახე

ხელის სიმტკიცით იქცა ბრინჯაოლ!

შეკიდრად დგას და კიდევ მრავალ საუკუნეს იდგმება ქართულ მიწაზე დიდი
ლესია უკრაინკას ძეგლი, რომელიც მშობლიურ უკრაინას, საყვარელ კიევს, თა-
ვისი ბავშვობის ტკილ სიმღერას — კოლინს გასცემის.

ბლითები და თორცის პური

არავის, ღრმად მოხუცებულებებაც კი არ ასეთი ზამთარი. სამ მე-
ტრნებ მეტი თოვლი მოვიდა. ღამ-ღამობით ყინავდა. დღისით მზე კი გამოისვლავ-
და, მაგრამ თოვლის ღონბას პირი არ უბინდა. ქალაქში, სახლებს შორის გაკვა-
ლულ ბილიკებზე ისე ღადითიდა ხალხი, როვორც ზღაპრულ ლაბირინთებში.

დიდ-პატარა სახურავებზე ასულიყო და ნიჩებით თოვლს ხეეტავდა. მიუწე-
დავდ ამისა, ძეველი სახლები მაინც ვერ უძღებდნენ სიმძიმეს და სახურავჩამტ-
ვრეულები, ზღვაში ჩაირევლი ხომალდებივით ეშვებოლნენ თოვლის ზინიებში.
კლეხოსა ქალაქს მიაწყდა, იქნებ თოვლის წმენდაში ორიოდე კაპიკი ვიშოვით.

ჯებალ თურმანიძემ რომ გაიკო, ბათუმში ხალხი თოვლის წმენდით ფულს
აკეთებს, გადაწყვიტა, რადაც უნდა დაჯდომოდა, ჩაეღწია ქალაქებდე. თანაც
ბათუმში ერთი ბაქოელ მარილით მოვაჭრესთან მთელი ურემი შეშა ჟეონდა და-

ტოვებული და ამაზე კარგ დროს შეშის გასაყიდად ხად ნახავდა. ჯემალმა გადაწყვეტილება სიყრის მეგობარს, ომერს გაანდო, ისიც მასავით თხუთმეტი იყო. მცირეოდენი თათბირის შეძლება გმაწვილები ქალაქის გზას დააღტესტირები

ოციოდე ვერსის გავლას დიდი დრო მოანდობეს. თოვლს ისე დაქორედებულება დაფერი, არა თუ გზის გაკვლევა, უნისის მონაცემებაც კი ჭირდა. შეადაშისას, როგორც იქნა, შევიდნენ ქალაქში, ჯიბეში ორთავებს ერთი საწყალი აბაზიანი კულ.

ამ აბაზის იმედით მიაღენენ ჩაიხანას. ტყიდილი ჩაი და შავი პური მეფეურ სა-დილად მოეხვენათ დამშეულ გმაწვილებებს. მერე დატოვებული შეშა მოიკითხეს, მაგრამ კედლი იპოვნება. სახლის პატრონმა, ვისაც შეშა მიაბარეს, ქვა აავდო და თავი შეუშვირა, შენ რომელი შეშის დარაჯი მნახეო. მერე კი, გმაწვილები კარგად რომ შეათვალიერა, უთხრა, თუ ფულის გაკეთება გხურთ, სახურავი გაღმომითოვ-ლეთ და სამაგიეროდ ვახშამს გაჭრევთ, თანაც სარდაფში დასაძინებელ აღიღს ძოგცემთ.

მთელი დღე მუშაობდნენ ჯემალი და ომერი და საღამოსათვის სახურავის გა-დშოთვლას მორჩნენ.

შეორე დილით გმაწვილებმა სახლის მეპატრონისაგან ორი ნიჩაბი ითხოვეს და სამუშაოს საქანებულად წავიდნენ. ქუჩები ვიწრო თხრილებს პავდა. ზოგან ნა-ძღვილი გვირაბებიც გაეჭრათ. აღაგა-აღაგ თოვლი გამდანიიც და ღრმა ტბორე-ბი იდგა, გამვლელები, ვისაც თოვლის მინდორზე გადახვდა არ შეეძლო, ყინული-ვით ციც წყალში მიაბიჯებდნენ.

ჯებალმა და ომერმა ქალი და მამაკაცი შენიშნეს. ინინი დიდი გაჭირვებით მიიღებულებნენ გზას სანაპიროსაკან, ხადაც გემი იდგა. აბა, რა იცოდნენ გმაწვი-ლებმა, რომ ეს მგზავრები ლუსია უკრაინა და მისი მეუღლე კლიმენტი კვიტკო იყვნენ. ისინი ქუთასიდას ჩამოსულიყვნენ ბათუმში და რამდენიმე დღე გამს კლი-ლენები, რათა ოდესაში, იქედან კი კიევში ჩახულიყვნენ.

კლიმენტი კვიტკოს კისერზე თოკზე ასხმული რუსული ბლითები ეკიდა, რა-ლიაში ქაღალდში გახვეული თორნის პური ამორჩარა, ხელებში კი ორი მოზრდა-ლი ჩემოღანი ეჭირა და ძლივებ-ძლივობით მიაბიჯებდა. უკან ლარისა პეტროვნა შიჭვებოდა პატრა შეკვრითა და ჩემოღინით.

შეზავრები თოვლის ზეინს მიაღენენ და აღარ იცოდნენ, რა ექნაო. ამ დროს მათ გეერლით ჯემალი და ომერი განხნდნენ, მიეცელებნენ.

კლიმენტი სთხოვა ბიჭებს, როგორმე სანაპირომდე მიგვიყვანეთ და თითო-ეულ ექს-ექს შაურს მოგცემთ. ბიჭები სისარულით დათანხმდნენ, ჯერ ბარე გადაზიდებს, მერე კი ნიჩბებიდან რაღაც საკაცის მსგავსი გააკეთეს, ზედ ლარისა პეტროვნა შეხვებს, და გადაიყვანეს გუბეზე. ლარისას ამ ამბავმა ბავშვობა მოაგონა, ყმაწვილებს ქოჩორში ჩააკლო ხელი და მხიარულად იცინოდა.

ახლა ჯერი კლიმენტიზე მიღდა. ნიჩბებზე წამოსკუპებულ კლიმენტი ვასილე-ვის ჰედ შეაგელ გუბები იღლიაში ამოჩრილი თორნის პური გაუგარდა და წყა-ვის ჰედ შეაგელ გუბები იღლიაში ამოჩრილი თორნის პური გაუგარდა და წყა-ვის ლში ჩავარდა. იქნებ პურს მივწვდეო, და ამ დროს კლიმენტის კისრიდას ბლითების ასხმულაც ჩამოსულარდა.

განაწენებულ ბიჭებს დანა პირს არ უხსნიდათ. ოცნებასავით სანატრელი ექვე-ექვესი შაურიც ამდენ შრომასთან ერთად წყალში ეყრებოდათ.

გაღმა ნაპირზე გავიდნენ თუ არა, კლიმენტიმ სინაულით მიხედა ჭუჭყიან მორევში მოტივტივები ბლითებსა და თორნის პურს, მერე გმაწვილებს მიჩერდა, რომელებიც თვალს ვერ უსწორებდნენ სტუმრებს. ქალი მიხვდა ახალგაზრდების გულის წუხილს, საფულე გახსნა, ვერცხლის მანეთიანი ამოიღო და ღიმილით გაუწოდა, მერე თორავებს მხარზე ხელი მოუთათუნა და გემისაკენ გასწია.

ტრაპთან ცოლ-ქმარი ერთხელ კიდევ შეწერდა და გულთბილად დაემშვიდობდა ბავშვებს... გემზე ასულები, ხალხში შეერიანენ, მაგრამ ჯემალი და ოქონი შარები იღენენ, ეგძე ერთხელ კიდევ მოვკრათ თყალი ამ კეთილ ადამიანებსო.

სურვილი აუსრულდათ. ლარისა ჰეტროვნა და კლიმენტ ვასილევიჩი მარტინ ფარების გამოჩენდენ, ბავშვებს ლიმილით დაუქნიეს ხელი.

ჯემალმა ომერს გადახედა და რაღაც უთხრა. მეგობარმა დასტურის ნიშნად თავი დაუქნია და იმწამევე ორთავენი ხადლაც გაქრნენ, ისე რომ, სტუმრებს არც დაშვიდობებიან. გაოცებული ცოლ-ქმარი ვერ მიმხვდარიყო მათი ასეთი გაუჩინარების მიზეზს.

გემზე მეორე ზარი გაისმა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ხუთ წუთში ტრაპი აიწვიოდა და გემი ნაპირს მოშორდებოდა.

სურვილი იმ დროს ნაპირს ჯემალი და ომერი მოაწყდნენ. ჯემალს ხელში თორნის ჟური ეჭარა, ომერს კი თოკზე ასსტული ბლითები ჩამოეკიდა კიხერზე. ბევრი ისვერებს, მაგრამ გემზე არ აუშვეს. მაშინ ერთმა უღვაშა შენდგვაურმა იქინება საშასხვაოს გაწევა და პური და ბლითები ლარისას გადახცა. ბიჭები სიხარულისაგან ხტოდნენ. ქალმა აღელვებით მოიწმინდა თვალზე მოძღვარი ცრემლები...

ვიღაც სათავალიანი კაცი, რომელიც კარგი ხანია აკვირდებოდა ლარისა ჰეტროვნას, ხალხს გამოეკიდა და მისკენ გაეშურა, ხელები გაშალა და უკრაინული აქცენტით ხმამაღლა წამოიძახა.

— ეს ხომ ჩვენი ლესია უკრაინკა, ჩვენი სათაფვანებელი, საყვარელი ლესია უკრაინკა!

მამაკაცმა ჭედი მოისადა, ლარისას მიუახლოებულა და ხელზე ვამსორა, მერე გემბანზე შეეროვნილ მგზავრებისა და ნაპირზე მდგარ გამცილებლებს მიუბრუნდა და ხმამაღლა აუწევა.

— ბატონქმა, მოქალაქენო, კეთილო ხალხსო, ჩვენთან ერთად თვით ლესია უკრაინკა მიეტგზავნება, დადი ლესია უკრაინკა!

ხალხში შეძახილებისა და ტაშისცემის ხმა გაისმა. ეველა ლესიას მიაჩერდა.

ჯემალისა და ომერს მაღლზე გაუკვირდათ, ჩვენი ნაცობი ქალი როგორი დაუახებული ყოფილდა!

ლესია უკრაინკა კი სევდანად გაძურებდა ზღვის ნაპირს, ხალაც ვცნობ ადამიანებს მორის თრი ძონებებში გახეველი, სიცივისაგან აკანკალებული ბავშვი იდგა. როდო იქნება, ნეტავ, ფიქრობდა იგი, რომ ბავშვებს საჭმელ-სასმელი, თბილი ოჯახი და მოფერება აღარ მოიხატრებათ...

გემი ნელ-ნელა სცილდებოდა ნაპირს. გიმბაზისტებმა ხმამაღლალი სიმღერა წამოიწყეს: „მაღლ მოეა განთიადი, მაღლ მოეა მზე“...

ლესიას გაერიმა, ნელი ხმით აპეკა სიმღერას, მერე მისკენ სივგარულითა და თანაგრძნობით მომზირალი ემაწვილების თვალები დაინახა, ისევ განსხნა საფულე, ვერცხლის ფული ამოიდო და ჯემალისა და ომერისაკენ იხროლა. მაგრამ ქალის ხუხტი ხელით ხასროლმა ვერცხლის ფულმა ნაპირამდე ვერ მიაღწია და ზღვაში ნავარდა.

ერთმა გამცილებელმა შეწუხებულ ლარისას დაუძახა.

— რახან თქვენი უკული წყალში ჩაგარდა, ეს იმის ნიშანია, რომ ისევ ჩამოხვალო ჩვენთან!

— მართალია, მართალია! — აპეკა ხალხი ამ სიტყვებს.

გემი სულ უფრო და უფრო შორიდებოდა ნაპირს, ემაწვილები გაუნდრევლად იღენენ და ხელს უქნევდნენ საყვარელ სტუმრებს...

ნასაკირალი

მივქრი შარაზე,
გზისპირას მინდვრებს
მკრთალ ღიმილს აფრქვევს ცა ნაწვიმარი,
უცებ ძახილი სულში ცეცხლს მინთებს:
— ნასაკირალი, ნასაკირალი!

აქ დაკვესილი ცეცხლი მმვინვარე
ქვეყნად ღამსიბილ ბნელს შეეჭიდა,
უსამართლობას შეხლილ სიმართლეს
შარავანდედი ადგა, ზეციდან.

შეხვედრა ჰქონდათ აქ მტერთან მტრული,
აქ, ოზურგეთში მიმავალ გზაზე;
გურული გლეხის ამბოხი სული
ცეცხლად მოედო უანდარმთა რაზმებს.

მომეჩვენება — ცა გრგვინავს რისხვით,
ქვებზე ჭახუნობს ცხენის ნალები,
ნალებრდალივით ედება ტყისპირს
ცეცხლის მფრქვეველი მათი თვალები.

ამ ლამაზ ზილვას აქვს რაღაც ეშხი,
გმირთა სახეებს უამი ვერ ჩრდილავს;
მარადისობა ისუტებს მკერდში
იმ ვაჟკაცების ჯიგრიან ჯილაგს.

ტყვიის წივილი და სისხლის შხეფი
აქა ზაფრავდა მიზანს თავზედურს...
მე ვენაცვალე ამბოხ სულს გლეხის
და ბრძოლის ქარცეცხლს კაშით დანთებულს.

გზისპირს აშოლტილ მუხებს და ძელქვებს
ღიმილში გახვევს ცა ნაწვიმარი.
მივქრი შარაზე და გული რეკავს:
— ნასაკირალი, ნასაკირალი!

ახლა კოსმოსში ვფრინავ ოცნებით,
თვალებს მიცრემლებს სუსხი და ჭირხლი...
და დედამიწა სივრცეში მიქრის
თავის მკვდრებით და თავის ცოცხლებით.

აქ ვარსკვლავები ჩირაღდნებს პგვანან
და საოცრების ეშხით ვბრუვდები.
ოკეანაზე ღრუბლები ჩანან —
ძირს დაშვებული პარაშუტები.

ზოგჯერ პლანეტა ბურუსში არ ჩანს,
გადასწოლია ნისლი ნამგლურად,
თვალს მოვაშორებ ღრუბლების ნაპრალს,
შიგ წიწვნარები წამოვაგრულან.

მოავარაფებს დილის ნათელი
დედამიწაზე ნისლებს დაძენძილს.
მაინც ლამაზად ჩანს საქართველო
ტყიან მოებით და ციხე-ტაძრებით.

შორს ნაცრისფერი ეძლევა ზღვისფერს,
ერთურთს ებრძვიან ყინვა და სიცხე
და მიარღვევენ ჟამთასვლის ნისლებს
ალავერდი და ხერთვისის ციხე.

ახლა კოსმოსში ვფრინავ ოცნებით,
თვალებს მიცრემლებს სუსხი და ჭირხლი...
და დედამიწა სივრცეში მიქრის
თავის მკვდრებით და თავის ცოცხლებით.

ბიძის სავაჭრო

ფიქრი ჯიუტი, უხამსი
მეხვევა, როგორც ტყეს ქაცვი;
რიონისპირას მუხნარში
ლოდივით წევხარ ლევგაცი.

ტოტებს ფოთლები წყდებიან,
სწუხან მუხები ჯმუხები.
მიწისქვეშ ვით ჩერდებიან
ეგ შენი რკინის მუხლები?

ვიგონებ ტყეებს ფერადებს,
დაფურსულს ტყაურ ფიქრებით,
დიღიდან დაბინდებამდე
ვება ცულს რომ იქნევდი.

მახსოვს ახოვან მხარ-ბეჭით
მიუყვებოდი თემშარას.
დაქანცულს, გულგერდგაღელილს
მხრებზე გეყარა ნახერხი,
დასაბერტყად არ გეცალა.

სეღმა ოთხმოცის გაგწირა,
სუფრაზე ვეღარ ლალდები,
უძლებენ დროის ქარ-წვიმას
შენი დადგმული სახლები.

შვილები ომმა ჩაჰყლაპა,
დარღმა დაწყვიტა ძარღვები.
ომის სიმძიმემ გაგთანგა,
თორუმ ლრას წელს გაძლებდი.

და ცოცხლად მიღგას თვალთა წინ
ეგ ვაჟგაცური სახება.
შენებრი მუშა რაჭაში
სანთლით ვერ მოინახება.

ფიქრი ჯიუტი, უხამსი
მეხვევა, როგორც ტყეს ქაცვი;
რიონისპირას მუხნარში
ლოდივით წევხარ დევბაცი...



უკუკი, ჩემ ხისარი კო...

იმ მომენტში დაძინების მეტი დომენტი ახობაძეს არაფერი უნდოდა, მაგრამ პატრინი ხად იყო! მანუჩარ შილაკაძე სიკვდილმისჯალივით იდგა კუთხვში და მოვლენების განვითარებას უმწეოდ ელილებოდა.

დაძაბულობის განმუხტვა მხოლოდ ლილის უნარზე იყო დამოკიდებული. სწრაფად უნდა ემოქმედა, თორემ, დომენტის შემხედვარე, ვინ იცის, რა ხითახს გადაუყოს ბოლო. ამიტომ სტუმრები უპირველესად სუფრასთან მიიპატიქა. მაგრამ უკარგრები ნუკარ-ნუკარი საჭმელები ელაგა, ყველას ნერწყვი მოხდილია, მაკრამ დომენტიმ არავინ მიუშვა, ჯერ მე მაცალეთო, დაიღრიალა და კონაკებს ბოლოს ხელი სტაცია, ლილიმ შიშით თვალები დახუჭა, ახლა ამას მანუჩარს თავს დააფშვნისო, გაიფიქრა, მაგრამ დომენტიმ მხოლოდ ბოლო გახსნა და ყოველ შემთხვევისათვის იკითხა, ამაში ლიმონათი ხომ არ ასხია?

— ლიმონათი კი არა ოცმანეთიანი გრუმია, — უთხრა ზინამ და პატარა ჭიქა მიაწოდა.

— მაგი სათათური არ მინდა! — იუარა დომენტიმ და კარადიდან შამპანურის ფუჟერი გადმოიდო.

ლილი ხელში ეცა, შენ ხომ არ გაგიჟდიო!

— გაგიჟება ამის მერე ნახეთ, ძვირვასო კოლეგებო! — იუბილარის პროტესტის მიუხედავად დომენტიმ ფუჟერი პირამდე გაავსო, — ორბოთ-ლიანი უკვე ვარ, მაგრამ კონიაქს მაინც დავლევ!.. ერთბაშად დავთვრები და მოსახლენი საქმეც მოხდება!

აღელვებული ლალი ხომ სიმწრით თითებს იმტვრევდა, მაგრამ არც

შალვა იყო უკეთეს დღეში, გუმანით გრძნობდა, დომენტი ამ მშვენიერ ჩა-
დამოს ჩაუმწარებდა. წესიერსა და კეთილ კაცს ჩხუბი და აყალებდა და გა-
ვრეტის კვამლივით ეჯავრებოდა.

ამასობაში დომენტიმ უუჟერი სულმოუთქმელად დასცალა.

— მუკე კიტრი მაინც დააყოლე. — ურჩია ზინამ.

ღავეგვისა და კოორდინაციის განყოფილების ყოფილმა ულროსმა
ამღვრეული თვალები მანუჩარ პეტროვის მიანათა.

— კიტრი არ მინდა მე, კარგა ხანია, კაცის ხორცი არ მიჭამია! შალვამ ხელი მოჰკიდა.

— ფეხზე რას დგეხარო, ვარდენიჩ, სუფრასთან დაესხდეთ.

— რომ არ დავსხდეთ, ვითომ რა მოხდება? — კბილები გააკრაჭუნა ვარდენიჩმა. კონიაკი დაყოვნებული მოქმედების ბომბივით საცაა ტვინში გაუსკდებოდა.

— როგორც გინდა, შე კაცო, მე გთხოვ, და... — უკან დაიხია შალვამ.

— რატომ მთხოვ!... შენ უნდა მიბრძანო! ჩემი უფროსი ზომ ხარ?.. ასე არ არის, მანუჩარ პეტროვიჩ?... არ გეყურება ჩემი ლაპარაკი თუ ენა ჩა-
ვივარდა?

სხვა გზა არ იყო, მანუჩარ შილაკაძეს ერთი მარტივი წინადადება მაინც უნდა ეთქვა და მანაც სამად-სამი ოფიციალური სიტყვა გაიმეტა.

— რა გნებავთ, ამხანაგო?

— ამხანაგო?!.. მომხსენი და მაინც შენი ამხანაგი ვარ?!

— შენი ჭირიმე, დომენტი, რა მოგივიდა! — ლილი საცაა ტირილს დაიწყებდა.

— ამაზე უარესი რა უნდა მომსვლოდა!.. ზომ სიმართლეს ვამბობ, პა-
ტივცემულო შალვა?.. როგორ ფიქრობ, ჩემი მოხსნა სიკეთე იყო?

შალვამ ისევ დაუყვავა.

— რად გვინდა, მაგაზე ლაპარაკი, ვარდენიჩ, ახლა მოვილხინოთ.

— მოსალხენად, იცოცხლე, კი მაქვს საქმე აწყობილი!

ახლა ლილიმ მოჰკიდა ხელი.

— წამოდი, კაცო, სუფრასთან დაჯექი, ძალიან გთხოვ.
დომენტი მაინც გაჯიუტდა.

— პატივცემული ზინა რომ არ მთხოვს?

თხოვდა კი არა, ზინა იმისთანა ხასიათზე იყო, აგურს ჩაარტეამდა გამხმარ თავში, მაგრამ ხმამაღლა მაინც დაუდასტურა, უმორჩილესად გთხოვო. მაკამაც მის მაგალითს მიბაძა.

ქალებისაგან დადებითი პასუხი რომ მიიღო, დომენტი ისევ მანუჩარ შილაკაძეს გაეჯვიმა.

— პეტროვიჩ, შენთან ერთი-ერთზე მინდა ლაპარაკი და ხელი არავინ შემიშალოს... პენალტი უნდა დაგირტყა!

სასოწარკვეთილმა ლილიმ ბაგე მოიკვიტა.

— ვაიმე, მართლა არ დაარტყას!

— ნუ გეშინია, შალვა აქ არ არის! — დააწყნარა ზინამ, მაკამ კი მისი ოპტიმიზმი არ გაიზიარა, გული მეუბნება, ეს საქმე კეთილდად ატრაქტინობის დებაო. შალვა ქალების დაწყნარებას შეუდგა, თქვენ თვითონ ნახავთ, ისეთი არაფერი მოხდებაო.

ჯერჯერობით ის მოხდა, რომ დომენტიმ მანუჩარი კედელთან მიჩინა.

— მიცანა, პეტროვიჩ?

— გიცანა და რა ვქნა ახლა! — მანუჩარი მარჯვენა ხელს ჯიბიღან არ იღებდა, ალბათ, მოწინააღმდეგების აფრთხილებდა, იარაღი მაქვს და არაფერი გაბეღლო! სისამდვილეში კატეირსახოციც კი არ ჰქონდა, პლაშჩის კიბეში დარჩა. პლაშჩი კი დერეფანში ეკიდა.

— რატომ მომხსენი, პეტროვიჩ, და რატომ გამაუბედურე სამუდამოდ?

დომენტის სიტყვებში მუქარასთან ერთად სასოწარკვეთილებაც ისმოდა. შალვა ცისკარიძის გულს ისინი ლაბეარიკით ესობოდა. ახალდაანიშნული განყოფილების გამგე კველაფერში საკუთარ თავს ადანაშაულებდა, მე რომ არ დავთანხმებულიყავი, გაჭირვებული დომენტი ძველ ადვილზე დარჩებოდათ.

მანუჩარ შილაკაძეს პირველმა შიშმა გაუარა, თანდათან გული გაიმამაცერა და დომენტის აუხსნა, სამუდამოდ კი არა, დროებით გაგათავისუფლეო.

— დროებით რას ჰქვია? — იყითხა გათავისუფლებულმა.

— ხალხის დახანახავად, — მაუგო მანუჩარმა, — ქვეყანა დაწყნარდება და ისევ დავაძრენებ ძველ ადგილას.

— ნამდვილია მაგი?

— წეალი არ გაუვა!

სხვა სიკეთესთან ერთად, მანუჩარ შილაკაძეს ხელქვეითების დარწმუნების დიდი უნარი ჰქონდა. დომენტის ერთბაშად დაეწმინდა ამლერეული გონება, ხელები გაშალა და უფროხი მკერდში ჩაიკრა.

— თუ მახეა, შენი ჭირიმე, პეტროვიჩ!

მისმა სიტყვებშია მოწონების შემახილები და მქუჩარე ტაში დაიმსახურა.

კველაზე უფრო შალვას უხაროდა.

— მე ხომ გეუბნებოდით, ყველაფერი კეთილდად დამთავრდება-მეოქი! — ამ სიტყვებსაც ამბობდა და ქალიშვილებსაც თავმომწონედ უყურებდა.

— პატიოსანი წინასწარმეტყველი ყოფილხართ, ბატონი შალვა! — შეაქო მაკამ.

რაკი კონფლიქტი მოგვარდა, სუფრას ერთსულოვნად შემოუსხდნენ. თამადის ადგილი, რასაკვირველია, მანუჩარ შილაკაძეს ერგო, დომენტიმ ლილი დაისაჭურა, ხოლო შალვა ზინასა და მაკას კამპანიაში აღმოჩნდა.

სახამ ჭიქებს შეავსებდნენ, დომენტიმ სიტყვა ითხოვა (ვან დაუკავებდა!).

— პატიცემული თამაღა, ანუ მანუჩარ პეტროვიჩი, წილის განაკვეთი გავაფრთხილო, რომ მე საპატიო მიზეზების გამო ღვინოს ვერ დავლევ.

— არავითარი მიზეზი! — მანუჩარს უკვე მცელებური რიხი დაპრუნებოდა, თანაც ახლა თრმაგი უფროსი იყო. — თუ კაცი ხარ, ჭიქა დროზე შეავსე! — გააფრთხილა დომენტი.

ჭიქა კი არა ნახევარლიტრიანი თასი იყო, იუბილარის სადღეგრძელო გამორჩეული სასმისით უნდა დაელიათ.

— ნუ დამაძალებთ, პეტროვიჩ, ღვინოს, გული ხელით მიჭირავს! — უკანასკნელ საშუალებას მიმართა დომენტი ახობაძემ.

— ხელში კონიაკი რომ გეჭირა, მაშინ უნდა გეფიქრა მაგაზე! — მოუჭრა თამაღამ.

ვინ იცის, დავა სანამდე გაგრძელდებოდა, შალვა ცისკარიძეს მოულოდნელი წინადადება რომ არ წამოეცენებინა.

— თუ ხებას მომცემთ, დომენტის სასმისსაც მე დავლევ, პეტროვიჩ,.. დომენტი კი არა, პეტროვიჩიც სახტად დარჩა.

— როგორ თუ დალევ?

— ჯერ ჩემს ჭიქას დავლევ, მერე ვარდენიჩს შევეხილები. ლილიმ აღტაცების გამოსახატვად სიტყვები არ დაიშურა.

— ბატონი შალვა, ჭეშმარიტი ვაჟგაცი ყოფილხართ!

ზინამაც და მაკამაც დაუდასტურეს, მაგისთანა ჯენტლმენი ინგლისის სამეფო კარსაც არ ეყოლებაო!

შალვას ქალიშვილების ქებამ ფრთები შეასხა, მაგრამ ვითომ არ შეიმჩნია და მანუჩარ შილაკაძეს თასი შეუვსო, ბრძანეთ, პეტროვიჩ, სადლეგრძელო თქვენზეათ.

პირველი სასმისი, ცხადია, იუბილარს — ლილა კირვალიძეს ეპუთვნოდა. მისი ბედნიერების სადღეგრძელო ფეხზე ამდგარი შესვეს. თქვენ წარმოიდგინეთ, დომენტიც წამოდგა, მაგრამ წინასწორობის ცენტრი მორყეული პქონდა და რომ არ წაქცეულიყო, გოჭის ბარკალს სტაცა ხელი. გოჭი რას გაიქცეოდა, მაგრამ ერთი თევზი და ორი ბროლის ჭაქა კი გატყდა. მეტი საინტერესო არაფერი მომხდარა. ზინასა და მაკას სადღეგრძელოები ასევე პერსონალურად დაილია, ზინაარსი დაახლოებით ერთნაირი იყო, ოღონდ ზინა თავბერიძეზე თქვეს, გიტარაზე შესანიშნავად უკრავსო. სამაგიეროდ, მაკა ფუტკარაძეს პოეზიის სიყვარული შეუქეს და იმგვარად გული არც ერთს არ დაწყვიტეს, ქალებისაგან განსხვავებით, მამაკაცების სადღეგრძელო თამაღას ცალკე არ გამოუყვარა, გამოსათვლელი სადგურის მთელი მონოლითური კოლექტივის საღილებელი ლიტრიანი ფანტი დაილია, ამ კოლექტივის ერთ წევრს — დომენტი ახობაძეს კარგაზანია სუფრაზე ეძინა, სამაგიეროდ, მეორე წევრი — შალვა ცისკარიძე

ფხიზლობდა და დღეობის ყველა მონაწილის სახელით მანუჩარ პეტროვიჩს
მაღლობას უხდიდა.

— მე მინდა ამ სასმისით, — შალვამ ყანწი ხელში შეათამჯერებული წერტილების
პატიარა კოლექტივი ვადღეგრძელოთ... გაგიმარჯოთ, კოლეგები!.. ადამია-
ნები, მე თქვენ მიყვარხართ!.. ჩენ ბევრი კარგი საქმე გაგვიკეთებია...
ნაკლიც გვაქვს, მაგრამ გამოვასწორებთ, ყველაფერს მოვუვლით, ოღონდ
ადამიანს არასოდეს დაგრავოთ... ადამიანებს სათუთა მოყრობა სჭირდე-
ბათ... პუბანურობა და სიკეთე — აი, რა უნდა იყოს ჩვენი ცხოვრების
დევაზი!...

ცუდად არ ლაპარაკობდა, მაგრამ სუფრა ცაიტნოტში იყო და ზინამ სა-
ათზე ანიშნა, წასახვლებლი ვართო. სხვა რა გზა იყო, შალვას ზოგადი მსჯე-
ლიაბა უნდა შეემოკლებინა და უშეალოდ გამოსათვლელი სადგურისა და
სუფრის ხელმძღვანელის სადღეგრძელო უნდა შეესვა.

— ჩვენს მონოლითურ კოლექტივთან ერთად, მის ენერგიულ უფროსს
გადღვენძელებთ, მანუჩარ პეტროვიჩ — როგორც კი შალვა თამადასთან
მიერთა, პეტროვიჩი ფეხზე წამოდგა, ეს უესტი თავმდაბლობით კი არ გაუ-
კეთებია, არამედ შეეშინდა, ღვინო არ დამასხასო. თუმცა, დომენტის გა-
რდა ისედაც ყველანი ფეხზე იდგნენ. პეტროვიჩმა შალვას სადღეგრძელოს
ზამთავრება აღარ დააცალა, მადლობა გადაიხადა და სუფრა დახურულად
გამოიაცხადა. ღილიძე სუფროსი კიბეებზე ჩააცილა და ღარიბული მაგიდა-
სათვის ათასი ბეღიში მოუხადა. მანუჩარ შილაკაძემ დამშვიდა, საბოდი-
ში არაფერი გაქვთო და მაღლობის ნიშნად ხელი ღონივრად ჩამოართვა.
არავინ უფრებდა, მაგრამ კოცნა მაინც ვერ გაბედა.

მათ ლაპარაკში ზინამ და მაკაბ ღომენტის გაღვიძება მოახერქეს და
თთამში მობრუნებული ღილის დახმარებით, როგორც იქნა, კიბეზეც
ჩაიტანეს. საბრალოს წასვლა არ უნდოდა, მოაჯირს ებდაუჭებოდა, ამაღამ
აქ უნდა დავიძინოთ, მაგრამ ის დამეს კი არა, საერთოდ თუ მოუწევდა ღი-
ლის სახლში დაძინება, ძალიან სახეჭვო იყო.

მა დავიდარაბაში შალვა ცისკარიძემ ქალიშვალებს დახმარების ხელა
რატომ არ გაუწოდათ? — იკითხავთ თქვენ, როგორ გაუწოდებდა, როცა ხელ-
ში ისევ ღიტრიანი ყანწი ეჭირა და სვენებ-სვენებით სვამდა. შეეძლო,
ღვინო მუცელში კი არა, ცარიელ ჭიქებში ჩაესხა, გამკონტროლებელი
მაინც არავინ ჰყავდა, საკუთარი სინდისის გარდა, მაგრამ შალვა სანდისს
როგორ უდალატებდა!

— ნე დაღევთ, ბატონო შალვა, ხომ ხედავთ, არავინ გაძალებთ! —
შეებეჭია ღილი.

შალვას მისი დიდი ხათრი ჰქონდა, მაგრამ მაინც დალია.

ზინამ გატეგორიულად შეახსენა.

— ახლა კი ნამდვილად დროა, წერტილი დავუშვათ ჩვენს პურის ჭა-
მას!

— წერტილი არ გამაგონო, ჩემო ზინა, ქეიფი ახლა იწყება! 
ერთბაშად გაშინაურდა.

„ჩემო ზინა“ მაკას ყურს არ ესიამოვნა, მაგრამ შალვა ^{ურუცულები} შეიცვალება.

— ხალხი დაათვრეთ და ყველას მაგივრად თქვენ ხომ არ დაღევთ ღვიძოს?

— დავლევ, თუ საჭირო იქნება! — თვით გამოიდო შალვამ.

ზინამ მისი ოპტიმიზმი არ გაიზიარა.

— არ იქნება საჭირო!.. დიასახლისის ნებართვით, აწი სახლში უნდა წავიდეთო... არა, თქვენ თუ დარჩენა გინდათ...

იქნებ კიდევაც უნდოდა, მაგრამ ამის გაფიქრებაც არ შეიძლებოდა!

— რასაკვირველია, უნდა წავიდეთ!.. აუცილებლად უნდა წავიდეთ! — დაბეჯითებით თქვა შალვამ, მერე ოჯახის დიასახლისს უღრმესი მაღლობა გადაუხადა და მოწიწებით ხელზეც აკოცა (მხოლოდ ხელზე!). დომენტის შეგავსაძ მოაჯირს კი არ ჩაბლაუჭებია, არამედ კიბეებზე ჩიტაგვით დაუშვა, თითქოს ფრთები გამოესხაო, მაგრამ ზეცაში რა უნდოდა, — ერთი ანგელოზი სტუმართმოვეარე სახლში დატოვა, ხოლო ორი გვერდით მიაცილებდა.

— ეს როგორი სმა გცოდნიათ, ბატონო შალვა! — აქებდა მაგა.

ბატონმა შალვამ დაამორცხვა.

— რა სათქმელია, დღეს, უბრალოდ, გამიმართლა.

— იმიტომ, რომ ჩემს გვერდით იჯექით. — შეასენა ზინამ.

ქალების ყურადღებით გამხნევებულმა შალვამ ქოჩორი თითებით გადაიგარცხნა და ასეთი შეკითხვა დასწავა.

— გინდათ, ლექსი წაგიგითხოთ?

როგორ არ უნდოდათ, მთელი დამე მაგის მოლოდინში იყვნენ, მაგრამ სანამ არ დათვრა, ლექსი არ გახსენებია.

— ჰო, წავიგითხო, თუ არა?

— ოღონდ საკუთარი. — შეასენა ზინამ.

— აუცილებლად საკუთარი! — დაეთანხმა შალვა და დეკლამატორივიც ხელები გაშალა, — ეს იქნება ექსპრომტი.

ო, რა რიგად გიხდება,
მაგ ლოფაზე ხალები,
გული რომ მომიკალი,
რატომ არ გებრალები?

რასავირველია, ეს ჭეშმარიტი პოეზია არ იყო, მაგრამ დამე ხომ იყო და მთვარეც ხომ ანათებდა! თანაც კიდევ, ღვინომოგიდებულს, ხელი ლაპაზი ქალებისათვის მოეკიდა და უკაცრიელ ქუჩაზე მიაცილებდა. ასეთ სიტუაციაში ექსპრომტი კი არა, ვერლიბრიც რომ ეთქვა, ვინ დაუწუნებდა!

— როგორია? — ყოველ შემთხვევასათვის იკითხა შალვამ.

— გადასარევი! — შეაქო ზინამ, — კონკრეტულად, მაინც, ვის უჩევე-
ნით? მე თუ მაკას?



— ორივეს.

— მაშასადამე, ლილი თამაშგარე მდგომარეობაშია?
შალვას ეწყინა.

— მაგი არ თქვათ, ლილი შესანიშნავი პიროვნებაა!
ახლა მაგა შეუჩნდა.

— შესანიშნავი, ეს იგი, ლამაზი?

— უპირველესად მე სულიერ სიღამაზეზე ვლაპარაკობ... რასაკვირ-
ველია, ქალს ხორციელი სიღამაზეც ამშვენებს...

მაკამ სიტყვა „ხორციელი“ არ მოუწონა, მოხარშედ ბეჭებს მაგრენებს,
სუფრაზე რომ ვამოიტანებო! ამაზე ბევრი იცინეს. მერე ზინამ სამღერა
წამოიწყო.

შალვა, ჩემო სიხარულო,
სიცოცხლეზე მეტად ტკბილო,
ჩემი თავის სანუგეშოდ
ნაშობო და გამოზრდილო.

მაგა და შალვა კერაფერი შვილი მომღერლები იყვნენ, მაგრამ მაინც
წამოეშველნენ. ხმადაბლა მღეროდნენ, მაგრამ დამის სიჩუმეში მაინც
ხმამაღლა ისმოდა.

სიმღერას რომ მიარჩნენ, შალვამ წინადადება წამოაყენა, ჩემთან წავი-
დეთ და შავი ფაფა დავლითთო. რა ენაღვლებოდა, ცარიელ-ტარიელი კაცი
იყო და დაგვაინგისხისათვის საყველურს არავინ ეტყოდა. ქალიმვილებს კი,
მშობლების გარდა, მეწობლებიც ჰყავდათ და სახლში დამის რო საათზე
მაინც უნდა მისულიყვნენ. ამიტომ ფავის სმა და კონიაკის დაყოლება სხვა
დროისთვის გადადეს, თუმცა საეჭვო იყო, ასეთი წინადადება შალვა ცის-
კარიძეს სიუხისლეში წამოცდენიდა.

* * *

გვიანებაშით შალვა დილით სანაევე მანქანის ზარშა ვააღვიძა.
ნავავი გადასაყრელი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც სწრაფად წამოდგა. თავი
ნორმალურად ტკაოდა. დღეობაში დალუელ ღეინოზე უფრო წუხანდელი
ფათურაკების გაბზუნება აწუხებდა. იმას შიშობდა, სიმთვრაღეში ვინმეს
ცუდი სიტყვა ხომ არ ვაკადრეო. ასეთი საქციელი მისი სპეტაგი ბუნები-
დან გამომდინარეობდა, თორემ დომენტი ახობაძე რომ ჭოფილიყო, სინდი-
სი ნამთვრაღევზე კი არა, საერთოდ, იშვიათად შეაწუხებდა.

იმ დილით ეჭვებით კულდამძიმებულ შალვა ცისკარიძეს ნეეუღებისა-
მებრ არ უვარჯიშია, მხოლოდ ტანი დაიზილა ცივი წყლით და უმაქრო ჩაი
დალია. სიმხნევის ელექტრომა გონება ცოტა გამოუკეთა, მაგრამ, სამსახუ-

რისაკენ „მიმავალი, მაინც იმას დარღობდა, ქალიშვილებს თვალში ჩადგინდა შევხედოი! გრძნობდა, რაღაც ისე არ ვაკეთა, როგორც ნორმალურ მდგრად მარეობაში გააკეთებდა, მაგრამ, კონკრეტულად, რა, — ვერ ვაჟი მარეობაში ვინმეს რომ ეთქვა, წესიერ ქალიშვილებს დამის ორ საათზე სიძვის დიაცეპივით სახლში ეპატიულებოდი, ცილისწამებისათვას სილას გააწინავდა.

დიან, ეჭვი და უძილობა იყო იმის მიზეზი, რომ სამსახურისაკენ ჩვეულებრივად მკვირცხლად მიმავალი შალვა ახლა სვენებ-სვენებით მიუვაპბოდა გზას. სწორედ ამიტომ, გამოსათვლელ სადგურში ჩვეულებრივზე ხუთმეტი წუთით გვიან მივიდა, თუმცა, ნახევარი საათიც რომ დაეგვიანებინა, მაინც ვერავინ შენიშნავდა. სამსახურში მის გარდა არავინ იყო.

„საოცარია, — გაიფიქრა შალვამ, — ათი დაიწყო, მაგრამ კაცის ჭაჭანება არ ჩანს. აღბათ, ჩემი საათი გარბის წინ... ჯერ ადრეა. მოსვლით გი როგორ არ მოვლენ!.. თუმცა, რომ არ მოვიდნენ, არც ისაა გასაკვირი. წუხანდელი ქეიფის შემდევ ძნელია სამსახურში დაჯდომა. ამ დროს სახლში ტახტზე უნდა იწვე ლამაზად და ყავასა და ბორჯომს წრუბავდე... მაინც, რა ვიცით ეს ზედმეტი ღვიანის სმა, როგორ ვინაღვურებთ ჯანმრთელობას! თან კიდევ, სუფრას რომ მივუსხდებით, დროის ყალბი გვავიწყედება. რამდენი ლექსი და დისერტაცია დაიწერებოდა ღვიანოში გაფლანგული საათების ხარჯზე! არა, სმა პოეტებსაც და მსახიობებსაც უყვართ, მაგრამ ყველაფერს თავისი ზომა და წონა აქვს... ნამდვილად არ უნდა დამეღია წუხელ იმდენი ღვიანი, მაგრამ ღომენტი ახობაძე შემეცოდა. მე რომ არ დაგხმარებოდ, პეტროვინი ღვიანოში ბუზივით ჩაახრჩობდა! ისედაც ნასვამი მოვიდა... სიფხიზლეში ვერაა დალაგებული და სიმთვრალეში ნუ იკითხავ! წუხელ იმხელა ჭინჭველი ატეხა, რომ კინაღამ ჩაგვიმწარა პურმარილი, კარეა კარგი, ძანუჩარმა დააწენარა, თორემ გასაქცევად გვქონდა საქმე“.

შალვა ცისკარიძემ გამოსათვლელი სადგურის დარაბები გააღო, დევფანში სინათლე შემოუშვა და ისევ ფიქრები განაგრძო.

„საოცარია, კიდევ რომ სუფრას იხსნებ, შალვა ცისკარიძეე! გუშინ-დელი ღამე არასოდეს დაბრუნდება, დღეიდან კი შენს ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება, — დაგეგმვისა და კოორდინაციის განყოფილების უფროსი ხარ, მაგრამ არც ერთი ზელქვეითი სამსახურში არ დაგხვედრია... ხომ დაირღვა შრომის დისციპლინა!.. რასაკვირველია, ყველანი შეგიძლია დასაჯო, მაგრამ შენ არავის დასჯო, რადგან იცი, რომ აუცილებლად მოვლენ, არსად დაიკარგებიან... აი, შენ ხომ მიხვდი? — კეთილი და პატიოსახი! გადაახრუნე ტაბელი მათ მაკივრად, გასაჭიროში ჩავარდნილ კაცს დახმარების ხელი გაუწოდე!.. აგერ ლილი, ჩვენი იუბილარი. წუხელ რომ ლამაზი საღლეგრძელოებით ამკობდი, დღეს რატომ უნდა დაივიწყო?.. პოდა, ლილი კარგაღიძე ახლა სახლშია და წუხანდელ ნამუსრევს ალაგებს... ძნელი საქმეა, შეიძლებოდა, დღეს სულ გაგდეთაგასუფლებინა სამუშაოდან“.

შალვამ ლილის ტაბელი გადააბრუნა და იმ წამსვე წარწერა აღნიშ; „გარეშე პირების დგომა აკრძალულია“.

უქს კიდევ ზინა თავებერიძის ტაბელია, წუხელ რომ გიტარაზე ფრიდული როდი, იმ ზინასი!.. მაკა უკატყარაძე ხომ არ დაგვაიწყდა, ისიც ხომ შესტკილია ვით პოეზიის მოყვარულია“.

„უსაქმურობა დანაშაულია“.— განათლა ზინასა და მაკას ტრანსპარანტი.

„დღმენტია ახობაძე ჯერ გამოფხიზლებული არ იქნება... მაგრამ რომ ნერგვები აქვს ღაწვევებილი, მიღებე უკეთესად არაფერი მოუხდება... რაც შეეხება ღამლაგვებელ ელენე ოთხმეტურს, იგი, ცხადია, ჯერ ვერ მოვიდოდა. ნეტავ, ბავშვი როგორა ჰყავს, ფეხშე თუ წამოლგა?“.

ტრანსპარანტები ერთმანეთის მიყოლებით აითო: „ზრდილობა ადამიანის სილამაზეა“, „ყურადღება, სამუშაო დღე დაიწყო“.

სულ ბოლოს, შალვა ცისკარიძემ საკუთარი ტაბელი გადააბრუნა, ხომ განსილო, მის ტრანსპარანტს ასეთი მოწოდება ამშვენებდა: „ვისწავლოთ წუთის გაღრია“.

პანუჩარ შილაგაძის კაბინეტიც დაკეტილი იყო, მაგრამ მას პერსონალური ტაბელი არ ჰქონდა და ვერაფერს გადაუბრუნებდა.

„მაშასადამე, მოგანსენებოთ, პატივცემულო მანუჩარ პეტროვიზი: დილის ათი საათისათვის გამოსათვლელი საღურის პატარა, მაგრამ მონოლითური კოლექტივი სახეზეა თქვენი გამოკლებით! თქვენ კი, როდესაც ვაგიხარებათ, მაშინ მოძრავანდით. სულ რომ არ მოხვიდეთ, არც ამით დაიქცევა ქვეფანა... ბოლიში, მინდოდა მეტევა, სამუშაოს აუცილებლად შევასრულების შეთქმა, პირობასაც შევასრულებოთ, არაფერი დაგვრჩება შეუსრულებელი! დაას, ჩვენ ვიძლევით ამის გარანტიას. შალვა ცისკარიძე საცუთარი მაგალითით დაარწმუნებს თანამშრომლებს, რომ სამსახურის უმიზეზოდ გაცდენა დანაშაულია, რომ ვველგან და ყველაფერში რკინისებური ღისციპლინა უნდა დამყარდეს!“

და ბოლოს, შალვა თავის კაბინეტში შევიდა, ზოლიანი პიჯაკი გაიხადა და ხელშე სამკლავები გაიკეთა, ახალგარეცხილი პერანგი არ დამესვაროს. მერჯ საანგარიშო მანქანას მიუვდა, დაპროგრამებისა და კოორდინაციის განხოფილების უფროსის ძნელ, მაგრამ საპატიო სამუშაოს შეუდგა. საანგარიშო მანქანა ელექტრო-კიბერნეტიკული სრულფოფისაგან ძალიან შერს იყო, ამიტომ სახელურის ყოველ გადაბრუნებაზე არც ოუ ისე სასამოენო ხმას გამოსცემდა, მაგრამ, ნუ დაგავიწყდებათ, შალვას გუნება-განწყობილება უკვე საგრძნობლად გამოკეთებული ჰქონდა და ეს ხმა უკვე მცნობდების ღუღუნად ჩაესმოდა.

— იღუღუნეთ, იღუღუნეთ, მტრედებო,— შალვა ამ სიტყვებს ისე მგრძნობიარედ წარმოთქვამდა და ისე ეაღერსებოდა უსულო და უხორცო, ხმელიწიფელი ციფრის მითქმის ასონჩისილ ციფრებს, თითქოს ისინი ცოცხალი არსებები ჭოფი-

ლიყვნებ. — ოღონდ ნუ გამიბრაზდებით და წესრიგს ნუ დამირღვევთ! / სად
გეჩქარებათ, ჩემს გარდა, თქვენ პატრონი არა გჭავთ. ცოტას თუ შეცვიდ,
შალვა ცისკარიძე ცველას თავის ადგილს მიგიჩნენ... თუ ჭკუიტშებულები
შალვა ცისკარიძემ, შეიძლება, თქვენზე ლექსიც დაწეროს.

სტრიქონები ძალდაუტანებლად, თავისთავად მოვიდა.

— ეს ციფრები მტრედებივით დამესია,

ანათებენ, თითქოს კაჟის ნაკვესია.

ზუსტად იმ მომენტში, როდესაც შალვა ცისკარიძე საანგარიშო მან-
ქანას პოეზიის ენაზე ელაპარაკებოდა, მანუჩარ შილაკაძემ გამოსაოვლელი
სადგურის კარი შემოაღო. ახალდაწინაურებული თანამშრომლის ლაპარა-
კი, ცხადია, არ ესმოდა, თორემ, მის შემხედვარეს, კარგი დღე არ დაადგე-
ბოდა, თუმცა, გასაკვირი და გასაოცარი შემოსვლისთანავე ისედაც ბევრი
დაუზვდა.

„წუხელ კი დავლიე, მაგრამ ამ დილით მოვრალი არ უნდა ვიყვე — თა-
ვის თავს ელაპარაკებოდა მანუჩარი, — აღბათ, მეჩვენება და ისა! ყველა
ტაბელი გადაბრუნებულია, ყველა ლოზუნგი ანთებულია, სამსახურში კი
თანამშრომლები არ ჩანან... ჯერ აღრეა, მოსვლას როგორ იკადრულდნენ!..
რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო!.. არ უნდა წავსულიყავი დღეო-
ბაზე, მაგრამ ლილი შემომიჩნდა და ხათრი ვეღარ გავუტეხე... გავითქვიფე
ხელჯვეითებში და ისაა!. მაგათ არც უციროს-უფროსობა იციან და არც
სიტყვა-პასუხი უვარებათ... ის დამთხვეული დომენტი ახობაძე ძლივს არ
მოვიშორე! ზინაცა და მაკაც როგორ გადამეკიდნენ, მე მაგათ შალვა ცის-
კარიძე ხომ არ ვეგონე? — ასეა, ჩემო ბატონო, ხათრი და პურ-მარილი
გვლუპავს ქართველებს. ზრდილობის გულისათვის ერთი თუ გაუცინე ვინ-
ძეს სადღეგრძელოში, იმ წარშე პეტები ხელი მოგიტყაბუნებს, რაგორა
ხარ, შე ძველო!.. არაფერია, მანუჩარ შილაკაძე მოუვლის მაგათ, ჩამო-
ღებინებს ბეჭიდან ხელს, დღეს რომ სამსახურში დაიგვიანეს, იმაზეც პა-
სუხს აგებინებს!“

შალვა ცისკარიძის მსგავსად, მანუჩარ პეტროვიჩმაც დაცარიელებუ-
ლი კაბინეტები ჩამოიარა.

„ჩვენი იუბილარი და ჩვენი თავშეფრის მიზეზი, დიდად პატივცემული
ლილი კირვალიძე, რასაკვირველია, არ არის, და რადგან ლილი არ არის,
ისიც რასაკვირველია, არც ზინა თავბერიძე და არც მაკა ფუტკარაძე იქნე-
ბიან. ო, რა შამფურივით აქვთ ენა აღესილი: „პატივცემულო პეტროვიჩ,
აიღეთ ეს განხეთქილების ვაშლი და გადაწყვიტეთ სამართალი“. მე მაგათ
ვაჩვენებ სამართალს! ვაშლს კი არა, საანგარიშოს ავაღებინებ ხელში!“

დომენტისა და შალვას ზიარი ოთახი დერეფნის ბოლოში იყო.

„დომენტი ახობაძე ვითომ სინდისმა შეაწუხა და შესვედრას ერიდე-
ბა?.. მტერი გყავს?! განყოფილების უფროსობიდან განთავისუფლება ცო-

ტაა მაგისთვის, სულ არაა სამსახურში გასაჩერებელი... მადლობა დმუზოს,
ერთი კაცი, თურმე, ჭოფილა ადგილზე. მარტო შალვა ცისკარიშვილი
დომია შეგიძას და კველას მაგივრად მუშაობს... ღვინის სმა გვარის გვარის გვარის
ნია, არც სიბეჭითე აკლია, მაგრამ დიდი ბედაური მაინც არ უნდა იყოს".

შალვას უფროსის შემთხველა არ შეუნიშნავს. თან ანგარიშობდა და
თან ახლად შექმნილ სტრიქონებს იმეორებდა.

ეს ციფრები მტრედებივით დამტესია,
ანათებენ, თოთქოს კაუთს ნაკვესია.

შისი შემხედვარე მანუჩარ პეტროვიჩი, გადაურეველი არ დარჩენილა-
მეტქი, რომ გითხრათ, ტყვაილი გამომიგა. გავირვებით კი ძალიან გაუკვირ-
და. ამიტომ ახალდან შეული თანამშრომელი მკაცრად დატუქსა, კაცო, შენ
ოფიციელი ხომ არ გავითრენათ, თუმცა შალვა ცისკარიძის ლექსში ოფო-
ფებზე კი არა, მტრედებზე იყო ლაპარაკი.

— ვითომ ისეთი არაფერი მომხდარიყო, შალვა უფროსს მოწიწებით მიე-
სალმა.

— დადა მშვიდობისა, მანუჩარ პეტროვიჩ!

მანუჩარი დომენტი ახობამის სკამზე ჩამოვჯდა.

— ვის ელაპარაკებოდა ამ ცარიელ თახაში? — სალამი არ დაუბრუნე-
ბია, იხე იკითხა.

— რაღაც ლექსი ამეცატა და... — დაიმორცხვა შალვამ.

— ხომ გაგაფრთხილე, მაგ ლექსებს შეეშვი-მეთქი!

— მე ისე, ჩემთვის...

— შენთვის რას ჰქვია?

— ბოდიში, პეტროვიჩ.

მანუჩარმა შეწუხებული შალვა დაკვირვებით შეათვალიერა.

— ფუ კაცი ნარ, გამაგებინე, დომენტი ახობამე ხომ გავათავისუფლე
თანამდებობადან და მის მაგივრად დაპროგრამებისა და კოორდინაციის
განყოფილების უფროსად შენ ხომ დაგნიშნე?

— კი დამიშნეთ, პატივცემულო პეტროვიჩ, მაგრამ მე განცხადება არ
დამიწერია, უარს ვამზობდი.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს! მოვალეობის შესრულებას ხომ შეუ-
დექი?

— ამ დილიდა!

— განყოფილების უფროსის ფუნქციები ხომ არ დაგვიწყებია?

შალვამ ხუთოსანი პიონერივით სხაპა-სხუპით უპასუხა.

— ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ საწარმოო გეგმების შესრულებისათვის...
ჩვენ აუცილებლად უნდა შევასრულოთ გეგმა... გეგმა კანონია.

— მერე, როგორ შეასრულებ, კაცო, თანამშრომლები რომ სამსახურ-

ში არა გყავს?

— არა გვყაეს, მაგრამ როდესაც მოვლენ, გაორკეცებული შევუძღვებით მუშაობას.

მანუჩარი ისევ ფეხზე წამოდგა.

— თუ იცი შენ, რა დროა ახლა?

შალვამ საათს დატედა.

— ათის ნახევარია. — ძველი „პობედა“ ჰქონდა, მაგრამ კარგად მუშაობდა და ახალს იმიტომ არ ყიდულობდა.

— თუ კაცი ხარ, მაგა საათი სარემონტოდ მიუტანე, სადგურის მოედანზე კარგი მოხელეა, — პეტროვიჩმა ხინკალისოდენა თავისი „სეივი“ გამოაჩინა, — ახლა ზუსტად ათი საათია.

შალვამ „პობედის“ დიდი ისარი გადასწია.

— ახლავე გავისწორებ, პეტროვიჩ... მაშასადამე, ათი საათია... კეთილი და პატიოსანი. მაგრამ, ძალიან დიდი ბოლიშის მოხდით, იქნებ, თქვენი საათი გარბის წინ?

— კაცო, შენ ჩემს გამასხერებას თავი დაანებე! — გაბრაზდა უფროსი.

— როგორ გეკადრებათ, მანუჩარ პეტროვიჩ.

— მე შენ გეკითხები, სამსახურში ერთი საათით დაგვიანება თუ ეჭადება ვინმე?

— არავითარ შემთხვევაში, მაგრამ...

— არ დამიწყო ახლა, წუხელ ღვინოს ვსვამდი და დღეს თავი მისკედებაო!

— ღვინოს კი ვსვამდით...

შალვას მრავლობითი უფროსს არ მოეწონა.

— კრებაზე რომ ყველა ენას წაიგრძელებთ, ლოთობა კაპიტალიზმის გადმონაშთიაო, თუ არ შეგიძლიათ, შეემვით მაგ გადმონაშთს!

რაკი უფროსის ლაპარაკში იუმორის მარცვალი შენიშნა, შალვამ მისი გაღვივება სცადა.

— შეშვება კი მინდოდა, მაგრამ ძალიან მკაცრი თამადა მყავდა.

თამადა, კარგად მოგეხსენებათ, მანუჩარ შილაკაძე იყო, ღლეობა ურავოდ არ ჩაუტარებია, მაგრამ წუხანდელის გახსენება მაინც ნერვებს უძლილა. ამიტომ შალვას განუცხადა, ღვინოზე ლაპარაკის მაგივრად, ხაქმებს მივხედოთ, ისა ხჯობიაო, რაზედაც შალვამ სრული თანხმობა განუცხადა, ყველაფერი გასაგებია, მანუჩარ პეტროვიჩი!

ყველაფრის გამგები ხელქვეთი რომელ უფროსს არ უყვარს, მაგრამ ეს სიყვარული პეტროვიჩს რატომღაც სახეზე არ გამოხატვია.

— თუ ყველაფერი გასაგებია, დაგვიანებული მკაცრად გააფრთხილო, რომ მხგავსი შემთხვევა მომავალში აღარ განმეორდეს! — თქვა მან და სმენაღაღაქცეული შალვას ახალგაბარსული ლოგები შეათვალიერა. ეტკობა, ელექტროსაპარსს ხმარობსო, გაიფიქრა გუნებაში, ხბამაღლა კი დაწყე-

ბული წინადადება ასე გააგრძელა, — ხოლო მსგავსი შემთხვევა ოუზა  მეორდება...

მრავლისმნიშვნელი პაუზა აქ შალვას დასტურისთვის იყო მარტინ უნდა ეთქვა, მსგავსი შემთხვევა არასოდეს განმეორდებაო, მაგრამ დარღვეულამებისა და კოორდინაციის განყოფილების უფროსი არაფერს ამბობდა. ამიტომ პეტროვიჩიმა ისევ განაგრძო.

— სამსახური და დისციპლინა შენ სხვის მაგივრად ღვინის ხმა ნუ გგონაა... ნურეის ებოდიმები, თუ კაცი ხარ! მგაცრად მოპკილე მაგათ ხელი, უყვირე, დაემუქრე, დასაჯე, თუ საჭირო იქნება, მოხსენი! თანამშრომლებს შენი შიში უნდა ჰქონდეთ.

მანუჩარ შილაგაძე გამოცდილი მუშაკი იყო და შესანიშნავად იცოდა, რახაც ღამარაკიმდა. ხელქვეთების დარიგება უყვარდა, გულში ქმაყოფილებას გრძნობდა, როდესაც თანამშრომელს „ფასს“ აძლევდა, მაგრამ ახლა რომ შალვას გულში ჩაეხედა, დარწმუნდებოდა, კედელზე ცერცვი რომ ქვერდა მეკრილი.

როგორც კი მანუჩარ შილაგაძის ქონიანი ბეჭები კარს მიეფარა, შალვა ცისკარიშებ თავი სინაულით გააქნია.

„მიში უნდა ჰქონდესო!.. მე რა, საფრთხობელა ვარ? ცდებით, მანუჩარ პეტროვიჩი, შიში კი არა, ურთიერთპატივისცემა უნდა გვქონდეს, ერთმანეთი უნდა გვყვარდეს, სხვანაირად არ შეიძლება, ჰუმანურობა და სიკეთვე ჩვენი საქმიანობის დევიზი უნდა იყოს.“

საპროტესტო ფიქრები კაბინეტში შემოსულმა დომენტი ახობაძემ შეეწყვიტა. შალვა ისე გულითადად მიესალმა ახლად შემოსულს, თითქოს სულ რამდენიმე წუთის წინ უფროსი უსიამოვნო სიტყვებს კი არა, მეცამეტე ხელფასით დაჯილდოებაზე ელაპარაკებოდა.

გაყირვებულმა დომენტი ახობაძემ ხელი ჩაიქნია, ფოველთვის კარგ ხასიათზე როგორაა ეს უპატრონო! სინამდვილეში, პატრონი მას არ ჰყავდა, თანამშებობიდან ახალდაქვეითებული იყო.

შალვამ, უპირველესად, ჯანმრთელობა გამოპყითხა, რაზეც დომენტიმ უპასუხა, თავი და გული მისკდება, თორებ სხვა არაფერი მიშავსო. შალვამ გაამხნევა, უკეთესად არც მე გახლავარო.

— მაან მთვრალი ვიყავი ხომ წუხელის? — დომენტის იმღამინდელი დეტალები აინტერესებდა.

— მაან არ ითქმის, მაგრამ ისე, რა...

— იხე კი არა, სუფრაზე გოჭივით დამებინა.

— დალლილი იყავი და იმიტომ დაგეძინა. — ბოდიში მოხადა შალვამ, აბა, იმას ხომ არ ეწყოდა, თავი ინდაურის საცივში გედოო.

დომენტი სუფრაზე ძილს შეჩვეული იყო და მაინცდამაინც სინდისი არ ქნებიდა, ამიტომ შალვას პირდაპირ უთხრა, გალეშილი მთვრალი ვიყავი და ტუშილად გულს ნუ მაკეთებო.



— არც მოლად ასეა საქმე, ვარდენიჩ. — არ დაეთანხმა შალვა-

ღომენტიმ თავი გაქნია.

— იქნებ, არც მანუჩარ შილაკაძისთვას მითქვამს არაფერი? პიშლიორისკა

— რა უნდა გეთქვა, ტუჩებში ჰკოცნიდით ერთმანეთს.

ტუჩებში კოცნამდე რომ დაბაბული სიტუაცია შეიქმნა, იმის გახსენება, ცხადია, არ ღირდა. ღომენტიმ მხოლოდ ის დასძინა, პირობა მომცა და იმიტომ ვკოცნიდიო. მომდევნო ამბები ბურუსით იყო მოცული. განსაკუთრებით სახლში მისვლა აინტერესებდა, ამიტომაც ჰკითხა, შენ ხომ არ მიგივინივარო. შალვას არ ესიამოვნა, მაგრამ მაიც სიმართლის თქმა ამჯობინა, მე სახლში ზინა და მაგა მეგაცილეო. რასაკვირველია, ის აღარ გაუმნილა, შუაღამეზე ქალიშვილებს ყავაზე სარჩევად საკუთარ ოჯახში რომ ეპატიუებოდა.

როგორც ყველა ნაბახუსევ კაცს, ღომენტი ახობაძესაც წუხანდელი ამბები ფრაგმენტულად ახსოვდა და, რა გასაკვირია, ყველაფერი დაწვრალებით სურდა გაეგო.

— ვაჟგაცურად მითხარი, მართლა დალიე ჩემს მაგივრად დვიხო? — უპირველესად სმის საკითხი იყო გამოსარკვევი.

— პეტროვიჩი დავადგა ყანწით თავზე და, აბა, რა უნდა მექნა! — აუხსნა შალვამ.

— პეტროვიჩი კი არა, ღომი რომ დამდგომოდა შესაჭმელად, მასეთ საქმეს ვერ გავაკეთებდი, — პატიოსნად აღიარა ღომენტიმ და მერქ ისიც დაუმატა, — ახლა კი დავრწმუნდა, ნამდვილად ჰუმანური კაცი ჭოფილხარ.

— მარტო ღვაინის მავალითზე დაწმუნდი? — ეწყინა შალვას.

ღომენტიმ საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა.

— თურმე, წუხელ ქალები გადაგირევია...

შალვას უსიმოვნოდ გააქრეცილა, ასე უცებ როგორ მოახწერს ამბას შეტყობინება, ალბათ, ტელეფონით დაურეკესო! ლილი არაფერ შუაში იქნება, მაკასა და ზინას კი ოღონდ სალაპარაკო მიეცი და ყველაფერს ძალის კუდს გამობამენ. ღომენტის გადარევდნენ, შენს სიყვარულს შალვამ ღექვები მიუძღვნაო.

— ჰო. რატომ გაჩერდი, წუხელ სიყვარულს არავის ეფიცენტოდი? — ამდგრეული თვალები მოწკურა ღომენტიმ.

შალვა ბრინჯივით დაიბნა.

— აბა რას ამბობ ვარდენიჩ.

— ლილის მართლა მიუძღვენი ღექვის?

კითხვა კი არა, ტყევია ესროლეს, ხმა ვერ ამოიღო.

— ჰო, შენ გეკითხებიან! — შეახსენა ღომენტიმ.

სხვა გამოსავალი არ იყო, უნდა ეთქვა რაღაცა.

— მე ისე, დაბადების დღის აღსანიშნავად დავწერე... — შალვა ჰიტყ-

ვებს კი წარმოთქვამდა, მაგრამ თვალს ვერ უსწორებდა, რადგან დამწამებელი იყო. დომენტის რომ მარჯვენა ყბაში დაერტყა (ხალი ჰქონდა ზედ, ახალგა ზრდობაში ქალიშვილებს ძალიან მოსწონდა), მარცხნიანი მიუშვინთვლი დომენტი მხოლოდ ბოლოს ურტყამდა და საკმაოდ მშვიდად დამარაციობდა.

— ასეა თუ ასე, ღილის თავი უნდა დაანებო, არაფერი გამოგივა!

შალვამ ცოტა სული მოითქვა.

— ვარდენიჩ, ასეთი ღაპარაკი როგორ გეჭადრება.

— უარესი მეკადრება!.. რა ნახე ღილიში ახლა ასეთი?.. ზინა, აგერ, ქალია ბედაური, ვატარაზე უკრავს, ყავაზე რჩევა იცის, წონა არ აკლია და ქონება. შენ ღლონდ მითხარი და ღლესვე ჩაგიწყობ საქმეს.

კველაფერი სიმართლე იყო, ასეთ ქალზე თვით დომენტიც არ იტყოდა უარის, მაგრამ იცოდა, ამ საქმიდან არაფერი გამოუვიდოდა, რადგან თავბერიძის ქალს მის მამაკაცურ ღირსებაზე არცთუ ისე სახარბიელო შეხედულებები ჰქონდა.

ქალებზე ღაპარაკს რომ მორჩნენ, ფიგურულ სრიალზე გაღავიდნენ, შემდეგ შაბათის სპორტულტოზე ისაუბრეს და, ამრიგად, კრიტიკული სატუაცია ნელ-ნელა განიმუხტა. დომენტის გუნება ისე გამოუკვეთდა, რომ შალვა ცისკარიძეს ბეჭებზე ხელიც მოუთათუნა, სხვა, როგორ ბრძანდები ბატონო უფროსოთ! შალვამ დაიმორცხვა, მე რა უფროსი ვარ, ბრძანებას მანუჩარ შილაკაძე იძლევათ.

— მაინც რა ბრძანებას იძლევა? — დაინტერესდა დომენტი.

— სამსახურში დროზე უნდა გამოცხადდეთო, არ უნდა დაიგვიანოთო! დომენტიდ ხელი ჩაიქნია.

— მაგ ბრძანების შენ ნუ კეშინია, დღეს იტყვის და ზვალ დატვიწყდება, შეიძლება, არ დაავიწყდეს, მაგრამ მაინც არ მეშინა, რადგან ვიცი, შენ რომ დამტცავ. ზომ დამიცავ, ჩვემო სიხარულო? — დაიცა, სად მიღიხარ, კაცო, მართლა ზომ არ გეწყინა?

— კნახავ, ხალხი თუ მოვიდა.

— მაგ ზალხს ნამდვილად უნდა მოვლა... ქალები თუ გაგიშინაურდნენ, დაღუშულია შენი საქმე!.. ვიცი, ალბათ, საკუთარი გამოცდილება შალპაპარაკებს.

გამოსათვლელ საღვურში მომუშავე ქალებისაგან დომენტის მწარე გამოცდა მიღებულია. აი, ახლაც, დღის თორმეტ სათზე, ყავის სასმელად შეერებილივენენ და მისი წუხანდელი სიმთვრალის უპიზოდებს ისსენებდნენ, მანუჩარ შილაკაძეს დასაბოლმავად ზინაც ეფოტოდა, დომენტი რომ არ დამატებოდა! მაკა ძალზე შეწუხებული იყო, პეტროვიჩს რა პირით უნდა შევხედოთო. ზინამ ყველაფერში მაკა დაადანაშაულა.

— იქნებ, შალვასაც მე ვუმდერე ვიტარაზე? — ნიშნის მოგებით ჰკითხა მაკამ.

— შალვა ჩემი სახარულია, — გააფრთხილა ზინამ, — პეტროზაბეს
ადარებ!



საქართველო
შიგლის მიმდინარე

— არც დომენტის ვადარებ.

— კიდევ დომენტი!.. შეეშვი მაგ უბედურს, მისი გაჭირვება ეყოფა!

— უბედურიო? — ყავის სმა შეწყვიტა ლილიმ.

— მე სიყვარულში გაუბედურებულს ვკულისხმობ, — აუხსნა ზინამ და
ყავის ფინჯანი მაკას გაუწოდა, — ნახე, ერთი, ბედი თუ ამომივიდა.

ბედში, რასაკვირველია, საქმრო იგულისხმებოდა. მის გარდა, ზინას
არაფერი აკლდა. მაინც უცნაურადაა ქვეყანა მოწყობილი: ბუნება ცველა-
ფერს ერთი ადამიანისათვის არ იმეტებს. იქნება ძალიან ჭკუიანი და ლამა-
ზი იყო, მაგრამ შენს მაგივრად უტვინო და შეუხედავი გათხოვდეს.

მაკამ ფინჯანს კარგა ხანს უყურა, მერე გაზეპირებულივთ დაიწყო.

— რა გინდა, სულო და გულო!.. გზა არის, ფული არის..

შეითხაობაზე აღვიღი არაფერია, თქვი, რაც გინდა, ასი ტურილ
და ერთი მართალი, ოღონდ დამაჯერებლად თქვი!

გზა და ფული ზინას ათასჯერ ჰქონდა ფინჯანში ამოსული და ფურა-
დლება არ მიუქცევია. ბედი თუ ჩანსო, ეს აინტერესებდა.

სხვა დროს მაკა დაქალს გულს გაუკეთებდა, ბედი და იღბალი იმდენა
გაქვს, მთელ ქალაქს ეყოფაო, მაგრამ წუხელ რომ ზინას მეტი მოწონება
ჰქონდა, იმის დარღი აწუხებდა. ამიტომაც უთხრა, შენს ფინჯანში კიდაცას
თვალი ჩანსო.

— თვალი პატიოსანი? — იკითხა ზინამ.

— არა, ბოროტი თვალია, ძალიან ცუდად გიყურებს.

ზინას ხასიათი გაუფუჭდა.

— თვალი, იცოცხელე, კი ამომივიღოდა!.. სხვას ვერაფერს ხედავ?

— ამდენი ერთ ფინჯანში არ დაეტევა.

— შენ კარგად ნახე, ნუ ჩქარობ, — დაარიგა ზინამ და თვითონაც ჩახე-
და, — აქ, მგონი, ერთი კაცი უნდა იღგეს.

მაკამ თავი დაუქნია.

— ეგ, ნამდვილად ისაა... თანამდებობაზე ახალდანიშნულია... ბევრ
ღვინოს სვამს... ღერძების წერაც იცის.

— შეხედე შენ, როგორ ხელგაშლილი დგას! — გაეხარდა ზინას.

შინი აღტაცება მაკამ არ გაიზიარა.

— კა დგას, მაგრამ ეგ ხელები სხვისთვისაა გაშლილი ვარდივით.

— მაგ სხვას დომენტი ჰყავს და კარგად მოუკროს! — ხმას აუწია ზინამ.

მაკამ დერეფანში შალვა ცისკარიძეს მოჰკრა თვალი და შეშინებულმა
ზინას პირზე ხელი ააფარა.

— ჩუმად, გოგო, მოდის!

— დომენტი? — თავი არც აუწევია, ისე იკითხა ზინამ.

— შენი სიხარული მოდის, მაგრამ ჩვენ, ვითომ, ვერ შევამჩნიერ.

როგორც ადრე დაწყებულებოდით, შალვა ცისკარიძე ქალთა უნიონის გადოებაში გამტკიცებულებას მხოლოდ სიმთვრალეში იჩენდა. ახლა კი უნიონის ლი იყო და ამიტომ ქალაშვილებიდან შორეახლო ძალზე უნიტარულობის შეჩერდა, კიდევაც ჩაახველა, ოლონდ ისე გაუბედავად, რომ მისი წევა პრეზიდენტის გვის გაუგონაა.

— მაინც რა შესანიშნავი უფროსი გვყავს! — აქებდა ზინა, — კილვაც
მღერის, ლექსეპსაც წერს, ღვინოსაც სვამს...

მაკამ ღრმად ამოიოხო.

— ბავნიძენდა ის ქალი, ვინც მაგის ოჯახში შევა!

ლილი არაფერს ამბობდა. სიტყვა ისევ ზინამ გააკრძელა.

— მერა, თა კოდილი გული აქვს. რა ჰუმანურია!

— დეკემბერის ბოლო — ერთი საათი დავაგდიანეთ, მაგრამ შენიშვნაც არ მოუცია.

— აბა დომენტი ახობამესაგით ხოდ არ დაკვირყებდა ისეთი: — აუცი
მაკამ.

სანამ უფროისი იყო, თითოეულ დაგვიახებულ წუთს დოქტერი იყე
ციალურ რეველში. აღნიშნავდა. წუთებისაგან თვის ბოლოს საათები გამოკ-
ევდა. შანუჩარ შილაკაძეს მისთვის რომ დაეჯვრებინა, ამ გაცდენილი სა-
თებისათვის ხელვასი არ კვითა არ უნდა მიეღო. პეტროვიჩი ამას შალვასა-
ვით ჰემანურობის ნიადაგზე კი არ აკეთებდა, არამედ ეშინოდა, გამოსათვ-
ლელი საღვრის თანამშრომლები, საერთოდ, უხელვასოდ არ დარჩენი-
ლიყვნებ. საუკელურებს, იცოლხლეთ, არავის აკლებდა, მაგრამ დაგვიახებას
მაინც კერაფერი მოუხერხა, რადგან ყველაფერი უკვე დაგვიახებული იყო
თანამშრომლები მის განთავისუფლებას ელოდნენ. ჯერჯერობით გან-
თავისუფლებული მხოლოდ დოქტერი ახობაძე იყო. მის ნაცვლად შალვა
ცისკარიძის დანიშნა უდაოდ პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა და
ქალიშვილებიც სწორედ იმიტომ უსვამდნენ ხაზს ახალი უფროისის დადგ-
ნით თეობებს.

პირში თუ პირსუკან ქება ყოველ გონიერ არსებას სიაძოვების, უგუშ-
რი, ცხადია, არც შალვა ცისკარიძე გახლდათ, ამატომ ქალიშვილების ნათ-
რი, ქვემოთ, მაინც ფეხაკრეფით გავიდა. ქვამმა ფრთხილი გამოასხა, თუმცა, ოთახიდან მაინც ფეხაკრეფით გავიდა.
დერეფნის ბოლოში ეღვენ თოხმეზურს შეხვდა. ქალი მოწინებით მიგა-
ლობა.

— კამარჯობა, ბატონი შალვა!

— გავიმარჯოთ!

— ბორიშს ვიხდი დაგვიანებისათვის.

— მარტინი, არაუშავს!... ბიჭი როგორაა?

— ମାତ୍ର କଥିନା ନାହିଁଦିଲା... ୩

— ସମ୍ପଦ ପ୍ରକାଶ ନିଧି ଏକ ବିଷୟ ହେଲା
ବୁଝିବା ଏବଂ ବିଭିନ୍ନ କାର୍ଯ୍ୟଙ୍କୁ ଆବଶ୍ୟକ କରିବାକୁ ପାଇବାକୁ ପାଇବାକୁ ପାଇବାକୁ ପାଇବାକୁ

— რომელ დახმარებაზე მეღაპარაკებით? —
— ჩამი კალი იყო... მთავარია, ბავშვი მომჯობინდა.

შეწუხებული დამლაგებელი ძველ ცოცხს აწვალებდა (ახალი შეკვეთი დაგვიადა, მაგრამ მყიდველი არავინ იყო).
— მეტს, აღბათ, აღარ შეგაწუხებთ... ძალიან მერიდება.
— არა უშავს-მეტქი, ხომ გითხარით.
— ღმერთმა თქვენისთანა კეთილი კაცი არ მოაკლოს ამ დაწესებულებას! — დალოცა ელენე ოთხმეზურმა.

ამ სიტყვების შემდეგ შალვამ უფრო მეტი სიმსუბუქე იგრძნო და გარე ხნის შემდეგ ღილის ოთახში შესანიშნავი გუნება-განწყობილებით შევიდა; ყავის სმადამთავრებულ წუხანდელ იუბილარს გულითადად მიესალმა.

— დილა მშვიდობისა, პატივცემულო ლილი!
პატივცემულმა ღილიმ კეკლუცად გაუდიმა.
— გაგიმარჯოთ!. ისე, დილა კი არა, უკვე შუადღეა... ძალიან ბოდიშს ვიხდით, ბატონო შალვა. ამდენი არასოდეს დამიგვიანებია.

— როგორ გეკადრებათ, ძვირფასო ღილი! — შალვა ისეთ ზანიათზე იყო, ღილი კირვალიძეს დაგვიანებაზე უფრო მძიმე დანაშაულს აპატიებდა. მდივან-მემანქანე ყოველივე ამას შესანიშნავად გრძნობდა, მაგრამ მაინც შეწუხებულმა იკითხა, მანუჩარ პეტროვიჩი, აღბათ, ძალიან გამიბრაზდათ, რაზეც შალვამ უმაღვე უპასუხა, ოდნავადაც არ გაბრაზებულაო.

— რასაკვირველია, თქვენი წყალობით. — ღილიმ დახუჭუჭებულ თმებზე ხელი მოხდენილად ჩამოისვა, — რა მექნა, სახლი დასალბჯებელი მქონდა (საპარიკმახეროში ვიყავით, ხომ არ ეტყოდა).

შალვა ცისკარიძემ სიმორცხვე დაძლია და ენად გაიკრიიფა.
— ბრწყინვალე სუფრა იყო!.. ვერც კი წარმოვიდგენდი, ასეთი შესანიშნავი დიასახლისი თუ ბრძანდებოდით.

— გამაწითლეთ, პირდაპირ, ამდენი ქებით! — ღილი არ ტყურდებ. ცოლმოუყვანელი კაცი ჯერ რომ ღერქს მოგიძლვნის, მერე კი შენს გამომცხვარხაჭაპურს შევიქებს, გაწითლდები კი არა, გული ჩიტივით აგიტრთხიალდება.

— სწორედ რომ დიდებულად მოვილხინეთ! — შალვა წუხანდელს არ ეშვებოდა.

— დიდებულად რა მოგახსენოთ, მაგრამ დომენტი რომ მთვრალი არ მოსულიყო, დროს უკითესად გავატარებდით.

ამ სიტუაციაში ღომენტის ხსენება ღილის მხრივ ცოტა უტბქტობა კი იყო, მაგრამ შალვამ არაფერი შეამჩნია. პირიქით, ბოდიში მოხატა, რა ვუყოთ მერე, ნასვამი თუ მოვიდაო.

— როგორ მეშინოდა, ვინმესთვის არაფერი ეკადრებინა. აგამოუტყდა ღილი.

— ბოლოს ხომ დარწმუნდით, ტყუილად რომ შიშობდით?
— ისევ და ისევ თქვენი წყალობით, ბატონო შალვა! — ჭალი შვილი



კომპლიმენტებს არ იშურებდა, მაგრამ ეს კომპლიმენტი კვადრატში ჩატარდა.

— ჩემი კი არა, ყველაფერი თქვენი წყალობით იყო, პატივის მისამართის მიღები!

ეს საამო საუბარი კიდევ დიდხანს გასტანდა, მაგრამ იგი მანუჩარ შილაკაძის ზარმა შეწყვიტა.

მდივან-მემანქანე წამოღვა და თმები კიდევ ერთხელ გაისწორა.

— ბოდიშ გიხდით, ბატონო შალვა, უფროსი მეძახის.

— საბოლაშო არაფერი გაქვთ. მეც მივდივარ.

— ალბათ, საქმეზე მიგეჩქარებათ. ახალი თანამდებობა, ხომ მოგვეხსე-ნებათ...

— ღლეს ნამდვილად ბევრი სამუშაო დამიგროვდა, მაგრამ მაინც ყველაფერს მოვასწრებ... ძნელ საქმეს კი შევეჭიდე, მაგრამ როდესაც ასეთი შესანიშნავი კოლექტივი მხარში გიღგას, ყოველგვარ სიძნელეს გადალახავ!

ამ სიტყვების შემდეგ შალვა ცისკარიძე თავის კაბინეტს დაუბრუნდა, ხელება ისევ ენერგიულად დაიკაპირა და შეწყვიტილი სამუშაო განაგრძო. ღროდაღრო, როდესაც ციფრებით აჭრელებულ ქაღალდებს თვალს მოწყვეტდა და დარღვილი გონების დასასვენებლად ფიქრს სხვა საგანზე დაიწყებდა, ეს სავარი უმაღვე დაკონკრეტდებოდა და ღილი კირვალიძის სახით წარმოუდგებოდა. იქნებ ეს მაღლიერების გრძელობა იყო, ან იქნებ დაუკითხავად მოსული სივერული? ვინ იცის, ყველაფერში განვების ხელი ურევია, კაცის ბედი ზეცაში წყდება.

სხვათა მორის, ღილი კირვალიძისთვისაც რომ გეკითხათ, შალვა ცისკარიძის მიმართ ახლა რას გრძელობო, მხოლოდ ლამაზ მხრებს აიჩენავდა, რადგან ანალატიკური განსჯისათვის იმ მომენტში არ ეცალა, ხომ გახსოვთ, უფროსმა კაბინეტში გამოიძახა, მოხსენებითი ბარათის გადაბეჭდვა-თუ დაამთავრეთ, აინტერესებდა.

— ხუთი გვერდი დამრჩა, მანუჩარ პეტროვიჩ. — უთხრა ღილიმ. სინამდვილეში სანახევროლაც არ პქონდა გადაბეჭდილი.

— ხუთი ღლე გავიდა და ამას კიდევ ხუთი გვერდი დარჩა! — გაბრაზდა მანუჩარი, — გამიზარმაციდით ამ პოლო ღროს და ისაა!

— ღლესვე დავამთავრებ, მანუჩარ პეტროვიჩ, — ღილი უფროსს დაბნეული უჟრუებდა, თითქოს ამოწმებდა, ეს კაცი არ იყო, წუხელ ჩემი საღლეგრძელო ფეხზე ამდგარმა რომ დალიაო?


— ღლეს აღარ მოესწრება, სამინისტროში უნდა წავიდე, — თქვა მანუჩარმა.

შეწუხების გარდა, ღილის არაფერი შეეძლო.

— ბოდიშ გიხდით, მე...

— თქვენი უშუალო უფროსის ბრალია ყველაფერი, ვერ დაამდარა წესრიგი განყოფილებაში! — ვინმესთვის ხომ უნდა დაეპრალებინა, თორემ იმ

ერთ დღეში, შალვა ცისკარიძე კი არა, გამოსათვლელ საღვურში მამა  რთი ვერ დამყარებდა წესრიგს.

— შალვა ძალიან უნერგიული უფროსია, — დაიცვა ლილიმ,  ლებლად მუშაობს.

— თქვენ, თქვენ რას აკეთებთ? — თქვენობითში ლილის გარდა ზინა და მაკა იგულისხმებოდნენ.

— რასაც უფროსი გვავალებს, ყველაფერს ვასრულებთ. — მიუგო ლი-ლიმ.

— საქმეც ისაა, რომ ვერ გვალებთ... სხვის მაგივრად მუშაობა კი მე არ მჭირდება!

— ჩვენ, შეიძლება, ვზარმაცობდეთ, პეტროვიჩ, მაგრამ შალვა მაინც შესანიშნავი ხელმძღვანელია.

პეტროვიჩმა თავის მდივან-მემანქანეს ჯიქურ შეხედა.

— აკი დომენტი ახობაძე იყო აქამდე შესანიშნავი ხელმძღვანელი?

— დომენტი რა შუაშია? — დაიბნა ლილი.

— ვატყობ, ყველა შუაში იქნებით, მხოლოდ მე დამტოვებთ კიდეში. — მანუჩარმა კარი გამოაღო, — წავედი ახლა მე და ვინმემ თუ მიკითხოს, ხვალამდე არ იქნება-თქო... გასაგებია?

— გასაგებია, მანუჩარ პეტროვიჩ.

მანუჩარ შილაგაძე პერსონალურ „მოსკვინში“ ჩაჯდა. შოფერმა „ნიანგის“ კითხვას თავი დაანება და მოტორი ჩართო.

— წერია რაიმე მაგ უურნალში? — პკითხა მანუჩარმა.

— ღისციპლინა უნდა დავამყაროთ და უსაქმოდ არ უნდა გავჩერდეთო.

— მიუგო შოფერმა.

— მაგას „ნიანგი“ რად უნდა, — ყველაფერი სამსახურის კედლებზე მიწერია, მაგრამ არავინ ასრულებს.

— სად წავიდეთ, უფროსო? — იკითხა შოფერმა.

— იქ! — მრავლისმეტყველად მიუგო პეტროვიჩმა.

ყველაფერი გასაგები იყო. „მოსკვიჩმა“ მთავარი გზიდან გადაუხვია და სანაპიროსაკენ მიმავალ ვიწრო ქუჩას თუხთუხით გაუყვა.

(დასასრული იქნება)



ნიკოლოზ აღაშვილი

Digitized by srujanika@gmail.com

საფლავის ქვაზე
 ჩუმად იწვი
 ნარი, გულწრფელი.
 პატარი რომ ხარ,
 სიყვარულის
 ღირსად არ გთვლაან...
 შენს მოციმციშე
 პაწია აღს
 როცა კუცქრი,
 ასე მგონია,
 წინაპართა
 სული ანთია.

მე შენი ტყვე ვარ
და თავს კური დაბლა,
ღმერთმა მაშოროს,
კონიბლე სხვას.
ვიწვი... ასეა
საჭირო, ალბათ.
უზრუნვე, დამაცალო
ბოლომდე წვა.

卷之三

პატიარქალი ძროხას წველის,
დაბმული ზბო მისკონ იწევს...
დედამთალი იცინის და
სიხარულის კრემლის იწმენდს.

მთელ სიცოცხლეს
დღესვე დაკთმობ,
ერთი წუთით ოღონდაც,
მე მაქცა ლეონარდოდ,
შენ გაქცია ჯოკონდად!

das b

კარგადაც რომ ვხნა და ვთესო, ვთიბო,
ვენახს დროზე შევუყენო ჭიგო,
ვუმასპინძლო მრავალ ახალ მაისს,
ვიღომგულო არანაკლებ ას წელს...
შენს მაგივრად ვერ ვიცხოვრებ მაინც,
მმარ, მიტომ მებრალები ასე.

ნიკოლოზ ადამია შორეული ცურვის პირველი კლასის მატრიცა,

მუკომიქრა ნიგერი

სპოლა და გასორავლებლები

ექვთიმე გორგასლიძე საშუალო ტანის ჩასუებული კაცი იყო. ფართო, მნიშვილი თვალები, მოგრძო, გადაფეხნილი წარმები სიმპატიის იქნის აძლევდა, შაგრაშ უაღრესად მგრძნობიერი და გულისხმიერი ადამიანი გახლდათ. ეს თვისებები უკლებლად გამოიჩინა ჩემდამი დამოკიდებულებაში.

მათემატიკოსი სახწავლებელს სხვა ჰყავდა, მაგრამ დაბალ კლასებში ართმეტიკას ექვთიმე გვასწავლიდა. იგი მცოდნე, კარგი მასწავლებელი იყო. მის მიერ გაანალიზებულა ამოცანა მოსწავლეს არასოდეს დაავიწყდებოდა. ამ ანალიზს იგი მოწავეებისაგან უკლებლივ და შეუცდომლად მოითხოვდა. და ამას თუ ვინმე ვერ შესძლებდა, დაწვრილებით ასხნისა და რამდენჯერმე გამეორების შემდეგ, მაშინ ექვთიმემ სახტიკი გაბრაზება იცოდა. მოწაფეს მიერდებოდა, „რატომ წყალში ჩაშიგარე ამდენა შრომარ“.

ექვთიმეს ჩვენს კლასში ორი რჩეული ჰყავდა — ვალოდია ღლონტი და ბერკი (მაქსმე) ღლოდიმე, რომლებსაც უმნიშვნელო შეცდომს აპატიტებდა, მაგრამ დასახჩენს არა. მესამე რჩეული, ალბათ, მე ვიფავი. მართლია, წესიერ მოსწავლედ ვო-ოვლებოდი, მის ასხნილს კარგადაც ვათვისებდი, მაგრამ შეუცდომელი ხომ არავინაა. ექვთიმეს კი ჩემთვის არასოდეს საყველური არ უთქვამს და არც ოდესმე ხელი შემოუკრავს, და ალბათ, ამიტომ მეტად ვცდილობდი და ვმეცადინეობდი და არითშეტიკა, რაც ვიცი, მისგან და მისი სიყვარულით ვიცი.

მასწავლებლებს შორის გამოირჩეოდნენ მელიტონ ქავერაძე, სილოვან წაჭაპე, ბეფა ბურჭელაძე, მიხეილ ლაბარტევა, ლიუდ ჯულელი, აგრეთვე გალობის მასწავლებელი ივანე ცინცაძე და სხვები.

მელიტონ ქავერაძე მღვდელი იყო. ცხრაას ხუთი წლის რევოლუციამ ახალგაზრდობას შევვაძულა, ხაერთოდ, ეკლესია, მღვდელი, სარწმუნოება, ხუცესი სალანდრავ სიტყვად აქცია. მაგრამ მელიტონი იმდენი კარგი და შინაარჩინი თვისება იყო, რომ ხუცობას ვერ დავწამებით. მას არც მრევლი ჰყავდა. შებათო-

გაგრძელება. იხ. „ჭოროხი“, № 2, 3, 1981 წ.

ბით ომასა და წვერს წამოიკეთებდა (მღვდელს ამის უფლება არ ჰქონდა) არა, იგი ნამდვილი მასწავლებელი იყო — თავმდაბალი, უაღრესად გულისხმით, დამხმარე და მრჩეველი. ინსპექტორთან საშუალებომდლო იყო რამე — მელისტი და მუზეუმის მშენებით და იგი სიამორნებით გვიშუამდგომლებდა. იმ დღი ამაგში, რაც მე ეკვთიმებ გაძიწია, დანამდვილებით ვიცი, მელიტონის დიდი წელილიც იყო. „ბიძოვო“ — ტბილქართულით ეტყოდა მოწაფეს და გწამდა, რომ ეს სიტყვა სიყვარულით სავსე გულიდან აშრიოდა.

მელიტონი ქართულ ენას და საღმრთო სჯულს გახსწავლიდა, მაგრამ ყველა დაწმუნებული ვიყავით, რომ იგი ძევლი თუ ახალი აღთქმის გაკვეთილებზეც მშობლიური ქინისა და სამშობლოს სიყვარულით გვმოძღვნავდა.

მელიტონის რჩევით შემოვიდე დღიური, — შენი თავგადასავალი საინტერესო იქნებაო. ხშირად შესასხენებდა და მასწავლიდა, როგორ შემერჩა შესატანი მახალა.

სილოვან წაქაძე პროგრესული შესწავლებელი და კარგი პედაგოგი იყო. ასევე გამოირჩეოდა სეფე ბურჭულაძეც. მე ადარ მომწევია უშაალოდ შესწავლა მისგან მათემატიკა, მაგრამ დიდი ავტორიტეტი პქონდა სკოლაშიც და სკოლის გარეთაც.

საერთოდ, მე ვფიქრობ, რომ ცხრაასუთმა, მიუხედავად დამარცხებისა, დადო გავლენა მოახდინა საზოგადოებაში, ხელოსნება და ინტელიგენციაშეც, უფრო შეამჭიდროვა საზოგადოების მშრომელი ნაწილი. აკი ეს რევოლუცია „ოქტომბრის რევოლუციადა“ აღიარებული.

ადრე კაზაფხული იყო (თუ არ ვცდები, 1906 წელი). იმ გაზაფხულზე კოტე და ერმილე ნაკაშიმების ხელმძღვანელობით გავაშენეთ ქალაქის ბალი ჩევნი საქალაქო სკოლის წინ, ცარიელ მოედანზე. იქ მუშაობისას გამომდევნდა ჩემი უფასესაცელობა. გეგმვით გვდევანიძის სახელოსნოდან წამოიღებული წუდები გაცვდა და ქუსიშევეცილი დავლიოდა. ნახევრად ფეხშიშველი იყვნენ სხვა მოწაფეებიც, რომლებსაც ოჯახი ვერ ეხმარებოდა. ექვთიმებ და სხვა მასწავლებლებმა, თურქე, მოთათბირეს და გადაწყვიტეს ფასიანი წარმოდგენა გაემართათ დარიბი მოწაფეების სასარგებლოდ.

დადგეს პიესა, რომელშიც მხოლოდ მასწავლებლები მონაწილეობდნენ.

მე წარმოდგენას არ დავხსრებივარ. არც ის ვიცი, რა პიესა დადგეს. მხოლოდ ეს ჩამრჩა მეხსიერებაში, რომ დამსწრე მოწაფეები ნშირად იმეორებდნენ სილოვან წაქაძის რეპლიკას: „ნალი ჩემთვის ჭირწველაა, ვადგვადამ უეხს — ვაკირებ, ვადმოვდგამ — გავსრეს“. და იმეორებდნენ იმ გამოთქმით, როგორც მას სილოვანი გამოიტანდა (ს-ენის თქმა უჭირდა).

ამ ქედლოქმედების შედეგი იყო, რომ შემოსავლიდან ხუთი მანეთი მე მწვდა დახმარების სახით. ფული ექვთიმებ მომცა, ხელი მომაწერია და ვაშაფრიანილა — არ დაკარგოთ, კოტეს გადავცი და იგი ტან-ფეხს გიყიდისო.

მე სიხარულით რა მექნა, არ ვიცოდი. ათი ვერცხლის ათშაურიანი შივუტანე კოტე ნაკაშიმებს და ექვთიმებს დანაბარებიც გადავცი.

მეორე დღესვე ახალი წუდები მიყიდეს, ხოლო ორ-სამ დღეში — ბლეზი და შარვალიც, ქუდიცა და ქაშარიც.

ო, კაცური კაცი და სინდის-ნამუსი არასოდეს დალეულა საქართველოში!

შეც, გახარებული და უაღრესად მადლივრი, იმ დღიდან კიდევ უფრო ვცდილობდი — კაცი გავმხდარიყავი და სამაგირო პატივისცემა მიმეგო ქვეყნისთვის!

სახარაზოს განწყობილება მაღლე შეიცვალა. ბეკითი მოწაფე გავხდი. კარგადაც ვსწავლობდი და სამეურნეო სკოლის ბაღშიც დაუზარებლად გმუშაობდი, და როგორც ზემოთ ვთქვი, მელიტონის ჩაგონებით დღიურების წერა დავიწყე.

დღიურში შეკიტანე ჩემი პირველი ლექსი, რომლის არც ერთი სტრიქონი აღარ მასხურება. ლექსი სახუმარო იყო და ერთმა გარემოებამ დამატებითა:

პასიონში შეოლოდ გამგის კაბინეტის წინ იყო საათი (კედლის). დილით კვებილის ეზარებოდა ადგომი და საათზე შეხვდა. იმიტომაც, რომ კაბინეტის დერეფინის შეორე მხარე უნდა გამგის ბინა იყო და ხმაურის გვერიდებოდა.

ერთი ძეველისძეველი ჯიბის საათი პეტონდა სოფლიდან ჩამოტანილი პავლე ჭვია-შვილს. ამ საათს იგი ყოველთვის მამლის ყივილზე ამოტშებდა და „ასწორებდა“. ეს რადა საათი იქნებოდა! მაგრამ რაც იყო — იყო. ერთ დღეს წყავიდან, რომელიც დეკორაციულად შეკრეჭილ-შემოლამაზებული იყო, მამლის ყივილი აღარ გაისძა. მამალი მომკვდარიყო და მიწაზე გაყინული ვნახეთ. სწორედ იმ მამალს მივუძღვა-ნი ეს ლექსი.

ბიჭებს ენასათ ჩემი დღიური და ლექსი სკოლაში ღლონტისათვის მაჟტა-ნათ. ვალოდიამ დამიძარტოვა და მთხოვა, მეც ერთხანს ლექსებს ვწერდი, მაგრამ არ ვამომვიდა და მივატოვე. აკაკი წერეთლის მეტოქეობა უკრ შევძელიო. რა თქმა უნდა, მენიშნა და ტირილი მომერია. ვიხუმრე-მეთქი, ვუთხარი...

აკაკ ქუხდა. მის ლექსებს ზეიმით ხვდებოლნენ. საქართველოს ბულბულად იყო აღიარებული და მის გვერდით სხვა ლექსის ხენება მერებულობად მიაჩნდა.

ვალოდიამ გადმომცა ჩემი ფურცელი და იგი რვეულის ლურჯ ყდაში ჩაეცეა. შერე აღარ დამიქტერია 1915 წლამდე. მაშინ ფრონტზე დავწერე აკაკის გარდაცვა-ლებაზე. ან არ გამოაქვეყნებს, ან დაიკარგა. უფრო სწორად, სუსტი ლექსი იყო.

გ ა ვ ი ც ა ნ

დიდხანს არ გაგრძელებულა ჩემი სიხარული და ბედნიერება. ერთი გაზაფხუ-ლის დღეს მოხაველებმა დილის ღოცვა არ თქვეს და დემონსტრაციულად დასხდ-ნენ მერხებზე. ინსპექტორი გიგებს დამტესგავასა მოწაფებს დაერია და ბევრი გაღახა. მეორე ღილით, სკოლაში რომ მივედით, მეფის სურათი დახეული დაგვჭვდა. მოწა-ფები ჩვეულებრივად მივეღია, ხოლო გაკეთილის დაწესების ზარი როცა გაისძა, კლასები მივატოვეთ და ქუჩაში მწყობრად ჩავიარეთ. კაზაკები დაგვადევნენ. და სასწრავოდ გავითანხმდო.

რეაქცია იყო. აწრიალდა მაზრის მმართველობა. ჩამოვიდა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი რედოლფი, პოლიცია დაემტბდა და თავს უყრიდა მოსწავლეებს.

მე ბახვში ვიდავი ერთ მივაწერებულ, გათხოვილ ნათლიაშვილთან — ეფიზო კილატებთან.

მოხაველები მაინც იძოვეს და ორ დღეში თავი მოუყარეს. დაწყო გამოძი-ება, დაკითხვები.

მოწაფეთა ხელმძღვანელებმა (აკაკი დოლიძე, ვალოდია ღლონტი, თეღორე ჭანიშვილი, სხვები არ მასხოვს) წინასწარ გაგვაფრთხილებს, ასეთი ჩვენება მიგვეცა: შეფის სურათი დახეული დაგვჭვდა, როცა ღილით მივედით. სკოლიდან წავედით ინსპექტორის შიშით: საშინლად გვცემეს და სკოლაში არ მოგვეცდება, რადგან აშის შემდეგ სულ დაგვხოვდათ.

მე პირადად ვალოდია ღლონტმა (აღარათ, ორგანიზაციის დავალებით) მითხვა: სკოლა რატომ მიატოვეო, როცა გეითხავენ, უასუხეს: ყველა წავიდა და მე მარტო ხომ ვერ ვისწავლიდო, თქვი, პოლა მაშინ აღარ გაგრიცხავენ.

მოწაფეები გამოძახებით შედიოდნენ კაბინეტში და რამდენიმე წუთში გაშოღი-ლენენ. დადგა ჩემი ჯერიც.

კაბინეტში ისხდნენ — მაზრის უფროსი, რუდოლფი და ინსპექტორი ექვთიმე გრიგასძინდჲ.

— ვინ დანა მეფის ხურათი? — მეკითხებიან.

ექვთიმე შეკითხვა ქართულად მითარგმნა და დასძინა: ეს კარგი ურთიერთობის სწავლითაც და კოფაქციითაც, მართალ იტევისო. ქართულად თქვა და რუსულად თარგმნა, თვითონ ძალიან ღელავდა, წამოღვა, შეი თვალებში ჩამაცერდა.

— მე ტყუილს ვერ ვიტყვი. დილით რომ მივედი, ხურათი დახელი ვნახეთ.

— ახლა მეორე შეკითხვა: რატომ წადი სასწავლებლიდან? — ეს შეკითხვა ექვთიმემ ხმის კანკალით თარგმნა. მე ვდემდი. ექვთიმე თანდათან უფრო ღელავდა. ვინ იცის, რას ფიქრობდა ამ ღროს!

— ჰო, თქვა, შეიძლო. კითხვა ხომ გაიგე? — დაშიყვავა ინსპექტორმა.

— როგორ გექტობათ ინსპექტორი? თუ გცემთ? — იკითხა მზრუნველმა და ხელით შაჩვენა დარტყმა...

— მე მაგის ხელი არ მახსოვე... პატივისცემა კი ბევრი... უთარგმნა ექვთიმემ.

— სხვებს თუ სცემს? — სხვებს (ხელით მიჩვენა სხვადასხვა).

— სხვებს კი... — ვთქვი და თავი დავუქნიე დანტურის ნიშნად.

— სწავლა ვინდა?

— სწავლა როგორ არ მინდა... მავრამ სხვებსაც თუ არ გარიცხავენ... კარგადაც ვისწავლით...

ინსპექტორმა თარგმნა. მზრუნველს ბრაზი დაეტყო, რაღაცა ნერვიულად აღნიშნა ქაღალდზე, გახაზა, შემდეგ მაზრის უფროსს შეხედა და მეორე ხაზი გაუხვა.

მე იმ ხაზების მნიშვნელობა არ ვიცოდი. მავრამ ექვთიმეს აღშფოთებამ გონს მომიგვანა. ის კანკალებდა. თვალები ცრემლით სახეს პერნდა.

მე ახლაც არ ვაფი, რით იყო მისი ცრემლები გამოწვეული — ჩემი გარიცხვით, მისი ამაგის წავალში ჩაყრისა თუ იმის გამო, მისი სასარგებლო ჩვენება რომ ვერ ძივეცო?

ვაღოლდა ღლონტი თავს იკლავდა: — მე ხომ გაგაფრთხილე რა როგორ უნდა გეთქვაო? შეი სხვებთან რა გეხაქმებოდაო?

თურმე ამ „სხვებბა“ დაღუპა საქმე: ორგანიზაცია ყოფილაო..

მე ბეჭრ სხვახთან ერთად სკოლის გარეთ დავრჩი!

ამ ამხანაგებიდან მხოლოდ რამდენიმეს ამბავი ვიცი: მერე, გვიან, ილია ორაგველიძე და მე კრთად მოვხვდით ხონის საოსტატო სემინარიაში; მე ჯარში გამიწვიებ, მან სემინარია დამსაკვრა, მასწავლებლობდა ქალაქ მახარაძეში, როცა გარდაიცვალა, დაქრძალვაზე მაწვიეს ბათუმიდან... ღომენტი ჯაფელთან გერმანიის ურონტზე მოვხვდი, მე დავიჭრი, შემდეგ იგი სამხედრო სასწავლებელში წავიდა, დემობილიზაციით დაბრუნდა, მახარაძეში მუშაობდა, გარდაიცვალა.

თვითონ ექვთიმე კი, გადმომცეს, ჭკუიდან შეიშალაო...

(გაგრძელება იქნება)



რუსული ჩუქურთმა

თაოდორ ტიშტჩევი



მშვენიერი ზარ, ზღვაო, საღამოს, —
აქ სილურჯეა, იქ კი ნათელი...
და მთვარის შუქზე დაუსაბამოდ
ლურჯი ტალღები ღამეს ათევენ...

თავისუფლების უსასრულობა,
ბზვინვა, ქუხილი, ღელვა, გუგუნი...
ტალღებით სავსე ზღვასთან სტუმრობა
მშვენიერია ღამის უკუნში!

შენი ღივლივიც მიყვარს, ზვირთებიც,
რა ზეიმი გაქვს ნეტავი ასე?
ნაპირი ლურჯი ტალღით ირთვება
და ვარსკვლავები აცვიგა თავზე.

მე ამ ღელვაში ვვავარ გაორშილს,
დაბნეული ვარ, როგორც მანძილი —
ო, ზღვაო, ზღვაო, შენს სამყაროში
მინდა, რომ ჩემი სული ჩავძირო...
იანვარი, 1865

SILENTIUM*

იყუჩე, შენთან ერთად დამალე
შენი გრძნობები და ოცნებები, —
სულის სიღრმეში გაიღვიძებენ
და განათლება ლურჯი თავანი,
როგორც ვარსკვლავი, ან მთვარის რიდე, —
დატები იმითი და გაირინდე.

* მდუმარება (ლათ.) — ავტორის შენიშვნა

გულმა ვით გვამცნოს სახება თვისი?
სხვამ რით გაიგოს ის, რაც ჩვენ ვიცით?
სხვამ შენი ყოფა თუ იცის ჯერაც?
მათი აზრების ნაკლებად მჯერა.
შენ ჩანჩქერების გასხია რიღე, —
დატკბი იმითი და გაირინდე.

საკუთარ თავთან ყოფნა იცოდე,
შენს სულში მთელი სივრცე იწვოდეს,
იღუმალ ფიქრებს გვერდს ვერ აუვლი,
მათ დააყრუებს გარე ხმაური,
განდევნის ღილის სხივების კიდე, —
დაუგდე ყური და გაირინდე.

1830.



სირბეი ესენინი



შენ არ გიხმობ და მე არ ვტირი
ახალგაზრდობის დღეებს მოცელილს,
ჰქონდის დღეები მოვა მარტივად
და დამიდგება ქამი მოწყენის.

შენც ასე ვედარ გაიშრიალებ,
ვულო, სიცივით შემოზღუდულო,
ვარ გამიტყუებ ყრმას ფეხშიშველას,
რომ მაღალ არყის ხეებს ვუყურო.

იშვიათდება თანდათანობით
ეგ მხურვალება და ეგ მინდობა,
ო, გამხელილო ჩემო თვალებო,
შენ ჩემო ღელვავ და წყალდიდობავ.

შენ სურვილებში ვპოვებ ვერაფერს,
თუ შენ მეზმანე ასე ნააღრევს.
თითქოს ზაფხულის ღილა გავაპე
და ოქროს მერნით გავინავარდე.

ჩვენ ყველა წავალთ, წავალთ. მანამდე
 ფოთოლცვენა აქვთ ნეპერჩხლის ტოტებს,
 კურთხეულ იყოს აწ და მარადის,
 რაც იბაღება და მერე გვტოვებს.

1921.



• საუბარს მორჩა ლამაზი ჭალა
 არყის ხეების ჩუმი გაღობით.
 და წეროები აღარსად ჩანან
 და აღარაფერს აღარ ნანობენ.

ვის დაინანებ? ამ ქვეყნად ყველა
 წარმავალია — მოვა და მიდის.
 წარსული ახლა არის ზმანება
 და ძველი მთვარის კრთომა და რიდი.

დღეს კდგავარ ტრიალ მინდორში მარტო,
 მიგვერექება ქარი თავნება.
 მე ახლა ყრმობის ფიქრები მართობს,
 მაგრამ წარსული არ მენანება.

არ მენანება ჩავლილი წლები,
 არ ვნანობ სულის ვარდისფრად გაშლას,
 ჭნავის კოცონი ცათამდე სწვდება,
 მაგრამ არა აქვს სითბო მის კაშკაშს.

ჭნავის ტოტები ცეცხლისთვის არ ღირს,
 ვერ გადათელავს ბალახს ზამთარი.
 და როგორც ფოთლებს ხეები არყის,
 მეც ისე ვაპნევ სიტყვების თავთავს.

ქარი სივრცეებს თუ გადაჩალავს,
 რათა შეკონოს ნიავის ფრენით,
 ასე თქვით მაშინ, რომ ოქროს ჭალა
 საუბარს მორჩა მხიარულ ენით.

1924.

სისმი მომიგოთხე, სისმი!

აქა ამბავი იმისა, ერთი აუჩქარებელი, ხათვალიანი ახალგაზრდა კაცი, შეცნერებათა კანდიდატი მიხაილ ალექსანდროვის ეკოროვი კინაღამ როგორ დაქორწინდა.

ლად, სახლები იქცენ ნასახლარებად, ატირებული დასტოვოს ვაში, ატირებული
დასტოვოს სახლი, დაკარგოს გული, გონება, აზრი, ზვარს ამჯობინოს ქალაქში
დახლო“...

მშობლიური მიწის ერთგული შვილი გრძნობს, თუ საიდან ემუქრება, ერს საფ-
როხე. მან ისიც კარგად იცის, თუ რა თქვა მისმა დიდმა წინაპარმა შეფე-პოეტმა:
„რა ამოწყდეს გლეხი კაცი საქართველო დაბაბუნდეს!“. ამიტომაც გაპყვირის
პოეტი მოელი ხმით: „შენ საჭირო ხარ, საჭირო, გეხმის?! შენით იწყება ჩვენი
მაშული, თორებ უშენოდ ვენახის ფეხვი არის საძარი და მოუაშული...“

პოეზის მოყვარულო ახსოვთ, კარგად ახსოვთ, თუ როდის ითქვა ეს სიტყვები!
აი, ამიტომაც შეუყვარდათ იმავეთვე პოეტი საქართველოში.

როდესაც დადგა ქამი გამოფხილებისა, ქამი აღორძინებისა — ჩვენ კველამ
ვნახეთ პარტიასთან, ხალხთან, საქმესთან პოეტთა ურყვევი თანადგომა, და უპირ-
ველები აქ ამ საქმეში ჯანსულ ჩარკვიანი იყო. ალბათ, ესეც ჰქონდა მას მხედ-
ველობაში, როდესაც თქვა:

ახლა იმშელა სინათლე დადგა,
ახლა სიცოცხლე ისე დიდია,
რომ, მთაო, შებლზე ნათელი გადგას
და რომ სიმაღლეც შენი მკვიდრია,
შენ არ ხარ ბელტი, შენა ხარ მთა და
შენ ვერასოდეს ვერ გაგდიდიან.

არა მარტო წარსულის განმადიდებელი და ახლანდელის ქომაგია პოეტი. მას
აწუხებს ხვალინდელ დღეზე ფიქრი, მომავლის ბედი, მსოფლიოს ზედრი:

ოღონდაც ფრთხილად,	რადგან ჩვენს შემდვე
ძვირფასებო,	დაიწყება
ფრთხილად ოღონდაც,	თქვენი გოლგოთა
ეს დედამიწა	და აღარავინ
სხვანაირად ვიმზენს —	არ იქნება
ბებრი,	მიმტევებელი.

ამიტომაც მიმართავს იგი ქვეყნის მომავალს, ახალგაზრდობას:

კაცია მეცნიერულ ბუკაბე, ქვეყნის სიჭარეავ,
ბუკე ჩაპბერე ისევ, მოლად სამდარო გასმენს.



კაცია მოლგმის განენიდან მისი ყველაზე დიდი მტერი იყო და ალინ გულ-გრილობა, განურჩევლობა. და თუ რამე ავნო თავის თავს დედამიწის მეუფებ, ადამიანია — მხოლოდ გულგრილობით, მხოლოდ განურჩევლობით, „სხვისი ჭირითა და ღობეს ჩიარით“. ცხადია, ადამიანთა მოლგმის ამ ძელისძველ სენ ვერ შეურიცდება აღალმართალი პოეტი:

— „რა ჩემი საქმეა,“ „რა ჭირმა შევვარა,“
„რა ჩემი საქმეამ“ დაღუპა ქვევანა...
— წე, არ გაგვიგონოს,
გაჩერდი, აქვეა,
დაღუპოს ქვევანა
რა ჩეენი საქმე.

დღემანდელი ცხოვრებით, ერის შოველდღიური ცხოვრებით სულდგმულობს პოეტი. კოველდღიურობა მისი შემოქმედების არსიც და მიზანიც ამიტომაც ვერა და ვერ იქნება იგი განურჩეველი ყველაფრისადმი. აյი ამბობს კიდევაც:

გულგრილობაა, ძამიკო,
— მგულს მზერა უნდა მგლური,
ურთი ბრძენებაცის არ იყოს —
გულს საჭიროებს გვლო.

დიახ, გვალისაკენ, კაცია გულისაკენ მიმავალ გზას აშენებს პოეტი, ამ გზას ესწრაფვის. გზა კა იგი — ძნელია... კაცური კაცის ნაბიჯებით უნდა იარო ამ გზაზე და მხოლოდ მაშინ შეძლებ მიზნის მიღწევას:

ნეკნი ნამუსის	დღეიდან მაინც,
თავი და ტანი	დღეიდან მაინც,
ვანძე ქართველშა	შენ გაასწორე
თუ მტერს დაუთმო,	მრუდე საწუთო.

ხოლო „მრუდე საწუთოს“ გასწორება მსხვერპლს მოითხოვს, უზარმაზარ ძალას, მომძინებას, ამტკინიანობას მოითხოვს... ერის კაცის საქალ გზაზე კი ბევრია მოულდნელობაც და სიმუხტლეც:

სხვა სივრცეებში კვდებიან
არწივები და ჩიტები,
უფრორე გემუქრებიან,
როცა ქვევანას სჭირდები.

პოეტმა ისიც კარგად იცის, რომ „შუბლში ტევიას არვინ გესვრის, იფავ მაღლიერ, რამეთუ არ ხარ შენ მოყვარე საქართველოსი“.

არადა, ჯანსულისთანა კაცები, აღალმართალი, გულითადი კაცები ქვევანას სჭირდება, ძალიან სჭირდება.

ჯანსულ ჩარკვიანის პოეზიაზე, მის შემოქმედებით თავისებურებაზე ჯერ სათანადოდ არ თქმულა... თუ ორიოდე სიტყვით შეიძლება ითქვას მის პოეტურ

თვეის გურულებაზე — ესაა, უმთავრესად, პოეტური აზრის სიღამაზე, მაზნისაკენ
შიძვალი დამუხტული სიტყვა, სიტყვა, რომელიც „არა მარტო ტქბილ ხელმისათ-
ვისა“ გამიზნული, არამედ გარკვეული ამოცანის გადასაწყვეტად. ამისათვის, /ამ
მიზნის მისაღწევად იგი რითმების გორგოლაჭებზე შემდგარი სწორი ჯერადაც გრიფით
როდე მიღის ზანტად, ლუნედ, რაფინირებულად. არა! ასეთი პოეტური უცვლესობას სუს-
სუდ ჩარკვიანისათვის უცხოა. უცხოა იმიტომ, რომ პოეტმა იცის, ჩვენს მშეოთ-
ვარე ეპოქაში უნდა იჩქაროს! თორუმ: „გინ გაცლის ხმლისა აღესვას, ანდა თა-
ვიღან დაწევებას, ან ხელმეორედ გაღვევას, ან ხელმეორედ დაწევას!“

ჯანსუდის ლექსის უპირველესი ღირსება შინაგან სიღამაზეშია, ავტორის
უშუალობაშია, გულწრფელიბაშია.

პოეტის ლექსა არ არის ზედმეტად გადატვირთული, ხელოვნურად გართულე-
ბული, და ეს სისადავე, სინათლე, გამჭვირვალება მისი პოეტური ნიჭის თანდა-
ყოლილი თვისებაა, ხოლო ეს თვისება, როგორც ვიცით, „ზეგარდმო ნიჭით ცხე-
ბულთა“ მაღლი და წყალიბა.

სშირად იტყვიან: მავან და მავან პოეტს მშოლოდ ეს რომ დაეწერა — შე-
მორჩებოდა ქართულ პოეზიასო... ანუ არის ლექსები, ცალკეული სტროფები, რო-
მლებიც პოეტურ სრულყოფილებას აღწევს და მკითხველს სამუდამოდ ამახსოვრ-
დება მოვატანთ მხოლოდ რამდენიმე სტროფს:

როცა დაიწევებს წყარო საუბარს,
შექს რომ მისწვდება ირმის ბლავილი,
შემოასკდება როცა აღუბალს
შუბლზე კაბა და გულზე კვავილი.

როცა მერცხალი ზეცას შეუტევს,
როცა მიწაზე მზე და დარი დგას,
ირემი აპრილს კარებს შეუმტკრევს
და ატმის რტოვებს რქებად დაიდგამს.

დავდგები ცერზე როგორც ავაზა,
ერთს გადავხელავ დღეებს გაფრენილს,
მერე მოკვდები ისე ლამაზად,
ვით დაიბადა ეს კველაფერი.

ჯანსუდ ჩარკვიანის პოეზიას მთლიანად მსჭავალავს სამშობლოსადმი სიყვა-
რული. მისთვის სამშობლოს სამსახური გმირულ შემართებასაც გულისხ-
მობს და ყოველდღიურ, ჩვეულებრივ შავ სამუშაოსაც.

სწორად შეიძნა ამას წინათ ჯანსუდის თანამოკალმემ, ჩვენთვის, კველასა-
თვის საყვარელმა მწერალმა რევაზ ინანიშვილმა: „შენ ჩემთვის ლადო ასათანანისა
და მირზა კელოვანის მიერ წამოღებული პოეტური გზის გამგრძელებელი ხარ.
ლადოც და მირზაც მთებიდან იყვნენ მოსულნი, მთის ლადი სუნთქვა და მკვიდრად
დგომის უნარი ჰქონდათ მოყოლილი, უმძაფრესად გრძნობდნენ კაცურობის არსე...
შენი ლექსები, შენი პოეტური ცხოვრება მაღალი მთების სიჯანსაღით არის სავ-
სე... თუ რამე უცხოა მთებისა შენთვის, ეს მათი განკერძოებულობა და მოკარე-
ბლობაა“.

შორით შხარა მოჩანს, ბრძენი ბელადები

შორით უშბა მოჩანს, შორით ათასი წლის
ჩეში ძველი ტომის შილმა მენატრები...

აღმოსაშეება უნებლივთ პოეტს მშობლიური მთების დანახვისას!

როგორც თვითონაა პოეტი ერთი მთლიანი და მტკიცე, ასევე მისი პოეზიაც მთლიანი ბუნებისაა — ასევე მთლიანად, განურჩევლად უყვარს მას ხალიცავი სამშობლი, მიუხედავად მისი ეთნოგრაფიული სხვადასხვაობისა. ყველაზე მაგალითობრივ საქართველოსა მისთვის განურჩეველია ერთად და ცალცალკე. ომახთხოვან ცერი პოეტური ხმა ჯანსულისა თანაბრად წვდება სრულიად საქართველოს და ყველგან აღაგზებს გვლებს, განაწყობს კაცს შრომისათვის, ბრძოლისათვის, მაგრამ არ შევცდება, თუ ვიტყვი, რომ იგი განსაკუთრებული სითბოთი ბათუმს, აჭარას მიმართავს.

აბა, როგორ შეაძლება მღელვარების გარეშე წაიკითხოს კაცმა მისი წერა-ლება. — იქნება ეს განახისუფლებას ასი წლის თავზე დაწერილი, თუ თბილისის დღვების ღრის ბათუმში ნათქვამი... განსაკუთრებული ემოციურობით გამოირჩევა ღვეშება, რომლებიც ამ რიობდე წინ პირველად ჟურნალ „ჭოროხი“ დაიბეჭდა.

აჭარა — აბბობს პოეტი, — საქართველოს ეს „ოქროს ღაევარდი“, ჩვენა ეროვნული ენერგიის კველაზე უფრო მძლავრი და რაინდული გამოხატულებაა, და თანაც ღვეშებად ასე დასხენს:

გაღლობის ხალის მოშეც უნარი,
სიბრძნე მძლევარის, სევდა ძღველთა,
შენ ხარ პერანგი გაუხუნარი,
კველაზე ახლოს შენ ხარ სხეულთან!
თან დამდევს მუდამ შენი ზმანება,
სხვა გზები არ მაქეს შენზე დაგეშილს,
შენმა ხატულა ლამაზმანებმა
დამიშრეს გვლის სისხლი ძარღვებში,
შე რა დაგარქვა, შენ ხარ ბათუმი,
გარდასახველი გარდამესახა.
შენ ხარ აჭარა, სული ქართული
ანუ ქართული სულის კვნესა ხარ!

აი, რატომ უკართ საქართველოში ჯანსულ ჩარგვანი. აი რატომაა, რომ დღეს მთელ ქართველ ხალხთან ერთად გულში იხუტებს საყვარელ პოეტს მისია აჭარა და ულოცაუს სახელოვან ნახევარსაუკუნოვან გზას!

ტკუალად როდი უწოდა პოეტმა ერთ-ერთ უკანასკნელ ხანს გამოცემულ კრებულს „დიდიდან ნათელი“. დიახ, დამდგარა პოეტის შემოქმედებაში დიდი ნათელი! სწორედ იგა, საწადელს რომ აწევს შემოქმედს, სწორედ ამ ნათელის ქვემ უნდა ითქვას ჯვრიც უთქმელი, მაგრამ სათქმელი პოეტისეული, ჯანსულისეული სიტყვა!

ახლა პოეტს თავისი ცხოვრების ნახევარგზაზე შემოქმედებითი შუაღლას ჩახჩახა შექ ღაპნათის. გვჯერა, ამ ძნელ, მაგრამ ნათელ გზაზე კიდევ მრავალჯერ მიუტანს მწყერვალს წყალს, მევალს — ვალს, გზააბნეულს — ასწავლის გზას, შეწამლავს შეწამლავ ზეარს, მოძებნის დამარხულ მბათა ძვალს და კიდევ იტყვის შის მისებური ომახიანი ხმით — ქვეყნად სიცოცხლე დირს!



„ასთატიკური ეტიუდები“

ესთეტიკის პრობლემას, მის საფუძვლიან დამუშავებას განსაკუთრებული შნო-შველობა აქვს განვითარებული სოციალიზმის პირობებში. ახალგაზრდობის, მასების ესთეტიკური აღზრდა ჩევნი პარტიისა და მთავრობის, მთელი საზოგადოების უმნიშვნელოვანების ამცანაა. მარქსისტულ-ლენინურმა ესთეტიკაში ქმედითოროლი უნდა შეასრულოს ამ დიდი ამცანის გადაჭრაში. ამ თვალსაზრისით საინტერესო დოკუმენტ ლ. აბაშიძის ნაშრომი „ესთეტიკური ეტიუდები“ (გამოცემისა, „საბჭოთა აჭარა“, 1981 წელი).

ნაშრომი შედგება ოთხი თავისაგან: 1. ხელოვნება, როგორც შემოქმედება სი-ლამაზის კანონების მიხედვით; 2. მხატვრული შემოქმედების მეთოდები; 3. მხატ-ვრული სტილი; 4. მხატვრული შემოქმედების პროცესი.

პირველ თავში ავტორი ჩერდება ხელოვნების ფუნქციის დახასიათებაზე, და-მაჯერებლადა ნაჩვენები დამოკიდებულება ხელოვნებასა და შემეცნების პროცესს შორის, რომ დიდი ხელოვნების ძირითად ფუნქციას, მის არსებით ნიშანს ესთე-ტიკურობა წარმოადგენს და არა შემეცნება. აქვს ნაჩვენები განსხვავება და პავ-შირი ცნობიერებასა და შემეცნებას შორის, შემეცნებასა და ასახვას შორის. ავ-ტორი სამართლიანად შენიშვნას იმ დებულების უზუსტობასა და უკმარისობას, რომ მეცნიერება ცნებებით აზროვნებაა, ხოლო ხელოვნება — სახეებით აზროვნება. ეს დებულება თითქოს სწორია, მაგრამ, თუ დავუკავირდებით არც ისე მნელია შეცდომის შენიშვნა. სახეებით აზროვნებაზე მითითება არ კმარა ხელოვნების და-ხასიათებისათვის, ვინაიდნ ცნობილია, რომ სახეებით (სურათოვნად, ზატოვნად) აზროვნებენ ბავშვები და განვითარების დაბალ ღიზებები მდგრომი ტომის ადამიანე-ბი, მაგრამ მათი აზროვნება მხატვრული აზროვნება არ არის. ყოველგვარი სუ-რათოვნანი და ხატოვნანი შემეცნება-ასახვა არ არის ესთეტიკური და არ ზიკუ-როვნება ხელოვნების სფეროს. ვინც ხელოვნებას სურათოვან-ზატოვან ასახვად მო-იჩნევს, ალბათ, ფიქრობს, რომ რამდენადაც მეტი წარმოდგენა უჩნდება ადამიანს, იმდენად მაღალმხატვრული იქნება მისი ცნობიერების პროდუქტი, მაგრამ ეს ასე არ არის. ხელოვნების ნაწარმოების ღრმა განცდას, მისი დედაბირის უშუალო წვდომას ზოგჯერ შეიძლება ხელსაც უშლიდეს მოზღვავებული წარმოდგენები-ერთი სიტყვით, წარმოდგენები, ხილულ-თვალსაჩინო მასალა და ხელოვნება; ეს-თეტიკური განცდა ერთი და იგივე არ არის; თუმცა ისიც უნდა აღინიშვნოს, რომ ხელოვნება, ესთეტიკური არ არსებობს ხილულისა და თვალსაჩინოს, კრძნებადის გარეშე, მაგრამ ისეთი გრძნობადი მასალით იქმნება ხელოვნება, რომელსაც გან-საკუთრებული ესთეტიკური ღირებულება აქვს. ამგვარად ხელოვნება და ესთე-ტიკური არ დაიყვანება შემეცნების ფუნქციამდე, მათ შორის — გრძნობად-შემე-ცნებამდე. თუმცა ხელოვნება სინამდვილის თავისებური შემეცნების პროცესიცა, იგი მხოლოდ შემეცნების ფორმა არ არის. ამიტომ სწორია ავტორი, როგორსაც ამბობს: „ვინც ხელოვნებას შემეცნების ფორმად განიხილავს, იგი დათვარ სამ-

სახურს უწევს მას, რადგან ზღუდავს ზელოვნების შინაარსს, ზელოვნება შემცი-
ნებაცაა, შეფასებაცაა, მოწოდებაცაა, და, რაც მთავარია, სილამაზის კანონების
მიხედვით შემოქმედებაცაა” (გვ. 16).

ჩვენ მიგანია, რომ განსაკუთრებული სიღრმითა და თანმიმდევრული მოძრა-
ვა არა მოძრავია — „ზელოვნების ესთეტიკური ფუნქცია“. აქ განხილულია
სწავლასხვა თეორია (ინტელექტური, ჰედონისტური, შთაგრძნების და სხვა) იმის
შესახებ, თუ როგორ ზემოქმედებს ესთეტიკური და მშვენიერი პიროვნებაზე, რა
პროცესებს აღძრავს პიროვნებაში, როდისაა ეს ზემოქმედება ესთეტიკური და ა. შ.

პირველ თავშივე განხილულია ზელოვნების ესთეტიკური ბუნება. ავტორი
ეძიებს იმ მახასიათებლებს, რომლებიც ზელოვნებას გააჩნია. შემოქმედების მრა-
ვალი სფერო არსებობს: პოლიტიკა, მეცნიერება, პედაგოგიური მოღვაწეობა,
ორგანიზაციონული ზელოვნება... „სინატიფა, სილამაზე, მშვენიერება ხელოვნე-
ბის ერთ-ერთი არცებითი ნიშანია, თუ კველაზე არსებითი არა“. თუ ნაწარმოები
ან რაიმე ნაკუთობა სილამაზით, სინატიფით, მშვენიერებით გამოირჩევა, ის ზელო-
ვნებას მიეკუთვნება (გვ. 45). ხელოვნება სამართლიანად მიაჩნია შემოქმედებად
სილამაზის კანონების მიხედვით, მაგრამ ჩვენთვის ჯერჯერობით გაურკვეველი
რჩება თვით სილამაზის, მშვენიერების ცნება: რა არის მშვენიერი? რა არის ლა-
მაზი? რატომ ტონების ერთი სინთეზი მშვენიერია და ესთეტიკური სიამოვნებას
გვანიჭებს, სხვაგვარი სინთეზი — არა. ეს საკითხიც პრობლემად რჩება. ავტორის
ყველა საკათასი გადაჭრას ვერ მოვთხოვთ, მაგრამ კარგი იქნებოდა დაესკა ეს
საკითხი როგორც პრობლემა, თორუმ ადამიანების საკმაოდ დიდი ნაწილი, მათ
შორის ხელიალისტებიც არ, ამ ცნებათა შესახებ ძალას მარტივი მნიშვნელობით
ქმართვილდებან.

ზელოვნების სფერო კრცელია და იგი ადამიანთა საქმიანობის ყველა დარგში
შეიძლება ხერციფერლდებოდეს, ცნადია, თავისებურად. ზელოვნების ცნების შოცუ-
ლობა არ შემოიფარგლება მხოლოდ მხატვრული ლიტერატურით, მუსიკით, სა-
ხვითი ხელოვნებით, არქიტექტურით, თვატრითა და კინოთი. ამას მოწმობს დი-
ზაინი, მხატვრული კონსტრუირება, სამრეწველო, ტექნიკური ესთეტიკა (გვ. 45).
ხელოვნებაში მთავრია შესაბამისი შინაარსის ლამაზად, ნატიფად ჩამოყალიბება.
„ხელოვანი არ არის ვალებული გვიხატავდეს ლამაზ საგნებს, მაგრამ იგი ვალ-
ებულია ლამაზად ხატავდეს“. (გვ. 49). ავტორი ანვითარებს სავსებით სწორ დე-
ბულებას, მაგრამ ხელოვნების ესთეტიკური ფუნქციის და ესთეტიკური ბუნების
დახასიათების გაცნობისას იქმნება შთაბეჭდილება, რომ ავტორი ესთეტიკურს შე-
ძლია საღვანებეს ხელოვნების სფეროთ, თუმცა არის იმაზე მითითებაც, რომ მშვე-
ნიერება ბუნებაშიც გვხედება. შეიძლებოდა ბუნების მშვენიერების საკითხზე მეტი
ფურალება გავვემსვილებინა, რომ თვითონ ბუნების საგნები და მოვლენები,
პერსონალის, ტყის მასივები, მყინვარები და სხვა, მუხედავად იმისა, მათ სარგებ-
ლობა მოაქვთ თუ არა, ესთეტიკური გრძნობების აღმძრველია.

პირველ თავშივე განხილულია ესთეტიკური აღქმის პრობლემა. აქ შედა-
რების კრცელადა გამოყენებული ფიქტოლოგიური მეცნიერების მონაცემები და
აღნიშნელია, რომ შართალია, ესთეტიკური აღქმა ექვემდებარება აღქმის ზოგად
კანონებითი განვითარებას, მაგრამ იგი მაიც შეიცავს თავისებურ ნიშანს და ეს ნიშანია
შესაბამისი ინფორმაციის მიღების საფუძველზე ესთეტიკური განცდის აღმოცე-
ნება, რომ ინფორმაცია თავისთავად არაა სიამოვნებისა და სხვა სუბიექტური
ნიშნების მატარებელი. ერთი და იგივე გრძნობადი მასალა შეიძლება სხვადასხვა
განცდებს იწვევდეს პიროვნებაში ესთეტიკური განვითარება-აღზრდის მიხედვით.
ესთეტიკური აღქმის განვითარებაზე ზრუნვა, ვარჯიშია საჭირო. ვარჯიში კი ეს-

თეტრიცურის აღქმის გზით შეიძლება განხორციელდეს. ამიტომ ავტორი სპეციალურად განიხილავს პრობლემას — ესთეტიკური აღქმა თუ ესთეტიკურის აუქტივის მკითხველი აქ უდივით საინტერესო მასალას ნახავს.

თეტრიცური

პრინციპულურად მართებულადაა გაშუქებული ხელოვნების აღმოქმნელობის უფრო უფრო უფრო უდიდესი მასალა უდიდეს საინტერესო და საჭიროა, მაგრამ ცირკუ და რამდენადმე სქემატურიცაა. ხელოვნების აღმოქმნელობითი მნიშვნელობა ურთეულები პრობლემა, უდიდესი შეიმჩნევლობის საკითხია. ამ ცირკუ მოცულობის ნაშრომში სრულად ვრც იქნებოდა განხილული. სასურველია, ავტორმა ან სწავლა დაინტერესებულმა კომპეტენტურმა პირმა სპეციალურად იმუშაოს ამ საკითხე.

შეირე თავში განხილულია მხატვრული შემოქმედების მეთოდები. ავტორს დადა შემაობა გაუწევია ამ თავის გაშუქებისათვის, განსაკუთრებით ვრცლადა განხილული რეალიზმის, კერძოდ, სოციალისტური რეალიზმის პრობლემა. დახასიათებულია მისი ჩამოყალიბება-განვითარების პროცესი, მისი შესატყვევისა საზოგადოებრივი ურთიერთობათა პროცესთან, შერომელი ადამიანების ცხოვრებისა და საქმიანობის ასახვასთან. ცნობილია, რომ შესასწავლი საგანი და მეთოდი შემდგროვ კავშირშია ერთმანეთთან. მეცნიერებაში სავნის თავისებურება განსაზღვრავს მეთოდის თავისებურებას. ანალიტიური მდგრადარება მხატვრულ შემოქმედებაშიც, მაგრამ აქ შეთოდს კიდევ შეტი ფუნქცია აქვს, იგი მეთოდოლოგიის დონეზე ამაღლებული. ავტორიც ამბობს: „მეთოდი — ეს არის იმ პრინციპების სისტემა, რომელიც საფუძველად უდევს მხატვრულ შემოქმედებას და წარმართავს შემოქმედების პროცესს“. (გვ. 88). ამავე თავში განხილულია მეთოდის კადასობრივი ხასიათი, ფაილოსიფიურ შეხედულებათა მნიშვნელობა, მხატვრულ-შემოქმედებით მიმართულებისა და სკოლის ცნებები. ყურადღება გამახვილებულია სოციალური დეტერმინიზმისა პრინციპის მნიშვნელობაზე ხელოვნებში, ადამიანთა აქტიურობის ჩვენებაზე, პიროვნებათა შინაგანი მდგრადარების ასახვის მნიშვნელობაზე და ა. შ. ამ თავის ბოლო ნაწილში დაზუსტებას მოითხოვს ერთო ადგილი. საზოგადოებრივი გარემოს მნიშვნელობის განხილვისას ავტორი წერს: „მხრივი კ. მარქსმა გააკეთა დასკვნა იმის შესახებ, რომ თუ ცუდი ზე ცუდი ადგილის შედევრი, მაშასადამე ადამიანებს უნდა შევუქმნათ ადამიანური პირობები და ადამიანობა თავისთავად დამკიდრდება“. (გვ. 91). სპეციალური განმარტების გარეშე ეს დებულება შეიძლება არასწორად იქნას გავებული. მარტო პირობების შექმნა არაა საქამარისი ადამიანის აღზრდისათვის და ადამიანობა თავისთავად ვერ დამკვიდრდება, ამისათვის თვითონ ადამიანთა აქტივობა საჭირო და ინდივიდუალური თავისებურებებიც, შინაგანი შესაძლებლობების გათვალისწინებაც.

მესამე თავში განხილულია მხატვრული სტილის საკითხი. მრავალი ფილოსოფიის, ხელოვნებათმცოდნისა და ფიქტოლოგის მთასაზრება გაანალიზებული.

ავტორი ემცის განსხვავებას სტილსა და მანერას შორის და მიდის იმ დასკვნამდე, რომ შემოქმედის მანერაში გამოხატულია პიროვნების ინდივიდუალური, მაგრამ არაარსებითი თავისებურება. მანერა უმთავრესად უარყოფითადაც განიცდება მხატვრული ნაწარმოების აღქმისას.

ხელოვნებათმცოდნეთათვის, ლიტერატურის ისტორიის მკვდევართათვის აუცილებელია შესაბამისი ცნებების სუსტი ცოდნა (კერძოდ, მეთოდი, სტილი, მანერა). ამიტომ ამ თავის შინაგანის გაცნობა კარგ დახმარებას გაუწევს შესაბამისი დარგის სპეციალისტებს ცნებათა მნიშვნელობის დაზუსტებაში.

წიგნის ბოლო თავში ავტორი ეხება მხატვრული შემოქმედების პროცესს. ხელოვნება ადამიანის შემოქმედება-მოღვაწეობის ერთ-ერთი დარგია, თანაც უა-

ღრესად მნიშვნელოვანი და სპეციფიკური ღარები. მისი სპეციფიკა კარგად ჩატანებული იყოს ფსიქოლოგიურ დახასიათებაში. როგორც ცნობილია, შემოქმედება როგორც პროცესია, რამდენიმე საფეხურისაგან შედგება და ყველა მათგანი შემოქმედება გავება, დახასიათება სჭირდება. ამ რთული საქმის შესრულება ყველაზე უპეტერული ისევ შემოქმედმა ადამიანებმა შეძლეს, შემოქმედების პროცესის მევლევარისათვის უძნელეს პრობლემას წარმოადგენს მთავრება, რომელსაც ჩვეულებრივ წინ უსწრებს ხანგრძლივი მოსამზადებელი მუშაობა და აი, ღება მომენტი, როდესაც შემოქმედი პიროვნების ცნობიერებაში რადიკალური ცვლილება ხდება, თითქოს ფავლავერი განათდა უცტყდად, ისახება შემოქმედების ძირითადი მიმართულება, შედეგი... ეს პროცესი მხოლოდ ცნობერების პროცესით ვერ შემოიფარგლება, იგი პიროვნების არაცნობიერ მოვლენებთანა დაკავშირებული და ამიტომ მართებულად მიგვაჩნია ავტორის ძიერ ცნობილი ქართველი ფსიქოლოგის აკადემიკის დ. უზნაძის შეხედულებათ ვრცლად გამოიყენება შემოქმედების ფსიქოლოგის საკითხებს, შემოქმედება განხილულია განწყობასთან კავშირში. აეტორს კარგად აქვს გაშექმდული მონაცემების და ნიჭიერების მიმართება, სპეციალური ნიჭიერებისა და მოქმედების ტექნიკის კავშირი, შრომისმოფარების მნიშვნელობა პიროვნების მონაცემების განვითარებისათვის.

; განსახილველი ნაშრომის ავტორი საქმაო სიღრმით აშუქებს ესთეტიკის ძარითად პრობლემებს, პრინციპულად სწორად არკვევს ხელოვნების შემოქმედების ესთეტიკურ, ასევე ფილოსოფიურ-მეთოდოლოგიურ საკითხებს, და რაც, ჩვენი აზრით განსაკუთრებით ყურადსალებია, ხელოვნების ფსიქოლოგიის საკითხებსაც. ხელოვნური შემოქმედება ადამიანის ფსიქიკური აქტივობის სფეროს ექსოუნის და ამიტომ ადამიანის ფსიქოლოგიის ძირეული საკითხის ცოდნა აუცილებელია ხელოვნების პრობლემის კვლევის დროს. ნაშრომი კარგ დახმარებას გაუწევს ამ დარგში მომუშავე სპეციალისტებს და პრობლემით დაინტერესებულ პირებს ბევრი ცნების, პრინციპული საკითხის გარკვევა-დაზუსტებაში.

აგრძა ართილაშვა.





ისინი მოსკოვს იცავდნენ

ხალხის ხსოვნაში არასოდეს წაიშლება ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის დამცველთა უკვდავი გმირობა. საბჭოთა ადამიანების გამარჯვებამ მოსკოვის მისაღვომებთან დასაბამი მისცა ძირეულ შემობრუნებას მეორე მსოფლიო ომში. სწორედ ამიტომ იყო, რომ მოსკოვთან გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურების მე-40 წლისთავი საზემოდ აღინიშნა მთელს ჩვენს ქვეყანაში.

მოსკოვს მძიმე განსაცდელის უამს საბჭოთა კავშირში მცხოვრები ყველა ერის წარმომადგენელი იცავდა. მათ შორის საქართველოს წარგზავნილებიც. როგორც გაზეთი „პრავდა“ აღნიშნავდა, ქართველები იცავდნენ საბჭოთა კავშირის დედაქალაქს, როგორც თავიათ მშობლიურ ქალაქს. მოსკოვის ბრძოლების მატიანეში სახელოვანი ფურცლები ჩაწერეს მოტიმსროლელთა და საზენიტო დივიზიების მეთაურებმა პ. ჩახნიძემ, მ. კიკნაძემ, პ. ჩხობაძემ, ა. განახაძემ, ა. ნაკაშაძემ, შ. ბრეგვაძემ, ნ. დალაქიშვილმა, კ. ტატანაშვილმა და სხვებმა.

მოსკოვის დამცველთა შორის ბევრი იყო აჭარის წარგზავნილი.

სამამულო ომმა ბათუმელ ექიმის, კომუნისტ აღექსანდრა მასხულიას მოხკოვეში მოუსწორო, სადაც იგი გაგზავნილი იყო კვალიფიკაციის ასამაღლებლად. პატრიოტი ქალი 14 ახალგაზრდა ექიმთან ერთად ომის დაწყების მეორე დღესვე გამოცხადდა კომისარიატში და მოხალისედ ფრონტზე წავიდა. სახელოვანმა ქართველმა ქალმა ბრძოლით გაიარა გზა მოსკოვიდან ბერლინამდე, დაიმსახურა მთავრობის მაღალი ჯილდოები, ომის დამთავრების შემდეგ კი კვლავ თავის საყვარელ საქმეს დაუბრუნდა. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ალექსანდრა მასხულია და და ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მუშაობს და კოლექტივში დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს.

1941 წლის ივლისში პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის განყოფილების გამგე სარდიონ ჯიჯეიშვილი უკვე მოსკოვში იყო — ვ. ი. ლენინის სახელობის სამხედრო-პეტლიაშვილი აკადემიასთან შექმნილ სამხედრო კომისართა სამთვაიან კურსებზე აქედან იგი ახლადფორმირებული მე-40 ცალკე მსროლელი ბრიგადის პირველი ბატალიონის სამხედრო კომისარად დანიშნეს. ნოემბრის შუა რიცხვებიდან მოსკოვისათვის ბრძოლის წინა ხაზზე და პირადი მაგალითით აღაფრთოვანებს მეომრებს. ბატალიონის მეთაურის იულინის დალუბვის შემდეგ კომისრიის წინამდღოლობით ბატალიონი შეტევაზე გადავიდა. ამ ბრძოლაში ს. ჯიჯეიშვილი მძიმედ დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის ველი შემცველის მოსვლამდე არ მიუტოვებია. მოსკოვის პისპიტალში მკურნალობდა, გული კვლავ ცეცხლის ხაზზე მიუწევდა, მაგრამ მძიმე ჭრილობამ ამის საშუალება არ მისცა. მოსკოვისათვის ბრძოლაში გულადმა კომისარმა წითელი ვარსკვლავის ორდენი და საბრძოლო მედალი დაიმსახურა.

— 40 წლიდი გავიდა მოსკოვთან დაადი გამარჯვების შემდეგ, მაგრამ ხსოვნაში ყოველივე ისეა, თითქოს სულ რამდენიმე დღის წინათ მომხდარიყოს, — ამბობს

კოფეიდლი სამხედრო კომისარი, დღეს კი აჭარის ასსრ ფინანსთა მინისტრი, გადამდგარი კაბიტანი ს. ჯიჯეიშვილი.

მოსკოვთან ბრძოლაში გმირთა სიკვდილით დაეცენ ქობულეთის რაზონის სოფელ გვარას მკიდრინი — მმები ილიას და ხასან გოხიძები. უკრანული

— მოსკოვი განსაცდელშია, მაგრამ ჩეენ ერთი მეტრითაც არ დავიწევთ უკრ, სწერდა ჰამას ილიას.

— უკან დასახელი გზა არაა, უკან მოსკოვია. — პანფილოველთა სიტყვებს იმეორებდა სახლში გამოგზავნილ ბარათში ზასანი.

ამ სიტყვებს იმეორებდნენ. მმები გოხიძეები, თევრათ მოწყობილი, რიცათ პაპუნაიშვილი და სხვა გვარელი ვაჟკაცები მოსკოვის დამცველებთან ერთად.

დიდი სამამულო ომის დაწყების მეორე დღეს ხალას საშუალო სკოლის მასწავლებელი შერმანდინ გვარიშვილი წაბჭოთა არმიაში გაიწვიოს. ჯერ ბელორუსიაში, მზევერავთა ოცეულში ჩინგბული სამსახურისათვის, ბევრჯერ დაიმსახურა სარდლობის მაღლობა. მოსკოვისათვის ბრძოლაში შერმანდინი 1941 წლის 6 დეკემბერს დაიჭრა. ორი კვირის შემდეგ ისევ მოწინავე ხაზზე იყო. 1942 წლის 25 თებერვალს დაწყებული შეტევისას ნაღმის აუგეტების შედეგად დაჭრილი შ. გვარიშვილი კუიბიშვის პოსტამენტში მოათავსეს. 1942 წლის აგვისტოში დემობილიზაციით შეიძლიარ სოფელს დაუბრუნდა, ხალას საშუალო სკოლის დირექტორად დანიშნეს. კარგახანის შემაობდა ხულოს რაიონშიც. შემდეგ კვლავ ხალას საშუალო სკოლაში გადმოიყვანეს. ვალმოხდილი მეომრის მკერდს მთავრობის კილდოები ამშვებს.

მოსკოვის დაცვის, ვარშავის განთავისუფლებისა და ბერლინის აღების მონაწილეა ბათუმელი გვარიდის მაიორი ვადიმ ბრეგვაძე. 1941 წლის მარტიდან 1953 წლის სექტემბრიდან დაპყო საბჭოთა არმიის რიგებში მამაცმა პატრიოტმა. საბრძოლო დავალებათა შესრულებისას ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის დაჯილიერებულია სამი ორდენითა და 19 მედლით. 1972 წლიდან მუშაობს ბათუმის გემთავენ ქარხანაში კადრების განვითილების უფროსად.

მოსკოვისათვის ბრძოლებში სიმამაცისა და გმირობის მაგალითები გვიჩვენეს მზიური აჭარის წარგზავნილებიდან ილია შონიამ, პეტრე ღრანკომ, ნოე კვირკველიამ, ალექსი ხატუშევილმა, სიმონ დიდოვიგმა, ივანე ვესელოვამ, ვლადიმერ გაბელიამ, არეადი თბანებიანმა, ვრიგოლ იოფისმა, შოთა მოქამა, ჯემალ ჭანკურიძემ და სხვებმა.

...40 წელი გვაშორებს მოსკოვის დაცვის გმირულ ეპოქას, — ბრძოლასა და შრომაში განვლილი 40 სახელოვანი წელი, მაგრამ დრო ვერასოდეს წაშლის ხალხის ხსოვნაში საბჭოთა აღამანების სიმამაცეს, მოსკოვის დამცველთა გმირობა უკვდავია.

იასონ ცერცვაქ,

დიდი სამამულო ომის ვეტერანი, გადამდგარი მაიორი.



ବାହୁଦ୍ରାମି

მამულიშვილია დვაწლის დაფასება, მათი სახელის უკადავყოფა ქართველი კაცის ბუნებას ოდითგანვე შესისხლხორცებია. ამ ტრადიციას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ჩვენს ეპოქაში. ხალხი არ ივიწყებს მისი კეთილდღეობისათვის მებრძოლი ადამიანების ხსოვნას.

სწორედ ასეთი გაცემი კაცი, აჭარის მოხვევარულე და მოჭირნახულე გახდათ და სტეპანე ქემხაძე. ასი წელი შესრულდა მისი დაბადებიდან.

მე იგი ღრმა მოხუცებულობაში ვნახე. მანამდე კი ჩემი სოფლელი ბერიკაცების გადმოცემით ვიცნობდი. ძველ დროებაზე რომ ჩამოაგდებდნენ საუბარს, ყოველ-თვის სტევანე ქემხაძე ეპერათ პირზე.

— იმ კაცება შვილი სიკვდილს გადამირჩინაო...

— ის რომ არა, 192 კაცს ხიჭაურში სახრჩობელაზე სიკვდილი ეღლდა, როგორც „მთავრობის მოლაპატებები“...

— ბეგარიდან ბევრჯერ გადაგვარჩინაო...

— ჩვენს ბაღნებს უფასოდ წიგნებს ურიგებდა, ისწავლეთ, ხალხსა და ქვეყანას გამოადგებითო... თავისუფალ ძროს საქართველოს სახელოვან წარსულსა და რუსეთში მომხდარ რევოლუციაზე გველაპარაკებოდა.

„— კარ კაცი იყო, ლძერომა სიკეთე არ მოუშალოს იმას“, — იტყოდა ნძირალ მამაჩემი.

სკოლაში მუშაობის დროს სტეფანე ქემხაძე ახლოს გაცნობია რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდობას. 1905-1907 წლების რევოლუციის დროს მისი ძინა რევოლუციურად განწყობილი ბათუმელი ახალგაზრდების თავშესაფარის წარმოადგენდა, პირადად მონაწილეობდა რევოლუციონერთა მიერ მოწყობილ კრებულსა და დემონსტრაციებში, პროკლამაციების გავრცელებაში.

„...პირველად მაშინ ვიგრძენა თუ რა ძვირფასი ყოფილა, როდესაც სახალონ საქმეს განდობენ და შენში ხედავენ უნარს, რომლითაც შეგიძლია მოემსახურო ნათელ მიზანს“. — წერს თავის მოგონებაში ს. ქემხაძე.

სამოქალაქო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ს. ქემხაძემ ბათუმის ოლქის სამართლებრივი სამთვიანი კურსები დამთავრა მწერლის თანამდებობაშე მუშაობისათვის, მაგრამ კერსად მოეწყო და იძულებული გახდა ერთხანს ჩაქვის საუფლისწულო მამულში ემუშავა.

1911 წლის იანვრიდან ს. ქემხაძე ხულოს მაზრაშია სხალთის სასოფლო კან-

ცელარიის მწერლად. აქ ყოფის პირველი დღიდან ს. ქეშაძე ნამდვილ ჭირით მოევლინა ზემო აჭარის დაბეჩავებულ მოსახლეობას. იგი როდი ჰერი გვადა მიმდინარე დელი მეფის მთავრობის ბიუროკრატ ჩინონიკებს, რომლებსაც არ აწუხებულ უდი რიბ-დატაკი გლეხბობის ყოვლად უძრი მდგრად უძრი მას მოხელეების უშუალესად.

— თქვენი მეტისმეტი დემოკრატიული ბუნება და ავტორიტეტი გლეხობაში, მაფიქრებს, რომ რევოლუციურ მოძრაობასთან გაქვთ კავშირი... რომ თქვენ მოსახლეობის ინტერესებს უფრო იცავთ, ვიდრე მთავრობისა“. — უთქვამს ერთხელ უბის უფროსს სტეფანე ქეშაძისათვის. ეს მართლაც ასე იყო. სტეფანეს ასხვედა დიდი ილიას სიტყვები: „...ჩენი ყოფილი ცხოვრება იქ ავავებულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქეცია, ჩვენა ხულის ძლიერებას იქ აღმართოავს თავისი სახელგანთქმული დროშა... სწავლა-განათლება, მამულისათვის თავამეტებული სიყვარული თითქმის იქიდან უფინურება ჩვენს ქეშაძისა ერთ დროს“... ეს იყო მრავალქარტეხილგამოვლილი კუთხი, მრავალტანჯული იყვნენ მისი შვაილები... სამასი წელი, იბატონა ისმალეთმა: დააპირო აჭარა, დაარბია და აწიოკა მისი მცხოვრები, სამასი წელი თვალზე ცრემლი არ შეშრობიათ აქაურებს. საქართველომ იცის:

სამასი წელი, სამასი წელი,
ვაზი, ფუტკარი როგორ ვარჩინეთ.
გადავარჩინეთ რუსთველი, ტბელი,
შობელი მთები გადავარჩინეთ...

თაოქმის ნანატრი მშეიღიბა დადგა, მაგრამ პირველი იმპერიალისტური ომის წინ ქვეყნა ისევ არია. ერთ დღეს ს. ქეშაძესთან მივიღენ ზემო აჭარის მოწინავე გლეხება და თხოვეს მთავრობისათვის ეცნობებინა, რომ ასკერების თავდასხმაა მოსახლეობითი. სტეფანემ ურჩია მოსულებს, შეედგინათ წერილი, რომელიც შემდეგ თვათონენ რუსულად თარგმანა, რამდენიმე ცალად გადაწერა და საჭირო მისამართზე კვიშავნა. ადგილობრივ პატრიოტთა სიგნალი ოლქის მაშინდელმა მესვეურებმა უწინდ ან იღება... მომხვდლერებმა დაარბიეს ზემო აჭარის სოფლები, გარეგნს პარუსული, ააწილეკს შვეიცარიანი მოსახლეობა, არც მოხუცები და ბავშვები დაინდება... მაგრამ წინ უარესი ვანსაცლელი ელოდათ. რამდენიმე დღის შემდეგ, რედესაც ანკურება გარეგნს, აჭარლებს სამშობლისა და მეფის დალატი დასწავლებს, თითქოს გათ შემოწვეთ ასკერები სოფლების დასარბევად, ხალხის ასაწიოკებლად.

...1914 წლის 14 დეკემბერი იყო. ბათუმიდან ცხენით მამავალ ს. ქეშაძეს დანდალოს ხიდთან რამდენიმე გლეხი შემოხედა. მათ მაღალ მწუხარე სახე ჰქონდათ. თვალი ცრემლით ავსებდოდათ.

სტეფანეს წინ ერთი გლეხი გადაუდგა.

— სტეფანე-ეფენდი, ხიჭაურში ცუდი ამბავი ხდება. უშველე, უდანაშაულო ხალხს ახრინებინ, ჩანჩხალოელი აბდი დიასამიძე და ბარათაულელი თუფან თავდგირიძე უკვე ჩამოახრჩეს. მაღვე სხვებსაც ისეთივე დღე ეღის.

ს. ქეშაძე ხიჭაურში რომ მივიღა, საღამსჯელო იაზმის უფროსს, პოლკოვნიკ გენერალ მიეჭრა. თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა, აღმფოთებას ვერ მაღავდა.

— რას სჩადიხართ, თუ იცით, თქვენ?! ეს როგორ შეიძლება?!

პოლკოვნიკმა თვალები დაუბრიალა.

— თქვენ ვის მხარეზე ხართ, მთავრობისა თუ მოღალატეების?!

— ისინი, რომლებსაც თქვენ სახრიბედა მოუმზადეთ, სამშობლოს მოღალატეები არიან. მე ამას სათანადო დოკუმენტებით დაგიმტკიცებთ, ბატონო პოლკოვნიკი! — ბოლო ორი სიტყვა ისე წარმოთქვა, გუბენის ვერ ეცვალა. ბრძანა, დრო-

— თქვენს შესახებ ჩვენ გვაქვს არცოფ ისე სახარაბიელო ცირისა. იმის დავთ მთავრობის მოღალატეთა დაცვას? თქვენი მიზეზით დამაშავეთა დასჯა შექურებულია. თუ ვერ დაამტკაცებთ მათს უდანაშაულობას, მაშინ თქვენც მოგიწევთ რებულია. თავის გაყოფა! — დაემუქრა ტრიბუნალის თავმჯდომარე. ქემხამებ მას წაყლულში თავის გაყოფა!

— დაემუქრა ტრიბუნალის თავმჯდომარე. ქემხამებ მას წაყლულში თავის გაყოფა!

— რომელშიც ინახებოდა ასკერების მოსალოდნელი შემოჭრულებინა, „საქმე № 7“, რომელშიც ინახებოდა ასკერების მოსალოდნელი შეტყობინების შესახებ ბათუმის ოლქის ხელმძღვანელობისათვის გამოზავნილი შეტყობინების ასლი.

ტრიბუნალის თავმჯდომარეს არ მოეწონა ს. ქეშხაძის თავგათიღდება, აკადემიური ბის დასაცავად ოობ იჩენდა, მაგრამ საბუთების გაცნობის შემდეგ, მაინც ჰყავთხა: 1. ს. ქეშხაძის რომილიბირ თქვენ წარმოთავდგინეთ, საქამიანია

— ରୁଗ୍ବେଣ ଯୋଜନାବୁଦ୍ଧି, କାଶ୍ତୁରୀରୀ, ରୋଗଦ୍ୱାରାରୁଚି ଏମ୍ବେ— V— ୧୫ ।

ს. ქემხაის წარდგენილი საბუთების გულდასმით გაცხობს ძემდეგ, ტანკ-ნალის თავმჯდომარის ბრძანებით, გაუქმდა 192 კაცის სიკედლით დასჯის განვარულება. ბევრმა დიდხანს არც კა იციდა, ვინ იყო მათი მსხვევლი.

1916 წლის აპრილში ს. ქემხაძე სახლობიდან ქობულეთის სასოფლო კანცელა-
რის მწერლის თანამდებობაზე გადმოიყვანეს. თებერვლის რევოლუციის პირველ
დღეებშივე ხუცუბანში მოწვეულმა მაზრის რწმუნებულთა ყრილობამ დაუსწრებ-
ლად, ფარული კანკისყრით, მაზრის სამმართველოს მდივნად სტეფანე ქემხაძე აირ-
ჩია. 1918 წელს იგი ბათუმშია და მუშაობას იწყებს სამუსლიმანო საქართველოს
კანგარავის უფლებელი კომიტეტის მდივნის თანამდებობაზე. თავმჯდომარე კი იყო
კანგარავის უფლებელი კომიტეტის მდივნის თანამდებობაზე. თავმჯდომარე კი იყო

თავისი მოსიგვარულე, ცინისტი და ინგლი, ა-ჯ-უ-კ-ი

რის მცხოვრებლები. რჩევა-დარიგება, დახმარება არც შემდეგში მოჰკლია მათთვის
ან საყარალი ადამიანს.

1924 წლიდან ს. ქვემადე მმაჩის ბიუროს ფაქტებზე, სადაც 1958 წლის 2 მარტის მიზანზე მუშაობდა.

ს. ქემხამეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ისეთ სახელოვან ძალულობურობაზე როგორიც იყვნენ ზაქარია ჭიჭინაძე, პაიდარ და მემედ აბაშიძები, სერგო ქავარაძე, ფილიაპ მახარაძე და სხვები.

სტეფანეს ქალიშვილი თამარი სოფელ უურტიომი დაიბადა (ძაღლიდები თავ-
სტეფანეს ქალიშვილი). მან ჰედაგოგობა ირჩია და აჭარის სხვადასხეა სკოლაში ასწავლიდა
ლთის ოქმი). მან ჰედაგოგობა ირჩია და აჭარის სხვადასხეა სკოლაში ასწავლიდა
გეოგრაფიას. ამჟამად პენსიონერია. უმცროსი ვაჟი, შოთა, მათემატიკურ მეცნიერე-
ბათა დოქტორია, პროფესიონალი. ხელმძღვანელობს რუსთაველის სახელობის ბათუ-
ბათ დოქტორია, პროფესიონალი. ხელმძღვანელობს რუსთაველის სახელობის ბათუ-
ბათ დოქტორია, პროფესიონალი. ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის. არის 80-მდე
მის სახელმწიფო ჰედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის. არის 80-მდე
მის სახელმწიფო ჰედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის. დიდი სამაშულო ომის მო-
მცნიურებლი შეიძლია და სახელმძღვანელოს ავტორი. დიდი სამაშულო ომის მო-
მცნიურებლი შეიძლია და საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოლ-
ნაწილე, მინიჭებული აქცის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოლ-

အနိဂုံစာဝါဆာ လူမှတ်များ ပေါ်လေ့ရှိခဲ့သော အကြောင်း ဖြစ်ပါသည်။

სადაც კა უმეშანია ამ ამაგდარ მამულიშვილს, კველგან თან სდევდა ქართველიც კატას გეთილი თვისებები: სიმართლე, შრომისმოყვარეობა, გაჭირებულზე ხელი კაცის გეთილი თვისებები: სიმართლე, შრომისმოყვარეობა, გაჭირებულზე ხელის გამართვა, საქმის დიდი სიყვარული და მოვალეობისადმი ერთგულება.





საახალცლო სალადობო გათუმაღლ მწერლებს

ვუძღვნი ქვემორე სტრიქონებს ერთ ჯგუფს ბათუმელ მწერალთა! —
ვუსურვებ კალმით დაპყრობას ახალ და ახალ მწვერვალთა!
ჩვენი შავი ზღვის გავლენით, წერის დროს, ძლიერ ვღელავ და, —
ვთხოვ, — მაპატიონ სულგრძელად, — თუ სიტყვა გრძელად ვერა
ვთქვა!



ასს გამოვაკლოთ ათი და — რაც დაგვრჩა, — მისი ტოლია, —
მალამოსავით პოეტი და კაცი — მალაზონია!
„მზესაც ეწვევა... სიბერე!“ — ამბობს ერთ ლექსში ნესტორი!
ამას ნესტორზე ვერ ვიტყვით! — მასზე არ არის ეს სწორი!



პოეზია ზღვის დონიდან მზემდე ადის ფრიდონისა!
მისი ღვაწლის მოთაყვანე სიკვდილამდე ვიყო, — მინდა!
მის ბრწყინვალე ერთტომეულს გამფიდველი დახლჭვეშ მალავს!..
გთხოვ, განგების დიდო ძალავ, შემახვედრე ფრიდონ ზალვაშნ!



უსაყვარლეს კაცს და პოეტს, — ჩვენს მამია ვარ შანიძენ, —
რომ არ მივესიყვარულო, — ისე გული არ გამიძლებს!
ვაქე, როცა გადიხადა თუბილე სამოცი წლის,
კვლავ მადლობას ვეუბნები პოეტური სამოთხისთვის!



სიდი ზღვაზეც გაუდვია ჩვენს ჩხაიძე ალექსანდრეს!
ლამით, როცა ქალაქს სძინავს, დრამის გმირთა გვარებს ადგენს!..
და ხორცს ასხამს თავისუფლად ყველა თემას თავისუფალს!
მის ქმნილებებს სიმართლე აქვთ, — ჟანგბადივით ჩაისუნოქავ!



ნაღდ კრიტიკოსს და რედაქტორს — ვადიდებ შოთა
ქურიძეს! —
მის მკერდში მამულიშვილის დიდი ქართული გადი ძგერს!

სამოცი უკვე განვლო და (ვიცი, ას ოცსაც უმიზნებს!)
იცოს ხანგრძლივი სიცოცხლე მისი მის ნება-სურვილზე!



აჭარის წარსულს — ტრაგიკულს — მხატვრულად აღწერს
ფ ა ღ ა ვ ა!

დამპყრობლებს ნაწარმოებშიც ვერ იტანს დასანახავად!
მის ისტორიულ რომანებს ჰყავს უამრავი მკითხველი!
აღლობა აქვს იუსუფს და, — რაც დათესა, — მკის ხელით!



ნიჭი თრატორობის და ნიჭი ენამზეობისა
ყველგზი შევნის შერვა ში დეს. — ამ შერმადინს მწერლობისა!
სიყვარულით, ერთგულებით, რაინდობით — სამი რამით —
არის მზიურ აჭარაზე მიჯაჭვული ამირანი!



საქართველოს რუკის გარდა, არ ლოცულობს სხვა რუკაზე, —
სანუკვარი სანუკვარზე, — გიორგი ლექსალუკაძე! —
ქართველიათ ანთებული — ახალ წიგნთა საღუწს გვაძლევს!
შევარცხვინე, — ვინ მწერლობას და კაცობას არ უფასებს!



შთამომავალს გმირი გურჯის — გაუმარჯოს ჯემალ ჯაფელი!
ბევრი მისი წიგნი გულში სამუდამოდ შევასახლე!
მკითხველიათვის მომავალში უფრო საყვარელი გახდეს
და მკითხველიც ჯემალ ჯაფელს არასოდეს აუჯანყდეს!



აჭარის თბილ, მომღიმარ მზეს მოჰვავს ზურაბ გორგილაძე!
თავის ამბობ ლექსს კითხულობს, — მსმენელს ლელვის ბორკილს
ადებს!

ესტუმრები — გადაგყვება! წამოხვალ და — მოგინატრებს!
უსურვებდი, ყოფილიყოს უკვდავების მობინადრეც!



დრო მოვიდა, დროს თან მოჰყვა საყვარელი შოთა როვანიშვილი!
მე მას ვიცნობ, როგორც მწერალს, ნაყოფიერს, გულწრფელს,
მოყვასს!

სატირა აქვს, — არ ექნება აჭარაში ბარე თრ კაცს!
რაც დაწერა, სუყველაფრის სქელ „რჩეულში“ ვთხოვ თავმოყრას!



გულმართალი გიორგია! ლომი ლორთქი ფანი მე ა! —
ნამდვილ კაცად, ნამდვილ მწერლად და კაი ყმად გამიცვნაა!

მასთან ყოფნით უდიდესი სიხარული განმიცდია!
გული მწყდება: მისი ფასი სათანადოდ არ იციან!



პოეზია არის მისი სიცოცხლე და თვალისწინი!..
და ცნობილი პოეტია ახლა ნანა გვარიშვილი!
სძულს სალექსო მეტყველების ხელოვნურად გართულება:
თუმც თბილისში გადმოვიდა, — მაინც დარჩა ბათუმელად!

◎

აქ ვაქებ სხვა გორგილაძეს — პროზაიკოსს და ჟურნალისტს!
მართლაც კაცური კაცია და კალმით — კაცთა მგურნალი!
საკუთარ კორესპონდენტად ჰყავს აჭარაში „კომუნისტი!“
მადლობა ვუთხრათ მიწეოდეს, ამხელა საქმეს რომ უვლის!

◎

დიდება და ვაშა ლადოს — მამულიშვილს, პოეტს, მხატვარს!
რომ შეგხვდება, სევდა-ნაღველს, — თუ გაქეს, — წამსვე გაგიფანტავს,
კალმითა და ფუნჯით იღვწის და ქართული შვენის ჯიში —
საოცრად თბილ, საოცრად ტკბილ და საამო სეიდიშვილის!

◎

მე არწივთან ვათანაბრებ აღალ პოეტ ქათამაძეს!
ევლოს მუდამ გამარჯვებით! არასოდეს არ დამარცხდეს!
რამდენჯერაც გამიჭირდა, — ვაჟკაცურად შემეშველა!
კადლეგრძელებ მჯობნის მჯობსა და ბაჯაღლო ჯელ ჯემალის!

◎

მწერალი და მეცნიერი არის არჩილ ტოტოჩავა!
მისი ნაწარმოებები კარგა მოზრდილ ორ ტომს ჩავა!
მზე და მთვარე (ვარსკვლავებიც!) რუსთაველზე ამოსდის და —
არ არსებობს მისთვის წიგნი, გარდა „ვეფხისტყაოსნისა!“

◎

მახარებს შემოქმედება მე მოდებაძე ნოდარის!
მის პროზას სერიოზული განხილვა უნდა (დროც არის!)
მოდას არ აჰყვა არასდროს ეს ჭეშმარიტი მწერალი!
„რას მიედ-მოედებაო?!" — მასზე ვერ იტყვის ვერავინ!

◎

მისი ქება მესმის გარეთ! მისი ქება მსმენია შინ!
პატრიოტი ვარ მხურვალე მე მჟავია ქსენიასი!

ხალხს აყენებს მისი ლექსი კარგ გუნება-ხასიათზე! —

რასაც მე ვწერ, სიმართლეს ვწერ! — არაფერს არ ვაზვიადებ!



შუქმოსილ და ლექსუშიშარ შესანიშნავ შოთა ს ვაქებ —

შშვენიერი პოეტური სახეების მოქანდაკებ!

მთელი მისი პოეზია ქართული მზით მოიმზისფრა!

და, მუდამ ზეიმობდეს მუზა შოთა ზოიძისა!



მწერალსა და იუმორისტს — ვკოცნი — ვაჲტანგ

აზვლედიანს!

რაც სიკეთე მას უქნია, — სუკელა წინ დახვედრია!

მოყვრისათვის გულის კარებს არც მიხურავს, არც ჩარაზავს!

იმას უყვარს აჭარა და იგი უყვარს აჭარასაც!



სიჩუმით გამორჩეული არის ვლადიმერ დარჩია!

მის პოეზიასა და იუმორს ნათელი ნიჭი აჩნია!

შან არ ატენა ხმაური და ჩრდილში დგომა არჩია!

ჩრდილში დგომისთვის დღეს მწერალს არც ერჩიან და არც სჯიან!



ბავშვობიდანევე სარეცელს მიჯაჭველ დიასამი ძეს

ბეღნიერებას მამული და პოეზია ანიჭებს!

ვუსურვებ სნეჟელ სულიკოს — ავტორს ჯანსაღი ლექსების —

ამოუთხრელად გაედგას მკითხველის გულში ფესვები!



დადებითი შეფასება ჩვენმა პრესამ უკვე მისცა

მის ლექსებს და მის პოემას—ვრცელს — „ძლევა უკუნისა!

უმაღლესი პოეზიის მთასძირას დგას და იმ მთაზე, —

ვიცი და მწამს, — უცილობლად ავა ემენ დავითაძე!

კვალას — მრთად

ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ არმოსაწონს არ დაწერთ...

და წიგნებს გამომცემლობებს — მიუტანთ ადრე ვადაზე!

დე, დაპყრობილი გქონოდეთ მკითხველის გული ათას წელს...

და, თუ მკითხველი ისურვებს, დროს თვითონ იგი გადასწევს!



გასულ ორ თვეში

საახალოლო საჩუქრი

შ. რუსთაველის სახელობის ბათუ-
მის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტი-
ტუტში დიდი ზეიძი იყო: მწერლში
შეკიდა ათასი სტუდენტისათვის გათ-
ვალისწინებული ახალი წევთსართუ-
ლოანი სახწავლო კორპუსი.

ამ ლისტშესანიშნავ მოვლენას შეიძლება მიტინგი, რომელიც გახსნა საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მირველმა დღივანშა დაწერალაშემ.

შიტინგშე სიტვით გამოვიდა ნაქა-
რთველის კომპარტიის ცენტრალური
კომიტეტის ბიუროს წევრობის განდი-
ლატი, საქართველოს კომპარტიის აჭ-
არის ხალქო კომიტეტის პირველი
შეიგანი ვ. პაპუნიძე, მან პარტიის
აჭარის ხალქო კომიტეტის, აჭარის
ასერ უბალდესი საბჭოს პრეზიდიუ-
მის, აჭარის ასერ მინისტრის ხაბჭოს
სახელმისამართისადმი მიუღია სტუ-
დენტებს, ინსტიტუტის ლექტორ-მას-
ტავებლებს დიდი სახალწლო საჩუ-
ქარი — ახალი სახწავლო კორპუსის
საექსპლოატაციო გადაცემა. აღნიშნა,
რომ იგი აიგო სკამ ცენტრალური კო-
მიტეტის პოლიტბიუროს წევრობის
კანდიდატის, საქართველოს კომპარ-
ტიის ცენტრალური კომიტეტის პირ-
ველი მდივნის ამს. ვ. შვერინგაძის
ინიციატივითა და უშუალო დახმარე-
ბით.

ბათუმის პედინსტიტუტის რექტორი,
მა პროფესორმა დ. ბალაძემ მაღლობა
გადაუხადა კველას, ვინც მონაწილე-
ობდა ამ დიდმინიშვნელოვანი ობიექ-
ტის შესწეობაში.

მიტინგზე გამოვიდნენ სტუდენტი
ა. გალაძე, პოლტი ჯ. ქათამაძე.

დამხმარეთა ტაშის გრიალში № 5
სამშენებლო ტრესტის სპეციალიზე-

ბული მონაპირკეთებელი სამართველოს მომპირკეთებელმა კ. პავლენერმ ახალი შენობის სიმბოლური გასაღები გადასცა პრიფესორ დ. ბალაძეს.

გაისახა თოჯინების სახელმწიფო ტეატრი

განათლების მუშაქთა საოლქო სახლის შენობაში, სადაც თავისი ჰირველი წარმოდგენა გამართა ბათუმის ხასკოლზე იფარ ქართულმა თოჯინების თეოტრემა, პავშებთან ერთად შეკრიბნენ წარმომადგენლები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, ახალგაზრდები, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეები.

აუდიტორია მოუთმენლად ელოდა
განარის გასხვას. და აა, სცენაზე გა-
მოჩნდენ შ. ხელვაციის „ხეტიალას“
კოლონიტული პერსონაჟები. სპეცია-
ლიმ (რეჟისორი გ. სარჩიმელიძე) ფუ-
რალდება მიიპყრო არა მარტო თემის
აქტუალობით, არამედ მუსიკალური
დაკორმებით, ლამაზი დეკორაციით.

მაყურებლებმა ტაშით დააჯილდო-
ვეს სპექტაკლის მონაწილე მსახიობე-
ბი.

မင်္ဂလာနာလုပ်မံ့ပွဲလွှဲ ၭ၁၆၅၂၁၀၈ ၂၀၁၇၁၂၀၈ ၂၀၁၇၁၂၀၈
၂၀၁၇၁၂၀၈ ၂၀၁၇၁၂၀၈ ၂၀၁၇၁၂၀၈ ၂၀၁၇၁၂၀၈ ၂၀၁၇၁၂၀၈

ქაძე, ბათუმის № 2 სკოლის მოსწავლე ქ. ძირკვაძე, პოეტი ხ. ქათამაძე.

ჩაცეშლ ჩარგვიანის უმრავმაღალი საღამო

ა. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა ცნობილი ქართველი პოეტის ჯანხევდ ჩარგვიანის დაბადების 50 წლისადამი მიძღვნილი ძემოქმედებით საღამო.

ხალამო განხსნა საქართველოს მწერლათა კავშირის აჭარის გამოყოფილების პასუხისმგებელმა მღივანშა ფ. ხალევზძა.

მოხსენებით გამოიყიდა გამოოცემლით „საბჭოთა აჭარის“ დირექტორი ა. აბვლელაძი.

იუბილურის მიერალმნენ მწერლები გ. სალუქეაძე, თ. ჩხერიძე, თ. აჭკონია, პროფესიონის ხელვაჩაურის ჩაიკომის პირველი მდივანი ჩ. ომერაძე, ტანკერ „ჩატლავის“ ქამიტნის პირველი თანამედრე ა. თერქია, პედაგოგი რ. რომანაძე, ბათუმის სამკრვალო საწარმოი გავრთონანების შეშა დ. ტიმოფევი, ბათუმის პედანისტიუტის სტუდენტი ნ. მახარაძე, ბაკვეთა ტანგარჯაშის ხელობის დირექტორი რ. სისა-რელიძე, ახალგაზრდა პოეტები შ. ხაჯიშვილი და ნ. ლემბაძე, აჭარის ასეთ კულტურის სამინისტროს მეთოდიკური ცენტრის დირექტორი დირექტორი ნ. ბერიძე, მსახიობებმა ნ. საკანდელიძე, ზ. შილაკაძემ, ა. ქარჩავაძ ჩაიკითხეს ჯანხევდ ჩარგვიანის ლექსები.

ჩ. ჩარეკვიანმა გულითადი მადლობა გადაისადა მიხი დგაწლის დაფასებითავთვის და ჩაიკითხა ლექსები.

„ოქრო პატარის ლაშვარდში“

აჭარის პროფესიონელის კულტურის სახლის ღირებულების დამსახურების საბჭომ ბათუმის კულტურულ-საგანმანათლე-

ბლო სასწავლებელთან ერთად მოაწყო დიდი ქართველი პოეტის ჭავჭავაძის ტიონ ტაბიძის დაბადების 90-ე წელში სთავისადმი მიძღვნილი სკოლმაღლეობისა საღამო, რომელიც განხსნა ლიტერატურული გაერთიანების თავმჯდომარებელი, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მასწავლებელმა ვ. რუსეიშვილმა.

მოხსენებით გადაკტიონ ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების შეხახებ წაიკითხეს სახალხო უნივერსიტეტის მსმენელებმა დ. წილოსანმა, ნ. გვარიშვილმა, ლ. ფადაგამ და ი. ბოკუჩავაძე, უფროსში ბიბლიოთეკარმა ნ. ჟეორნიამ.

ნორნიმა დეკლამატორებმა წარმოადგინეს ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია „ოქრო აჭარის ლაშვარდში“. შეკამდა დეკლამატორთა კონკრეტის, გამარჯვებულებს გადაიცათ წიგნები და სხვა სუვენირები.

კულტურულ-საგანმანათლებლო სახელმწიფო მოსწავლეებმა და ლიტერატურული გაერთიანების წვერებმა შეასრულეს გალაკტიონის ლექსებზე დაწერილი ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები.

ახალგაზრდა პოეტმა და მსატვარმა მ. მახარაძემ ლიტერატურულ გაერთიანებას უსახსოვნა თავისი ფერწერული ტილო „გაღაეტიონი ზღვის პირას“.

არეზია უაირველის შოცქასა

ბათუმის ინდუსტრიულ ტექნიკურში გაიმართა პოეზიის საღამო, რომლის დევიზი იყო „პოეზია უპირველეს ყოვლისა“.

აედერდა შ. რუსთაველის, ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას, ილიას, აკაკის, გალაკტიონის, ი. ხონეშვილისა და სსგათა ლექსები. მოსწავლეებმა წაიკითხეს ქართველი საბჭოთა პოეტების ლექსები, ხოლო პოეტებმა ც. ანთაძემ, ჯ. ქათამაძემ — თავიანთი ახალი ნაწარმოებები.

პოლიცია სსრ ვას მიმღვდეა

შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგია-ქიმიის სახეციალობის მესამე კურსის სტუდენტებმა კომკავშირის კომიტეტის კულტურულ-მასიური სექტორთან ერთად მოაწყვეს გამოჩენილი ქართველი პოეტის იოსებ ნონეშვილის ხსოვნის საღამო.

დარბაზში საამო ჰანგებად იღვრება პოეტის ცნობილ ლექსბზე შექმნილი სიმღერები... სტუდენტებმა წარმოადგინეს იოსებ ნონეშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მონტაჟი.

სატყვებით გამოვიდნენ ღოცენტები ო. ახვლევიანი, დ. ნიკოლაშვილი, ინხტიტუტის ახალგაზრდა მწერალთა წრის თავმჯდომარე, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი შ. კვასხვაძე.

ხელოვანის ღვარები

ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა სახახლეში გაიმართა საქართველოს

სსრ კულტურის დამსახურებული შემარის, აჭარის ასსრ ხელოვნების მინისტრის ასსრ ხელმწიფო მოღვაწის, კომმიტეტის დირექტორის მოძრაობის ვეტერანის უნიტერაში რაშიძის დაბადების 70 წლისთვავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

ლ. შარაშიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე დამსწრეთ ესაუბრა თბილის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კომსერვატორიის ენთეტიკისა და ხელოვნებათმცოდნებობის კათედრის გამგე, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პროფესიონალი ი. ურუშაძე.

იუბილარს გულითადად მიესალმნება ახალი წარმატებები უხურვეს აჭარის ასსრ კულტურის მინისტრის მცდელობები გ. ღლონტმა, აჭარის ახალმატევის მსატვართა კაშირის თავმჯდომარე გ. ბოლქვაძემ, აჭარის სახელმწიფებრივი დირექტორის ხ. ახვლევანმა, აჭარის ასსრ განათლების მინისტრის მოაღილებ ე. ცივაძემ, კომმიტეტის მინისტრის ვეტერანთა რიც საოლქო საბჭოს თავმჯდომარე გ. გაჭეიშვილმა და სხვებმა.

მთავარი რედაქტორი ალექსანდრე სამსონია

სარედაქციო კოლეგია:


აზიზ ახმადიანი, გიორგი გარებილაშვი, ზურაბ გორგილაშვი, მამია ვაჩაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), უოთა ზოიაშვი, დავით თალიორაშვი, გიორგი სალუხვაძე, ჯვარაშვი, ალექსანდრე ჩხაბუძე, ვინია სალვაშვი, დავით ხაშუთაშვილი, ჯვარაშვილი.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელის ქ. № 21. ტელ. 3-33-71

გადაეცა წარმოებას 4.1.82, ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.1.82, საბეჭდი თაბაზი 6, საგამომცემლო 5, შეკვეთის № 66, ემ 01004, ქალალის ზომა $60 \times 90\frac{1}{16}$ ტირაჟი 5.000.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის ასსრ პოლიგრაფიული საწარმოს გაერთიანება, ბათუმი, ლუქსემბურგის, 20.

Государственный комитет Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли. Полиграфическое производственное объединение Аджарской АССР. Батуми, ул. Р. Люксембург, 20.



ՀԱՅՈՒԹՅԱՆ
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ

ՎԱՀԵ

6 143/35



3560 40 353.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ
„ЧОРОХИ“
ОРГАН СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
ИНДЕКС 78118